.19
972

ᲔᲖᲝᲜᲯᲘ

№ 6 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ 1972



ხარატი ავთანდილ ხარიტონაშვილი (მარცხნივ) მოწაფეებთან ფოტო თ. არჩვაძისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ჯგუფი

№ 6 (427) ივნისი, 1972 წ.

გამოცემის წელი 50-ე

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეკონომიკური ოჯახში

ხშირად ამბობენ, ოჯახი ქვეყნის ცხოვრების სარკეაო. ასეა ქარხანაც. შეხვალთ რომელიმე საწარმოში, დაათვალიერებთ საამქროს, გაესაუბრებით მუშებს, გაეცნობით მათ საქმიანობას, მათ მიზნებსა და მისწრაფებებს და ამ ერთ საამქროში, ისე როგორც სარკეში, მთელი საწარმოს სახე გამოჩნდება. უფრო მეტიც: საამქროს კოლექტივი ჩვენი საზოგადოებრიობის შემადგენელი ნაწილია და მის საქმიანობაში, მის მიზნებსა და მისწრაფებებში მთელი ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის კონკრეტული სახე ირეკლება.

ამ დღეებში, როცა მთელი ჩვენი ხალხი გატაცებით ემზადება დიდი დღესასწაულის — საბჭოთა კავშირის შექმნის ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაშიც უჩვეულო გამოცოცხლება სუფევს.

ქარხანაში ჩვენთვის არავის, უთქვამს, მარცხნივ შებრძანდითო, ანდა, აი აქეთ, მარჯვნივ, მოწინავე კოლექტივი მუშაობს და ურიგო არ იქნება, თუ მათ მიღწევებს გაეშუქებთო. არჩევანი ჩვენზე იყო, საითაც გვინდოდა, იქით წავიდოდით და ვინაიდან იქვე, დირექტორის მოადგილის კაბინეტში რაღაც საქმეზე შემოსული უბნის უფროსი გურამ მამალაძე გავიცანით, გადავწყვიტეთ მისი სტუმრები ვყოფილიყავით.

გურამ მამალაძე ოცდათხუთმეტიოდე წლის ვაუკაცია. დინჯი და ჩაფიქრებული ლაპარაკი იცის. ჩვენს შეკითხვებზე ზუსტ და ლაკონურ პასუხებს გვაძლევს. გურამმა 1959 წელს დაამთავრა თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი და მას შემდეგ ამ ქარხანაში მუშაობს. მისი მეუღლე — ზაირაც აქ მუშაობს, საკონსტრუქტორო ბიუროში. ჩვენ უკვე ვიცით, რომ გურამს ორი ბიჭი ჰყავს — დავითი და ზვიადი, რომ ქარხანამ მას ამ რამდენიმე წლის წინ სამოთახიანი ბინა მისცა, რომ მის უბანში ყველა მუშა მოწინავეა და ამას მალე საკუთარი თვალით დავინახავთ.

ქარხნის მერვე მექანიკური საამქროს მესამე უბანში, რომელსაც გურამ მამალაძე ხელმძღვანელობს, 72 კაცი მუშაობს, აქედან 65 დამკვრელი მუშაა. უბანში სპეციალური დანიშნულების ჩარხებისათვის სხვადასხვა უნიკალურ დეტალებს ამზადებენ. აქა მზადდება ხრახნები, ლილვები, კბილანა თვლები, ვილისები... სულ სხვადასხვა დასახელების 458 დეტალი. საკმარისია, უბანმა წამით შეაფერხოს მუშაობა, რომელიმე ნაწილის დამზადება დააგვიანოს, რომ საათის მექანიზმივით აწყობილი მთელი ეს უზარმაზარი ქარხანა მაშინვე შეწყვეტს რიტმულ მუშაობას და გეგმის შესრულება საფრთხეში ჩადგება.

შესვენება დაიწყო. უბნის თავში ტიხრით გამოყოფილი ოთახი, რომელიც უბნის უფროსის კაბინეტის დანიშნულებას ასრულებს, მუშებით გაივსო.

ჩვენს გარშემო იდგნენ კუნთმაგარი და მომღიმარი ადამიანები, ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის შვილები, რომლებიც ჰქმნიან მატერიალურ დოვლათს, რომლებიც ძალასა და ენერგიას არ იშურებენ ქარხნის სახელისა და ავტორიტეტის განსამტკიცებლად. რედაქციიდან ქარხანაში მოსულ კორესპონდენტებსა და მუშებს შორის გულითადი და საინტერესო საუბარი გაჩაღდა. აქ ჩვენ გავეცანით საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ქართველ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, მათთან ერთად არიან მოძმე ხალხთა შვილები, ყველანი ერთ მტკიცე, შედუღაბებულ ოჯახად გაერთიანებულან და ერთს ყველაზე დიდსა და ნათელ საქმეს ემსახურებიან.

— თქვენს კოლექტივში მრავალი ერის შვილი მუშაობს. მოგვიყევით რამე თქვენს მეგობრობაზე.

— თქვენ გგონიათ, რომ ეს ადვილი საქმეა? — შეკითხვაზე შეკითხვითვე გვპასუხობს გურამ მამალაძე.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მაშინ მთელი ჩვენი ცხოვრების მოყოლა დაგვჭირდება, ამას ერთი შესვენება კი არა, ერთი დღეც არ ეყოფა.

— კაბიროვის ამბავი მოვუყვეთ! — იძახის ანია ფირულინა.

— ანდა ის ვუამბოთ, მთელი კოლექტივი როგორ დავეხმარეთ გურამს ბინის მიღების დროს, — სიტყვას ართმევს ანიას ზაურ კაჩმაზოვი.

— საავადმყოფოში რომ ვმორიგეობდით!..

— ერთმანეთის სამუშაოს რომ ვასრულებთ ხოლმე!

— დახმარებას რომ ვაძლევთ, ვისაც გაუჭირდება! — ისმის ნაწყვეტ-ნაწყვეტი შეძახილები.

— გლდანში მუშებს ნაკვეთები აქვთ, — წამოიწყო გურამ მამალაძემ, — ზოგს უჭირს მიწაზე მუშაობა. ზოგს გამოცდილება არა აქვს. ჩვენც ავდექით და მამითადებს ვატარებთ ხოლმე. შევიკრიბებით ბიჭები და მეგობრების დასახმარებლად მივდივართ მორიგეობით.

— ამას წინათ ჩვენი უბნის წუნმდებელს ანდრეი შევჩენკოს მოვეხმარეთ ვენახის გასხვლაში, — სიტყვას ურთავს ხარატი ზურაბ გველუკაშვილი.

— ჩვენ ყოველთვიურად გვაქვს ე. წ. ოსტატის ფონდი. ამ თანხის ოდენობა ჩვენზეევეა დამოკიდებული: უკეთესად ვიმუშავებთ, მეტი ფონდი გვექნება. დავდივართ ოჯახებში და, კოლექტივთან შეთანხმებით, ვისაც უჭირს და ვინც ღირსია, იმათ ვუნაწილებთ ფონდის თანხას, — გვიყვება გურამ მამალაძე.

— მაგალითად, — ურთავს რომელიღაც მუშა, — ბაირამოვს რვა შვილი ჰყავს. ფონდიდან ყოველდღიურად ვაძლევთ დახმარებას. რძესაც უფასოდ იღებს. გარდა ამისა, ცემში ჩვენი საკუთარი პიონერთა ბანაკი გვაქვს და ბავშვებისათვის შეღავათიან ფასებში ვაძლევთ საგზურებს.

— ერთი ოჭროსავით ბიჭი გვყავს, ფედია ჟელტკოვი. ბელორუსია. ხარატად მუშაობს, — აგრძელებს მეორე მუშა, — მოეღო სიყვარულის ცეცხლი ფედიას. მოედო, მაგრამ არც საკუთარი ბინა აქვს და არც ისეთი ქორწილის მოწყობის თავი, როგორიც ასეთ ბიჭს შეეფერის. ტანია კი კარგი გოგოა. გვინდა, რომ ჩვენი კოლექტივის პატარძალი გახდეს. დავტრიალდით ყველანი...

— მერედა როგორ დავტრიალდით!..

— ჰაი დედასა!...

— აბა ხელიდან როგორ გავუშვებდით ასეთ გოგოს! — ისევ სიცილ-ხარხარით გაისმის შეძახილები.

— მოიცათ, დავამთავრო!.. ჰოდა, იმას ვამბობდი, დავტრიალდით ყველანი... ფედიას მხარში ამოვუდექით, ქორწილშიაც მხარი დავუმშვენეთ და არც კარგი საჩუქრის მირთმევა დაგვიწყეია. ბინას საქმესაც უახლოეს ხანში მოუგვარებს ჩვენი ზურაბი...

— ამათ ვენაცვალე, ჩემი ძმები არიან! — ქართულ ენაზე ჩაილაპარაკა დამორცხვებულმა ფედია ჟელტკოვმა.

ლენინის ორდენის კავალერი ხარატი ზურაბ გველუკაშვილი ქარხნის საბინაო-საყოფაცხოვრებო კომისიის თავმჯდომარეა. კომისიაში ცხრა წევრია. კომისია სისტემატურად ამოწმებს მუშების საბინაო პირობებს. შემოწმების შედეგად, კომისია ადგენს თავის დასკვნას, რომლითაც ხელმძღვანელობენ ბინე-



უბნის უფროსი გურამ მამალაძე და ხარატი ალიოშა ჯემაღოვი.

11831

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ფოტო
თ. არჩვაძისა

მგეგმავი ნინა აკოფოვა და ხარატი ზურაბ გველუკაშვილი.

ბის განაწილების დროს. ასე მიიღეს ბინები, მაგალითად, ზურიკო ურუაშვილმა, გურამ გულიკაშვილმა და სხვებმა.

— მეც მინდა გითხრათ ორიოდე სიტყვა, — გვეუბნება ვაზგენ ბაღდასაროვი, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა ოთახის კუთხეში.

ვაზგენი ქარხნის ვეტერანია. უკვე 62 წლისაა, მაგრამ შინ ჯდომას და უქმად ყოფნას არც აპირებს. ანდა როგორ უნდა შეელიოს ამ კოლექტივს, სადაც ღვიძლი და-ძმებივით არიან ყველანი. ბევრი რამ აქვს საამაყო და მოსაგონი ძია ვაზგენს. აი თუნდაც, ის ამბავი რად ღირს, რომ მას სახლის მშენებლობაში, როგორც ერთი, ისე ამოუდგა მხარში ყველა. ქარხანა დაეხმარა ეშოვნა ცემენტი, სხვადასხვა სამშენებლო მასალა და მოკლე დროში მუშაკაცმა ოთხოთახიანი კოხტა და ყოველმხრივ გამართული სახლი წამოგიმა.

— შეიძლება ვცდები, მაგრამ ასე მგონია, რომ ჩვენი ხალხის მეგობრობისა და სიმტკიცის ყველაზე დიდი გამოცდა სამამულო ომი იყო, — ვაზგენი წამით ჩუმდება და მაშინვე აგრძელებს, — დღესაც ნათლად მახსოვს ის მძიმე დრო. მტერი კავკასიაში მოძვრებოდა. ჩვენ, კიროველი მუშები, დღესა და ღამეს ვასწორებდით. ერთმანეთს გაუტეხელ კლდესავით ვუდგეთ მხარში. ჩვენ ურთიერთ სიყვარულისა და ხალხთა ძმური მეგობრობის წყალობით გავიმარჯვეთ... საბჭოთა კავშირის გარდა, სხვა ქვეყანაში ყოველად შეუძლებელია ასეთი რამ...

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვეთანხმებით ძია ვაზგენს. ის, რაც ჩვენ მექანიკური საამქროს მესამე უბანში ვნახეთ, ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში შეიძლება დავინახოთ, მაგრამ მსგავსი რამის ნახვა სხვაგან შეუძლებელია.

სწორედ ეს ძმური მეგობრობა და საბჭოთა ქვეყნის უზომო სიყვარულია საფუძველი და საწინდარი იმ დიდი თავდადებული შრომისა, რომელსაც ეს სამოცდათორმეტი ადამიანი ეწევა. სწორედ ეს ძმობა და რწმენა აძლევს მათ სტიმულს იმ შრომით წარმატებებში, რომლითაც მთელი ქარხანა ამაყობს.

მექანიკური საამქროს მესამე უბანი კომუნისტური შრომის უბნის სამატიო სახელს ატარებს. საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად უბანმა ვალდებულება აიღო, წლიური დავალება 8 დღით ადრე შეასრულოს. მუშებს შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. ყველას აქვს თავისი პირადი გეგმა, რომელშიც დეტალურად არის გათვალისწინებული შრომის ნაყოფიერების ზრდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლა.

დროის ეკონომიისათვის უბანში კიდევ ერთი სიახლე დაინერგა. გამოშვებულ პროდუქციას წინათ წუნმდებელი უწევდა კონტროლს, ახლა პროდუქციას თვითონ მუშა არტყამს დამღას და თვითონვეა მის მიერ დამზადებულ პროდუქციაზე პასუხისმგებელი.

მერვე მექანიკური საამქროს მესამე უბანში მუშაობენ ხარატები, ზეინკლები, მბურღავები, მხეხავები, მღარავები, მწრთობელები და სხვა პროფესიის მუშები. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მუშაობის რიტმული ციკლი, მუშებმა გადაწყვიტეს უახლოეს ხანში დამატებით მეორე პროფესიაც შეისწავლონ. ის, რასაც ადრე აკეთებდა ერთი მუშა, ახლა თავისუფლად შეუძლია გააკეთოს მისმა მეგობარმაც.

ქარხნიდან ბაბუკები საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. ახლა საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობენ ქარხანაში აღზრდილები: ნოდარ ჩიტაშვილი, გურამ წიკლაური, თამაზ სეფიაშვილი და სხვები. მათ ადგილს შევსება სჭირდება. უბანში სამუშაო რთულია, მას გამოცდილი ხელი და ცოდნე ადამიანები ესაჭიროება.

რესპუბლიკის დამსახურებულმა მუშამ ავთანდილ ხარიტონაშვილმა, შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერმა, მხეხავმა იოსებ სალაყაიამ და სხვა გამოცდილმა მუშებმა ეს საქმეც მოაგვარეს. თითოეულმა მათგანმა რამდენიმე მოსწავლე აიყვანა. გამოცდილი და საქმეში გაწაფული მუშები თავიანთ მდიდარ ცოდნას ხალისით უზიარებენ ახალბედებს. ახლა ხშირად შეხვდებით ოსტატების გვერდით მოფუსფუსე ახალგაზრდებს, რომლებიც გულისყურით უკვირდებიან ყველაფერს და სწრაფად ითვისებენ ხარატის, მღარავის, მხეხავისა თუ მწრთობელის ურთულეს პროფესიებს.

დიდი სახალხო დღესასწაული — საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავი კარზეა მომდგარი. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, შრომით ვახტზე დგას. ჩვენი ქვეყნის მშრომელები ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ, რომ ახალი გამარჯვებებით გაახარონ სამშობლო.

ოთარ დემეტრაშვილი
ზაალ გახუტიშვილი



მხეხავი იოსებ სალაყაია (მარჯვნივ) თავის მოწაფეებთან.

გამმართავი ვაზგენ ბაღდასაროვი.

მხეხავი ანია ფირულინა.

ბაგელ რაკიმი

ვე ცოცხალს ვხელავ



არ მჯერა, თითქოს
აქ არ ყოფილა
და არ უნახავს
ქალაქი ბაქო,
რომ არ უნახავს
ეს ცა და ფილა,
რომელიც ბევრმა
პოეტმა აქო.

არა!.. აქ იყო,
მას გესაუბრეთ,
უცქერდა ტალღებს —
გრიგალში ნახვევს,
და ზღვაში შეჭრილ
მშვენიერ უბეს
დღეს ჩვენ ვუწოდებთ
ლენინის სახელს.

ჩვენ ბელადს შევხვდით
დროშების გაშლით,
ნავთის კოშკები
ნახა დალხენით,
ამიტომ ახლა
ჩემს დიდ ქალაქში
გვაქვს რაიონი
მისი სახელის.

ნახა, ზღვა როგორ
ლივლივებს ლურჯად,
მზემ ოქროს შუქი
ვით დაგვაფრქვია,
ამიტომ ჩემთვის
საყვარელ ქუჩას
დიდი ლენინის
პროსპექტი ჰქვია.

სალამი, ლენინ!
შენი ხმა დაბჭრის,
ჩვენს წინმსვლელობას
აფუძნებს, აქნებს...
ამ პლანეტაზე
ყველა ქალაქის
შენ საპატიო
ხარ მოქალაქე.

ერთი წუთითაც
არ ცხრება ტაში,
მე ცოცხალს გხვდები,
ვმაღლდები ცამდე,
ნათლად ელვარებს
წელთა დენაში
ის დღე, როდესაც
შენ დაიბადე.

არ მჯერა, თითქოს
აქ არ ყოფილა
და არ უნახავს
ქალაქი ბაქო,
რომ არ უნახავს
ეს ცა და ფილა,
რომელიც ბევრმა
პოეტმა აქო.

თარგმნა გიორგი სამხარაძემ

მეცნიერი, მოღვაწე, ადამიანი



თითქოს სულ ახლახანს იყო; ავლიპ ზურაბაშვილს სამოცი წლის იუბილე რომ გადავუხადეთ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი ვეება დარბაზი ხალხით იყო სავსე, მოდიოდა დეპეშები საბჭოთა კავშირისა და მთელი დედამიწის ყველა კუთხიდან, ულოცავდნენ დიდ მეცნიერს, რომელმაც ბევრი რამ ახალი შესძინა მსოფლიო მედიცინას. მას მერე დღეები სწრაფად გავიდნენ შრომაში, ჯაფაში და აი სამოცდაათი წელიც.

აკად. ა. ზურაბაშვილის შემოქმედებაზე, მის ფიზიკურ შესაძლებლობაზე ათ წელს არავითარი დაღი არ დაუტოვებია. ენერგიით სავსე გარეგნობა, საქმისათვის ახალგაზრდული წვა და ძლიერი სასიცოცხლო ტონუსი ჯერ კიდევ ბევრ სიკეთეს უქადის მეცნიერებას, საზოგადოებას და მის მოწაფეებს.

როდესაც უცქერი იუბილარს, უნებურად გაგონდება დიდი სულხან-საბა ორბელიანის შეხედულება ასაკზე, იტალიაში, პალერმოში შეხვედრილ ერთ-ერთ ოსტატზე რომ სწერს — 75 წლის თუ იქნებოდა და, მოხუცს კი დამსგავსებოდაო. ეტყობა, სულხან-საბას 75 წელი არ მიაჩნდა სიბერის მაუწყებელ ასაკად, — მით უფრო შორსაა სიბერე 70 წლისათვის (ამასვე ამბობს სათანადო შესწავლისა და დაკვირვების შედეგად, დღეანდელი გერონტოლოგიური მეცნიერება).

ბოდბისხევში დაბადებულმა და აღზრდილმა ჭაბუკმა ლენინგრადში დაიცვა საკანდიდატო (1933 წ.) და სადოქტორო (1937 წ.) დისერტაცია. მომწიფებული, ღრმად განსწავლული მეცნიერი დიდი ენერგიით და საუკეთესო სურვილებით დაუბრუნდა მშობლიურ კერას, 1938 წლიდან ჩაუდგა სათავეში მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტს, რომლის დირექტორია დღესაც.

აკად. ავლიპ ზურაბაშვილის შრომისმოყვარეობა მართლაც განსაცვიფრებელი და მისაბაძია. მის კალამს ეკუთვნის 250 გამოშვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი ქართულ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ავლიპ ზურაბაშვილის მრავალი მეცნიერული გამოკვლევა მსოფლიო მნიშვნელობისაა, ამით აიხსნება მისი ყოველდღიური ფოსტის მრავალსახეობა — სწერენ მეცნიერების დოქტორები, რიგითი ექიმები და ფსიქიატრიის საკითხებით დაინტერესებული მოქალაქენი; ზოგი რჩევას სთხოვს, ზოგიც უზიარებს მისი ნაშრომებიდან მიღებულ შთაბეჭდილებას. ღვაწლმოსილი მეცნიერი გულისხმიერად ეკიდება ამ წერილებს და არცერთ შეკითხვას უპასუხოდ არ სტოვებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ავლიპ ზურაბაშვილის დაუღალავი ზრუნვა მეცნიერთა ახალი კადრების აღზრდისათვის. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაცულია 19 სადოქტორო და 20 საკანდიდატო დისერტაცია. მასვე ოთხასზე მეტი სამეცნიერო-პოპულარული წერილი აქვს გამოქვეყნებული; ა. ზურაბაშვილის ხელმძღვანელობით შესრულებულია ფსიქიატრიის ინსტიტუტის და ფსიქიატრიის კლინიკის თანამშრომელთა ექვსასზე მეტი ნაშრომი.

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსების — ი. თარხნიშვილისა და ვ. ბეხტერევის პრემიების ლაურეატი, საკავშირო სამედიცინო აკადემიისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ავლიპ ზურაბაშვილი, იმავე დროს, არის მეტად უბრალო, მგრძნობიარე, გულთბილი და გულკეთილი ადამიანი, რომელიც მუდამ მზადაა დამხმარე ხელი გაუწოდოს ადამიანს. მას ერთობ უყვარს სოფელი, თოხი, ბარი. ბოდბისხევში ჩასულს უქმად ვერ ნახავთ. — რა სჯობიაო ფიზიკური შრომით შუბლზე ჩამოწვეთილ ოფლს, — იტყვის ხოლმე კერძო საუბარში და თავისებურად უნებელი ბავშვური სიცილით ჩაიცინებს.

უაღრესად ნაყოფიერი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ავლიპ ზურაბაშვილი დაჯილდოებულია ლენინის ორი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით და მედლებით.

აკად. ა. ზურაბაშვილი სიამაყის გრძნობით ამბობს, რომ იგი აკადემიკოს ბეხტერევის მოწაფე და მიმდევარია, რომ მისი მრავალფეროვანი შემოქმედების პრობლემა ძირითადად შემდეგ საკითხს ეხება: „ტვინი და ფსიქიკა ნორმასა და პათოლოგიაში“.

ბოლო წლების მანძილზე ავლიპ ზურაბაშვილმა გამოაქვეყნა არაერთი ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომი პერსონოლოგიის სფეროდან, სადაც იგი განიხილავს იმ ფსიქოლოგიურ მასალას, რასაც მხატვრული ლიტერატურა გვაწვდის პიროვნების თავისებურებათა შესწავლის თვალსაზრისით. ამ ნაშრომებს შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მისი ნარკვევები რუსთაველის პოემაზე, ნ. ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე. თავისი ამ ნარკვევების წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს: „წარმოდგენილ შრომაში შევეხებით რუსთაველის გმირთა თავისებურებებს პერსონოლოგიური ფსიქოლოგიის თვალთახედვით. პოემის ფსიქოლოგიური ანალიზისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ თანამედროვე პერსონოლოგია პიროვნულ გამოვლინებებს შეისწავლის ფსიქიკური აპარატის ევოლუციური სრულქმნადობის საფუძველზე და ამასთანავე, განსაკუთრებით უსვამს ხაზს ფსიქოლოგიურ ანტინომურ რეაქციათა ურთიერთდაკავშირების პრობლემას“.

საგულისხმოა, რომ ავტორმა თავის ამ ნაშრომებს შემდეგი სიტყვები წაუწერა: „ვუძღვნი რა ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდობას, მინდა ვუსურვო მას მაღალი პიროვნული თვისებები, რათა დაუშრეტელად უყვარდეთ სამშობლო, ტკბებოდნენ შრომით და ჰქონდეთ ადამიანისადმი გულწრფელი პატივისცემის გრძნობა“.

ამ მაღალი პატრიოტული მისწრაფებებით არის გამსჭვალული ჩვენი სახელოვანი მეცნიერის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა.

ვუსურვოთ მას დღეგრძელობა და ახალი წარმატებანი.

ბაბი სვანი

ჩხოროწყუს საოცრება

აქ ლაპარაკი იქნება მოგზაურზე, რომელმაც ჩხოროწყუში აიდგა ფეხი და მსოფლიოს მრავალი ქვეყანა შემოიარა, მათ შორის ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, კუბა, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი და ა. შ. მან მოიარა ევროპის, აზიის, ამერიკისა და აფრიკის ორმოცამდე სახელმწიფო და ის ყველგან სასურველი სტუმარი იყო, ყველგან მას სიხარულით ხვდებოდნენ, როგორც მშრომელს, დოვლათისა და ბარაქის მომტანს, ყველგან შინ ეპატიჟებოდნენ და თავისიანად მიიჩნევდნენ. ეს საოცარი მოგზაური გახლავთ, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურის გრძელხორთუმიანი მთის ფუტკარი.

მან მართლაც გააოცა მთელი მსოფლიო.

სოფელი მუხური რაიონის ცენტრიდან თხუთმეტი კილომეტრის მანძილზე მდებარეობს, ხობისწყლისა და ლუგელას თვალწარმტაც ხეობაში; აქ მთის ფერდობებზე მოწყობილია ქართული გრძელხორთუმიანი ფუტკრის საჯიშე სახელმწიფო მეურნეობა.

აქ მუშაობენ გამრჯე ადამიანები და აშენებენ ამ უძვირფასესი ჯიშის ფუტკარს, რომელსაც შემოსავლიანობისა და თაფლის ხარისხის მხრივ მსოფლიოში ბადალი იშვიათად მოეძებნება.

როგორც უკვე ვთქვით, ჩხოროწყუს ფუტკარი ბევრ ქვეყანას ესტუმრა, მან ბევრი ქვეყნის მეფუტკრე და მეცნიერი დააინტერესა. და აი, შარშან

ოცინდალის საფუტკრე. ფუტკრის ოჯახების შემოწმება.

სქურის საფუტკრე მეურნეობის ხედი.

ისინი სახლში, მის ბინაზე ესტუმრნენ ამ მოუღლელ მშრომელს. მეფუტკრეობის ოცდამესამე საერთაშორისო კონგრესის მონაწილენი (კონგრესი მოსკოვში მოეწყო) — ინგლისელები, ამერიკელები, ავსტრალიელები, კანადელები, ჩეხები, პოლონელები, რუმინელები ჩამოვიდნენ ჩხოროწყუში, რათა თავისი თვალით ენახათ ხობისა და ლუგელას ხეობები, მელეთის უბანი და ოცინდალე, სადაც ეს საოცარი ფუტკარი იბადება. უცხოელი სტუმრები დიდხანს ატრიალებდნენ ხელში ფუტკრიან ჩარჩოებს, ხელის გულზე ისვამდნენ ფუტკრებს, და ისინიც ისე გაუშინაურდნენ სტუმრებს, რომ აქ ალარ იყო საჭირო არც საბოლებელი და არც პირბადე.

საჯიშეს მთავარი ზოოტექნიკოსი ხარიტონ სორდია დინჯად ეხაუბრებოდა სტუმრებს ქართული გრძელხორთუმიანი ფუტკრის თვისებებზე, მეურნეობის პერსპექტივებზე.. და საკვირველი ის იყო, რომ სტუმრები ამ ჩვეულებრივ საუბარს ხშირად ტაშით აწყვეტინებდნენ.

მოწინავე მეფუტკრეები ელისო ჯიქია და ნატო ბაძაღუა.

ფოტოები ბ. აფხაზავასი

მაგრამ ეს არავის არ უნდა გაუკვირდეს — აქ ყოველ ნაბიჯზე წააწყდებით ისეთ ამბავს, რომელმაც არ შეიძლება აღტაცება არ გამოიწვიოს.

მუხურის სახელმწიფო საჯიშე მეურნეობა, რომელიც ოცდახუთი კილომეტრის მანძილზეა განლაგებული, ჩამოყალიბდა 1948 წელს; პირველად აქ ჰყავდათ ფუტკრის 48 ოჯახი, დღეს კი მეურნეობას ჰყავს 3.500 საჯიშე სკა. აქვე, 1961 წელს შეიქმნა საკოლმეურნეობათაშორისო საჯიშე მეფუტკრეობის საბჭო, რომელშიც გაერთიანებულია რაიონის თვრამეტი კოლმეურნეობა და ჰყავს 1.500 ოჯახი ფუტკარი.

სწორედ აქედან მიდის ამანათნაყრები (პაკეტები) შორეულ გზებზე. შეკვეთას შეკვეთა მოსდევს, ხელშეკრულებას ხელშეკრულება; უცხოელი მეფუტკრეები თხოულობენ ქართულ საჯიშე დედაფუტკარს, რათა ადგილობრივი ჯიშები გააუმჯობესონ. ამიტომ ესოდენ დიდია მასზე მოთხოვნილება. ამანათი ამანათზე იგზავნება უცხო ქვეყნებში, საიდანაც შემდეგ გულთბილი მადლობისა და მოკითხვის ბარათებს ღებულობენ მუხურელი მეფუტკრეები.

მუხურის საჯიშე ფუტკარს, სხვა ჯიშის ფუტკრებთან შედარებით, დიდი უპირატესობა აქვს. მისი ხორთუმი 7,4 მილიმეტრია, რიაზანის ფუტკრისა — 5.81 მილიმეტრი, სპარსეთის ფუტკრისა — 6,36 მილიმეტრი, ავსტრიის ფუტკრისა — 6,59 მილიმეტრი. გარდა ამისა, ქართული მთის რუხი ფუტკარი უფრო მეტი შრომისა და გარჯის მოყვარულია და ამიტომ უფრო მეტად პროდუქტიულია.

1961 წელს ქართული ფუტკრის მუხურის სახელმწიფო საჯიშე მეურნეობიდან ორი ოჯახი იყო გაგზავნილი ქ. ერფურტის მსოფლიო გამოფენაზე; თითოეული ოჯახისაგან 97 კილოგრამი თაფლი მიიღეს, როდესაც სხვა ჯიშის ფუტკრების პროდუქტიულობა არ აღემატებოდა 35-40 კილოგრამს. სწორედ ამიტომ ქართულმა საჯიშე ფუტკარმა სამჯერ დაიმსახურა ოქროს დიდი მედალი. პირველად, 1961 წელს ქალაქ ერფურტის, მეორედ, 1965 წელს, ქალაქ ბუქარესტის, ხოლო მესამედ — 1971 წელს მოსკოვის საერთაშორისო გამოფენებზე.

ქართული ფუტკრის მუხურის სახელმწიფო საჯიშე მეურნეობას ჰყავს თავისი შრომისმოყვარე, გამრჯე, საქმისათვის თავდადებული ადამიანები. თითქმის ოცი წელიწადია, რაც საჯიშე საფუტკრის დირექტორია იროდი თოლორდავა,—თავმდაბალი, წყნარი, მშრომელი და კეთილი კაცი. წლების მანძილზე მან დიდი გამოცდილება დააგროვა; მისი წარმატებების ყველაზე მთავარი საწინდარი ის დიდი სიყვარული და გატაცებაა, რომლითაც იროდი თავის საქმეს ეჭიდება.

ფუტკარი დიდად მშრომელია და ამასთან მომთხოვნი, თუ მას შესაფერი პირობები არ შეუქმენი, დიდ ღალას არ მოგცემს. იროდიმ ეს კარგად იცის, ამიტომ დღენიადაგ თავს დასტრიალებს და შეჰფოფინებს ფუტკრის ოჯახებს, ზრუნავს იმ ადამიანებზე, ვინც ფუტკარს უვლის, ძალასა და ღონეს არ იშურებს მეურნეობის ამ დარგის ასაღორძინებლად. მათ შორის უნდა დავასახელოთ მოწინავე მეფუტკრე რაისა ანთია, რომელმაც დიდი ამაგი დასდო მუხურის ფუტკრის საჯიშეს. ელისო ჯიქიამ ჩხოროწყუს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მიაშურა მუხურის მეურნეობას და დღეს ის მოწინავე და გამოცდილი მეფუტკრეა. ასევე მოწინავე და სახელოვანი მეფუტკრეა ნატო ბაძაღუა, რომელიც დიდი სიყვარულით უვლის თითოეულ ოჯახ ფუტკარს. ცოლ-ქმარი გალინა და მირიან გაბედავები თითქმის თხუთმეტი წელიწადია რაც მუშაობენ მეფუტკრეობის მეურნეობაში. აქვე უნდა მოვიხსენიოთ სელექციონერ-ზოოტექნიკოსი ნ. გახარია, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით ხდება შერჩევა სანაშენო ექსპონატებისა, რომლებიც მსოფლიოს ყველა კუთხეში იგზავნება.

ბოლო წლების მანძილზე მეურნეობაში ჩატარდა დიდი სამშენებლო და კეთილმოწყობის სამუშაოები, ყველა შენობა-ნაგებობას გაუკეთდა კაპიტალური რემონტი, მოასფალტებული იქნა მეურნეობაში მისასვლელი და შიდა გზები, დარგეს მარადმწვანე მცენარეები, მოეწყო სტენდები, მთელი ეს მიდამო წალკოტს დაემსგავსა.

საჯიშე მეურნეობის კოლექტივი თავდადებით იღწვის ყველაზე მაღალი მაჩვენებლების მოსაპოვებლად, დოვლათის განუხრელი ზრდისათვის. ამ საპასუხისმგებლო ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებსაც ჩვენს წინაშე მეცხრე ხუთწლედი აყენებს.

ალექსანდრე სიგუა

მოწინავე მეფუტკრეები—ცოლ-ქმარი გალინა და მირიან გაბედავები.

ალეკო უენგელია

ჭიუპრი ვოლა

ანდრია აფაძიძეს

1.

დიდო გონებავ,
წაიკითხე,
დაისწავლე ადამიანი,
მისი არსების
გზები გახსენ
და დაიარე!
იმ სამყაროთა
უსასრულო შუქწელიწადებს,
იქნება,
ჩვენი უსასრულო
სიცოცხლეც ჰგავდეს!

ავდივარ მთაზე
და მთათა ზემოთ,
ნისლის სითეთრე
დამათოვს და დამესხურება.
აქ ქვები ყრია,
თუ აწყვია საფეხურებად...
კარგია ოფლი, —
საჭიროა მარილის გემოც!

ავდივარ მთაზე, —
წევს სივრცეში
ლურჯი ხომალდი,
დიდი წარსულის სიცოცხლეზე
გუგუნებს ქვები.
მზის ადგომამდე,
ხვალინდელი დღის დადგომამდე,
წინა დღეების ფიქრებში ვწვები.

ამ ნაფეხურებს
ვეაჯები
და ვეფერები,
ქვათა მცხუნვარე
სითბო არ მტოვებს.
ჩემი ძარღვებით
იმ გამქრალ გულს
დავეკერები,
იმ სიცოცხლეთა
კვლავ დავიმერ,
შევძრავ ატომებს!

დავდივარ მთაზე,
შუბისთავებს,
ქვის ორლესულებს,
ვარჩევ,
ვაგროვებ,
ვიწყლულებ ხელებს,
სამარადისოდ გარდასულებს
ვიძახებ სულებს,
ვაღვიძებ ქვებში
მთვლემარე გენებს.

---

* ქუაში გოლა — ქვის მთა.

აქ საუფლოა
ქვების, ლოდების,
და მზეზე იწვის,
ითანგება
ქუაში* გოლა.
ჩავალ მღვიმეს და,
წარსულის მეგზურს დაველოდები,
და ძველი ცეცხლის
აქ ნაფლეთი,
ღვივის და ბოლავს!

სადღაც წყვდიადში,
წყარო ჩადის უფსკრულს
წკანწკარით,
წვეთების ცემა
ჩემი გულის ცემის მსგავსია.
საქართველოში
რატომ ერქვა ღარიბს საწყალი,
როცა მთაბარი
წყლებით სავსეა!

ქვებში ჩამარხულს,
საუკუნეთა,
ჩავყურებ ფესვებს,
და,
ვგრძნობ სიმწვანეს,
და,
ვხედავ ფოთლებს,
ხელებს გავუწვდი
დავიწყებულ ფერებს და ლექსებს.
ბრძოლებს და ზავებს,
ზავებს და შფოთებს!

ვთვალე წარსულის დღეთა მხედრობა
და, ვერ დავთვალე,
დიდ სამსხვერპლოზე
აქ, ერთნაირ
ბედქვეშ არიან,
ვაჟები უყვართ,
ვაჟკაცები
ომებს და ქალებს,
ქალიც და ომიც,
ამავე დროს, ეპვიანია!

2.

განთიადისას
მოვარდება აქ ისევ წვიმა,
და,
გაბრწყინდება
შორეულ მთათა ჭრელაჭრულები.
და ზეცის ხარხარს,
და მიწის ბრწყინვას,
მე დილის ლოცვას
ვეჩურჩულები.

დიდ მწვერვალებზე
ელვარე მზე
ანთია ისევ,
მე კი წყალი ვარ
გაბნეული წვიმის ბადეში,
შთამომავალი,
შვილიშვილი,
თუნდაც ბადეში,
ყველა იმ დროის,
დასრულდა რაიც!..

მე ღრუბელი ვარ,
ვარ მუხის ტოტი,
და სიცოცხლე ვარ
მონადირის,
მწყემსის,
მეტყევის.
მწვანე ჯეჯილის
სუნთქვაშიც ვთრთოდი,
მე წყაროს წყალი
უტყვიც,
მეტყველიც!

გზა უსასრულო
ასწლეულებს
ისევ ჩაივლის,
მღვიმეში
სადღაც ჩაუმქრალი
ანთია კვარი.
ადამიანი —
მარტო წყალი,
მარტო ჰაერი,
მიდის და მოდის,
რომ რაიმე დატოვოს კვალი!

3.

მე და სიბნელე
მალე ერთმანეთს
შევეთვისებით, —
ასე ქრებიან
აისები
და დაისები.
უხსოვარ გზებზე
დაცემულებს,
მგზავრებს პირველებს,
მივესალმები,
როგორც ფრინველებს,
რომლებმაც განვლეს
ცივი და ცხელი,
მრავალი წელი,
და ქვის და მიწის სიყვარული
დატოვეს მწველი.

...მე, ახლა ისევ
ავდივარ მთაზე
ადამიანურ ეპვით,
ოცნებით,
სურვილით სავსე.
დროთა სივრცეში წევს ხომალდი,
ლურჯი ხომალდი.
გრძელი წარსულის სიცოცხლეზე
გუგუნებს ქვები.
მზის ადგომამდე,
ხვალინდელი დღის დადგომამდე,
წინა დღეების ფიქრებში ვწვები.

ᲣᲐᲚᲕᲐ ᲣᲐᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲣᲗᲘᲜᲘᲡ ᲚᲐᲒᲣᲜᲕᲔᲚᲘ



მჭადიჯვარელმა მასპინძელმა, განთქმულმა მონადირემ ქიმბარ ძლიერიშვილმა ღამით აღარ გამოუშვა ილია ჭავჭავაძე.

— დარჩით ბატონო, უკვე გვიან არის, ხიფათს არ გადაეყაროთ! — მასპინძლის გულითადმა თხოვნამ გასჭრა.

კალოობა იყო. ცხელოდა. სტუმარმა აივანზე ისურვა ძილი.

წყნარ, ნათელ ღამეში ბადრი მთვარე ანათებდა ტყენაცარას მწვერვალებსა და მომკილ მინდორს.

ეზოში დიდი კაკალი იდგა და მისი ტოტები აივნის მოაჯირამდე სწვდებოდნენ.

ილია გულაღმა იწვა და სავსე მთვარეს გაჰყურებდა. ძილი გაუტყდა. სოფლის ნაპირიდან ნარეკვავის ტალღების სუსტი შრიალი მოისმოდა.

ნადირობამ მოქანცა. სად არ იარეს, მინდვრიდან ტყეში ავიდნენ. ღელეში, მოჩხრიალე წყაროსთან მწოლარე დაჭრილ ირემს წაადგნენ. ადამიანების დანახვაზე ირემმა წამოდგომა სცადა, მაგრამ ამაოდ, ნატყვიარმა ფეხმა უმტყუნა, ისევ მიწაზე დაეცა.

— ვიღაცას დაუჭრია, აქამდე კი მოულწევია, მაგრამ მეტი ვეღარ უვლია. ყელს გამოვჭრი, ბატონო ილიავ, — უთხრა ქიმბარმა და ქარქაშიდან ხანჯალი ამოსწია.

— ხელი არ ახლო! ხედავ რა შეშინებული თვალებით შემოგვცქერის, თითქოს და მართლაც გვეუბნება: — თქვე უღვთო ადამიანებო, რა დაგიშავეთ, განა მე კი ვერ დავეტეოდი ამ უღრან ტყეშიო.

ქიმბარმა ხანჯალი მაშინვე ქარქაშში ჩააგო. განთქმული მონადირე გოცებული იყო: ილიას თვალებში ცრემლი ჩასდგომოდა.

შემკრთალი ქიმბარი ვეღარას ახერხებდა. ბოლოს ესღა წამოიძახა:

— აბა რა ვუყოთ ამ ხარირემს, აქ დაეტოვოთ? სულ ერთია ამაღამ მგელი შესჭამს.

— აი, ხომ ხედავ, ამდენხანს მგელს გადარჩენია, მაგრამ კაცს კი ვერა!

ქიმბარი ირემთან მივიდა. დაფეთებულმა ცხოველმა მხოლოდ თავი გაუქნია და რქებით მიწა მოთხარა, მერე, თითქოს ბედს დაემორჩილაო, გარინდდა.

— ბეჭში აქვს მოხვედრილი, ბატონო ილია, ყელს გამოვჭრი.

— მე ნუ დამანახვებ, — თქვა ილიამ და უგუნებოდ ჩაიარა რცხილნარით დაფარული ფერდობი.

აივანზე გულაღმა მწოლარე ილიას ისევ იმ დაჭრილი ირმის თვალები აგონდებოდა. ის-იყო ჩასთვლიმა, რომ გზიდან ტკბილი ურმული მოესმა.

გარინდებული უსმენდა, ჭრიალზე მიხვდა, რომ ურემი მძიმედ დატვირთული იყო. შემდეგ ხმა უფრო ახლოდან მოისმა. ილია ლოგინში წამოჯდა და კალოებისკენ მიმავალ შარაგზას გადახედა.

მთვარის შუქზე კარგად ჩანდა ძნის ურემი. კოფოზე მოხუცი კაცი იჯდა; ხელში სახრე ეჭირა. კამეჩებიც ნელი ნაბიჯით მიზიზინებდნენ.

ილია ფრთხილად წამოდგა. ტანსაცმელი ჩაიცვა, ეზოდან შარაგზაზე გავიდა და აღმართზე ამომავალ ურემს დაელოდა.

ურემი ილიას გაუსწორდა.

მეურმე სიმღერით ისე იყო გართული, რომ გზის პირას მდგომი კაცი ვერც კი შენიშნა. ურემი ჭრიალით აჰყვა აღმართს. ილიას კი კარგად დაახსომდა მოხუცის ალაღმართალი, თეთრი წვერულვაშით შემოსილი სახე, მაგრამ როდი იცოდა, რომ იგი სოფელში განთქმული გუთნისდედა თანდილა საღირაშვილი იყო.

• • •

შემოდგომის ერთ დილას ტყენაცარას ძირში თანდილა ახლად გატეხილ ახოს ხნავდა, შვიდი უღელი ხარ-კამეჩი ღონივრად ეწეოდა ჭაპანს. თანდილა საკვეთელს დაბლა სწევდა და მიწაში დარჩენილ ხის ფესვებს ძირიანად გლეჯდა.

გამოცდილი გუთნისდედა ბოლოში გატანილ გუთანს სწრაფად აუგდებდა ხოლმე. მეხრეებიც მოხერხებულად შემოაბრუნებდნენ წინახარებს და ისევ იჭიმებოდა ჭაპანი.

— ფუ, დაგლახვროს ღმერთმა, — დაიძახა თანდილამ და კვალიდან ველზე ადგა ფეხი. საკვეთელმა ჭრელი გველი გადასჭრა.

ცუდად ჰქონდა დაცდილი წყეულის ნახვა გუთნისდედას, უნდოდა ხარ-კამეჩი გამოეშვა, მაგრამ ეშმაკს მიაფურთხა და ისევ კვალს მიჰყვა. მამასახლისის მუქარა გაახსენდა: „თუ არ გადაიხდი, შავ დღეს დაგაყენებო“.

მოიღრუბლა. თანდილამ ზეცას ახედა და გაიფიქრა, იწვიმებსო. გამოცდილ თანდილას თვალი და გუმანი არასოდეს არ უმტყუნებდა...

მეხრეებს გასძახა, — ხარებს გაუჯავრდით, იქნებ გაავდრებამდე ორჯერ კიდევ შემოვუაროთო.

მეხრეებმაც ააჩქარეს ხარები. შვიდი უღელი ერთგულად ეწეოდა ჭაპანს.

დღეს შუამეხრის დაიო ძლიერიშვილის ალოსა ხნავდნენ. მისი ჯერი იყო. უღელი ხარი ხომ მისი ება.

შუამეხრეს ოროველა ცხენების თქარათქურის ხმამ შეაწუხეტინა. ზურგშექცეულმა თანდილამ მხედრების მოვარდნა მაშინ გაიგო, როცა ზურგზე მათრახი მოხვდა. ანაზდეულად დაიკენესა, მაგრამ არ წაქცეულა.

— სად არის ფული?! — დასჭყივლა შექეიფიანებულმა მამასახლისმა.

მეხრეებს გუთნეული არ გაუჩერებიათ. ხელი არც თანდილას გაუშვია გუთნის ტარისათვის. ბელტი ყელტზე წვებოდა, ტყენაცარაში გაიელვა. ქუხილმა შეძრა ტყე. მოხუცი მუხლმოკვეთილი მიჰყვებოდა კვალს, მაგრამ როცა მათრახი მეორედ იგრძნო ბეჭებზე, გუთნისდედამ კვალში ჩაიკეცა, მკლავები მოუდუნდა და ნაფთევზე მიწვა. გუთნეული წინ მიიწევდა, კუთნისდედა უკან დარჩა.

მამასახლისმა ახლა მეხრეებს დასჭყივლა. უღლებიდან გადმოყარა და გუთანი აუგდო.

— გუთანი ახსენით! — უბრძანა ჩაფრებს მამასახლისმა. ჭაპანი მათ ხანჯლით გადასჭრეს.

— წინა უღლის ჯაჭვიც ახსენით! — ბრძანა ისევ მამასახლისმა.

ჯაჭვიც ახსნეს.

თანდილამ ცრემლიანი თვალით გახედა გადაჭრილ ჭაპანს. ამოიკვნესა, ძალა მოიკრიბა და მამასახლისს მუდარით მიმართა:

— ისაკო, შენ ღმერთს შეხედე და ცოტახანს კიდევ მადროვე... დუშელი ვაჭარი შემპირდა...

— ვინ ვაჭარი, რას ყბედობ!

— უდიერად ნუ იქცევი, ისაკო, ღმერთი გიწყენს. მართალია, იმ ვაჭარს ვალში ზედმეტი უნდა გადავუხადო, მაგრამ მეტი რა გზა მაქვს. ხომ იცი, გვალვამ გადაგვიწვა ჭირნახული. რაც მოვიდა, წლის ბოლომდე არ გაგვყვება...

— დღეს მაზრის უფროსმა შენი გულისთვის გამთათხა და მოხსნითაც დამემუქრა, თუ სამ დღეში არ აკრიფე გადასახადი, გაგაციმბირებო.

მამასახლისმა თანდილასთან ლაპარაკი შეწყვიტა და ისევ ჩაფრებს გასძახა: — ამ მუხასთან მოიტანეთ, ჯაჭვით აქ, ამ ხეზე უნდა დავაბაო გუთანი. ვიდრე ფულს არ ჩამითვლი, დატყვევებული მეყოლება და მიწაზე კვალს არ გაგავლებინებ.

მამასახლისმა და მისმა დაგეშილმა ჩაფრებმა გუთანი მუხის ძირზე ჯაჭვით მიაბეს და კლიტე დაადეს.

გაფითრებული და ნაცემი გუთნისდედა კი თვალცრემლიანი გაჰყურებდა დატყვევებულ გუთანს.

მეორე დილით, ვიდრე მზე ამოვიდოდა, თანდილა უკვე დუშეთში იყო და ნაცნობი მევახშის კარს ხელის კანკალით უკაკუნებდა.

— შემოდი შინ, — შეიპატიჟა თანდილა მასპინძელმა.

— ნუ მიწყენ, შენი ჭირიმე, დილაადრიანად რომ მოგადექი კარზე, მაგრამ შენს იქით გზა არა მაქვს.

— ფული გენდომება!

— ღმერთმანი გამოიცან, ფული შინდა გესესხო.

— აბა, უარს როგორ გეტყვი!

— აი, გიშველა ღმერთმა. პირდაპირ გაჭირვების ტალკვესი ხარ!

მევახშე თანდილას ყურს აღარ უგდებდა. უჯრიდან გრძელი ქაღალდი ამოიღო და შიგ რამდენიმე სიტყვა ჩაწერა.

—აი, ფული, წაიღე, ხოლო არ დაგავიწყდეს

• • •

მას შემდეგ წელიწადზე მეტმა დრომ გაიარა... სამჯერ გადავიდა თანდილა დუშეთში და სამჯერვე დაკეტილი დახვდა მევახშის სახლის კარი. მეზობლებმა უთხრეს: — რუსეთს წავიდა, მატყული წაიღო გასაყიდათო.

„საცა შემხვდება, იქ გადავუხდიო“, — გაიფიქრა და შინ დაბრუნდა.

გავიდა ორი წელიწადი, მაგრამ მევახშე მაინც არ გამოჩნდა. თანდილას ვალი და სარგებელი ისევ ქისაში ჰქონდა შენახული.

ახლაც იმ მუხასთან ება გუთნეული თანდილას,

სადაც ამ ორი წლის წინათ მამასახლისი ისაკო დაეცა თავისი ჩაფრებით. ისევ იმ მეხრის ალოს ხნავდა. შემოდგომის მშვენიერი დღე იყო. ტყის ფერდობებზე თრიმლი შეწითლებულიყო. ოქროს შემოდგომა იწურებოდა. მაგრამ მზე მაინც უხვად აფრქვევდა სითბოს.

მოშუადღევდა... სოფლიდან სამხარიც მოიტანეს. ეზრეებმა გუთნეული გამოუშვეს. ჩვეულებრივად მუხის ძირში გაშალეს სუფრა. ტიკჭორას პირი მოხსნეს და თითო ჯამი ღვინით დაილოცეს. მომშეულებმა გემრიელად ისამხრეს.

სამხრობის შემდეგ მეხრეებმა, საძოვრად, ცოტახნით ტყის პირებისაკენ გარეკეს ხარ-კამეჩი.

მარტო დარჩენილი თანდილა მუხის ძირას წამოწვა. მუხლებს შვება მისცა.

დღისით ძილი არ იცოდა თანდილამ. ან რა დააძინებდა, როცა მხოლოდ ერთი საათით უნდა შეესვენებინა მუხლი. დაფიქრებული გაჰყურებდა მუხრანიდან მომავალ გზას. იქიდან ვიღაც ცხენოსანი მოემართებოდა.

დააკვირდა მხედარს, თვალებზე ხელის გული მოიჩრდილა. დუშელი მევახშე იცნო, სწორედ ის იყო.. მგლისფერი ახალი ჩოხა ეცვა და მოვერცხლილი ხანჯალი ეკიდა ჩერქეზულ ქამარზე. გრძელი ულვაშები ორივე ლოყის კიდეებამდე სწვდებოდა.

თანდილამ მუხის ტოტიდან გახუნებული ახალუხი ჩამოიღო და მხრებზე წამოისხა. სწრაფად გადაიარა ხნული და მხედარს წინ უყელა.

— გამარჯობა, ძმობილო, ლამის ქისაში გამიცვდეს შენი ვალი. ცოტა ხანს გადმოუხვიე გზიდან. მუხის ქვეშ შეისვენე.

მევახშე კუშტად გამოიყურებოდა. თანდილას თხოვნაზე მართლაც გადმოუხვია გზიდან და ორივენი მუხის ძირში ჩამოსხდნენ. თანდილამ ქისიდან ვალიცა და სარგებელიც ამოიღო და მევახშეს მიუთვალა. შემდეგ ტიკჭორას მისწვდა, პირი მოხსნა და ჯამი ღვინით აავსო.

— დალიე, ნამგზავრი ხარ, ყელი ჩაისველე, — უთხრა თანდილამ და ჯამი მიაწოდა.

მგზავრმა სასმისი გამოსცალა და თან ეს დააყოლა:

— თამასუქი თან რომ არა მაქვს?

— მაგაზე მეტი ჯავრი ნუ მოგცეს ღმერთმა. მერე რა, რომ თან არა გაქვს. მიხვალ შინ და დახევ...

— მენდობი?!

— გენდობიო? — შე კაი კაცო, შენ ამდენ ხანს დამაცადე და მე შინამდე აღარ გენდობი? ამდენი ნდობა აღარ უნდა ჰქონდეს კაცსა?

თანდილამ მეორედ აუვსო ჯამი.

ტყიდან სიომ დაუბერა და მუხას ტოტები შეურხია, ფოთლები აუშრიალა.

მევახშე ამხედრდა და თავის გზას გაუყვა.

გუთნისდედამ კი, თითქოს ზურგზე აკიდებული ლოდი მოხსნესო, შვება იგრძნო.

* * *

დუშეთის მომრიგებელი მოსამართლე ილია ჭავჭავაძე ყავარჯენზე დაყრდნობილ მოხუცს მესამედ ეკითხება: — მაშ ვალი გადაიხადე და აღარა გმართებს რა ამ კაცისა?

— გადავიხადე, ბატონო მოსამართლევ, გადავიხადე, მზის მადლმა!

— სად მიეცი ფული?

— მინდორში, ბატონო მოსამართლევ, ტყენაცარას ახლოს, დიდმუხასთან.

— მოწმე არა გყავს?

— არა, ბატონო, არა მყავს.

— მაინც არავინ იყო ირგვლივ?

— არავინ იყო, მეხრეებმა ხარ-კამეჩი საძოვრად გარეკეს და მუხის ძირას მარტო მე და ეს კაცი ვისხედით.

— სხვა არავინ?

— არავინ, ბატონო, მუხა იდგა და სიოზე მისი ფოთლები შრიალებდნენ.

მომრიგებელ-მოსამართლემ ახლა მევახშეს მიმართა: — იცი შენ სადა დგას ის მუხა?

— საიდან მეცოდინება, როცა თვალითაც არ მინახავს!

— მაშ, ტყუილს ამბობს ეს მოხუცი?

მევახშე წუთით შეყოყმანდა, მაგრამ მაინც უტიფრად თქვა: — ტყუილს ამბობს, ბატონო, არც მაგის ხოდაბუნი ვიცი და არც ის მუხა მინახავს ბატონო, აი, თამასუქი წინ გიდევთ. ფული რომ მოეცა, თამასუქს ჩემთან რა უნდა?

— შენ რას იტყვი, საღირაშვილო?

— მე იმას ვიტყვი, ბატონო მოსამართლე, რაც სიმართლეა: — „თან არა მაქვს თამასუქიო“. მე მივენდე. მაგან კი არ დამინდო. აი, ეს არის, მზის მადლმა...

ილია ჩაფიქრდა... გუთნისდედას უფრო კარგად დააკვირდა. მეხსიერებაში თითქოს რაღაც მივიწყებულის აღდგენას ცდილობდა. ცდილობდა და გაახსენდა მჭადიჯვრის მთვარიან ღამეში მეურმის ტკბილი, ნაღვლიანი ღიღინი. ილიამ იცნო მოხუცი. დარწმუნდა, რომ მოხუცი მართალი იყო, ფიქრში წასული ილია გამოერკვა და მევახშეს მოულოდნელად მიმართა:

— მაშ, თვალით არ გინახავს ის მუხა?..

— არა!

— საღირაშვილო, წადი, იმ მუხის ტოტზე ერთი ფოთოლი მოწყვიტე და მოწმედ მოიტანე.

— წავალ, ბატონო, ახლავე წავალ!

ვიდრე თანდილა თავზე ნაბდის ქუდს დაიხურავდა, მევახშემ ნაწყენის კილოთი მიმართა ილია ჭავჭავაძეს:

— სანამ ეგ იმ მუხასთან გადავა, დაღამდება კიდეც.

ილიას ნათელ სახეზე ღიმილი აუთამაშდა. მიხვდა ყოველივეს.

— თითქოს არ იცოდი, სად იყო ის მუხა, სადაც თანდილა საღირაშვილმა ვალი გადაგიხადა?!

მევახშე დაიბნა. მოსამართლემ იგი ტყუილში დაიჭირა. ილიამ გუთნისდედა ისევ მოიხმო და ტკბილად მიმართა: — აჰა, ეს თამასუქი, შენი ხელით დახიე. შენს სიტყვას მეტი დაეჯერება, ვიდრე ამ ქაღალდს.

თანდილამ თამასუქი გამოართვა და დახია.

ილია მოხუც გუთნისდედას უღიმოდა.

თანდილა მიხვდა, რომ იმ უკუღმართ დროში მასაც ჰყოლია დიდი ქომაგი...

ფარნაოზ რაინაული

სიყვარულზე

სიცოცხლე
დღეებს
მზედ მიელევა,
გადაგავიწყებ
განვლილ ქარწყვიმებს,
თუნდ ნუ გამიყოფ
ბედნიერებას,
ოღონდ —
ტკივილი გამინაწილე!..

ეს დღე გადის...

მთები ნისლით დაიტორა,
მოწყენილა სავაზეთი
და მზე გლადიატორივით
იბრძვის ღრუბლის ავაზებთან.

თვალი ზეცის იბინდება,
ამას ცრემლიც ადასტურებს
და აჭოჩრილ სიმინდებში
უკრავს ქარის გუდასტვირი...

სურათი

მთებიდან
ნისლის
ცხვრები აშლილან,
ნიავი
ქუჩის
ქოჩორს ეხება,
და... მდინარეში,
ცელქი ბავშვივით,
დადის მზე
სხივთა ოჩოფეხებით...

გრანადის ახლო

ანდალუზია
ჩემი სულის
ფსკერზე თვლემს
ახლა,
ცა დაზანგული
ტუჩებდამსკდარ
ბროწეულს ისხამს,
ეს გზა
აროდეს არ ჩაუვლის
გრანადას ახლო,
სადაც, —
ვარდებში გადასულა
პოეტის სისხლი...
და ძველი დარდი
ამ მიდამოს
შემღრჩა კენტად,
სიჩუმის ცეცხლი
უკიდია
გიტარის სიმებს,
გველმა მოწამლა
ფორთოხლების
შიშველი მკერდი,
სიკვდილის დემონს
გამაძღარი მზეცივით სძინავს...

* * *

ეს გზა
აროდეს არ ჩაუვლის
გრანადას ახლო...

მაშინ...

ვარსკვლავების თარო,
სივრცე
ხამზე ხამი,
სადულარში მთვარის
თუხთუხებდა ღამე...
თვალებს
მაშინ —
იქ რაც
მზერა უსვამს
შენი, —
ფიქრი...
ფიქრი...
ფიქრი...
ფიქრი უსაშველო!..

ნიკო მამაიაშვილი

ჩემო საყვარელო ძმაო ნიკო!

ცივგომბორის მთის ზურმუხტოვან კალთებზე მდგარ კახურ ძირმაგარ მუხას რას დააკლებს 70-ჯერ ფოთოლცვენა!

ჩემო ნიკო, ჩემო საყვარელო ძმაო, მე კარგად ვიცნობ შენს სპეტაკ გულს, შრომისმოყვარეობას, იდეურ სიმტკიცესა და უბრალოებას. შენ სიცოცხლესა და ენერგიას კახეთის მიწა-წყლის აყვავებას ახმარ.

უსამართლობით განაწამები, დღეს საკოლმეურნეო ცხოვრებით გამთბარი, ბედნიერი მაჩხაანელი გლეხკაცი არასდროს დაივიწყებს შენს ბოლშევიკურ პრინციპულობას და საქმისადმი ერთგულებას.

გულდასმით გავეცანით ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის მშრომელთა წერილს, რომელიც ამას წინათ პრესაში გამოქვეყნდა. ჩვენც დიდი ვალდებულებები ავიღეთ თქვენს საპასუხოდ. კოლმეურნეებმა აზრი გამოთქვეს, გამოგვეწვიეთ სოციალისტურ შეჯიბრებაში, მაგრამ ვერ გავბედეთ, შეგვეშინდა თქვენი წარმოების მაღალი კულტურისა. ჯერ კიდევ საბოლოოდ არ გადაგვიწყვეტია, ვფიქრობთ ამაზე. სწორ პასუხს, ჩემო ნიკო, უთუოდ მოგწერ.

ჩემი მოკითხვის წერილის დასამთავრებლად ვაჟა-ფშაველას მოვიშველიებ:

მადლობელი ვარ გულითა,
შოთაის სულის ლხენამა.
სამშობლოს სამსახურისთვის
ჩანგი გიკურთხოს ზენამა.

მიხაკო ორაგველიძე

მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

(გაზეთი „ახალი შირაქი“, № 55. საქართველოს კპ წითელწყაროს რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო).

ვახტანგ გორგანელი

თავმჯდომარე

ნიკო მამაიაშვილს

1

ვიდრე ავკინძე გრძნობები,
ოცნებებს ავხსენ სარქველი,
ვიდრე მტრედებმა გახარეს
ჩემი დიდიხნის სათქმელი,
ვიდრე დამთავრდა ერთიან
ფიქრის და სიტყვის ჭიდილი,
ჩავედი გაშლილ მინდვრებში
და შენს საქმეებს ვითვლიდი.
ჭეჭილებია ისეთი,
შიგ ვარსკვლავები წვებიან,
თავთავზე ცვარი კი არა,
ნამგლების ნაპერწკლებია.
გზადაგზა ყაყაჩოები
შლიდნენ ალისფერ მერდინებს...
გვალვაშიც გნახე, შირაქში
გულს აწურავდი ჭეჭილებს.
გავლებულ ხნულებს ფერავდი
ალაზნის ტალღის ვერცხლითა,
თოვლში მწყემსებთან მიგქონდა
ცეცხლი შენივე მკერდიდან.
ერთი გახედე მოსავალს,
კიდეც დაიწყო შეტევა
და გოგილაანთ კალოზე
დასდგი ოქროსფერ ქედებად.
დასდგი და ახლა სადა ხარ,
ასე გეძებდი გუშინაც,
რომელ ბრიგადას მიჰყვები
და ფხას ვის ნამგალს უსინჯავ.
ცისკრის პირველ სხივს დავასწარ,
შენ ვერ დაგასწარ ადგომა,
არ ვიცი, სად დაგაწიო
იის და ვარდის მადლობა.

2.

დილით რომ მეხრე შეგხვდება
და სახე დაემარჯნება,
დაკოურილ ხელს რომ გაგიწვდის,
მეც ისე გართმევ მარჯვენას.
გლეხი რომ სახლში მიგიწვევს,
შეხვალ და კაცი დატკბები,
იმ სიამაყით მეც მინდა
შევაღო გულის კარები.
შენ რომ მინდვრებმა გაგრუჯეს
და შუბლს ტრფიალით ღარავენ,
მეც ეგრე მინდა შენსავით
ზრუნვაში გავჭაღარავდე.
შენ რომ გლოცავენ შირაქის
რძემოწოლილი ველები,
მეც ისე მინდა დამლოცოს
სამშობლომ მადლიერებით.
გშვენოდა, კვლავაც სახელის,
ვაუკაცო, გშვენის ტარება.
მითქვამს და გავიმეორებ
იმრავლონ შენისთანებმა.

3

ჩათმაში ვარდი იცინის,
ჩანკაანთ წყალზე ცისკარი,
მტრედი რომ შემოგლულუნებს,
ჩემი სიმღერა ის არის.
შენ რომ გაჭრილ კვალს დაჰხარი,
იქ ვარ, გულგაშლილ მინდვრებთან.
იქიდან სალამს გიგზავნი,
იქიდან გითვლი დიდებას.
ჩემს სურვილსა და გულისთქმას
მკერდზე დავაწერ ალაზანს,
ხალხს უთხრას, შენმა სახელმა
მეც როგორ გამალამაზა.
ხალხს უთხრას, სულში ჭეჭილი
თუ როგორ ამიფოფინე,
თუ როგორ ვეტრფი იმ საქმეს,
შენ რომ სიამე მოჰფინე.
ქოჩებში ავალ შენი ხმით
და ასე ვიტყვი მარადყამს:
— მაჩხაანელებს სალამი!
— მაჩხაანელებს ბარაქა!

4

ასე ყოფილა, ასეა,
არ ეყოლება მძრახველი,
სოფელს როდესაც ამშვენებს
კარგი ვაუკაცის სახელი.
ეს ზეიმია, სოფელო,
შენი მზის, შენი ფანჯრების,
შენი მთების და მინდვრების,
შენი გარჯის და მარჯვენის.
ეს ზეიმია, სოფელო,
შენი ხისა და ფოლადის,
შენი პირწმინდა დღეების
და უკეთესი მომავლის.
ეს ზეიმია, სოფელო,
და კიდევ იმის თავდები,
რომ უკეთესი შვილების
დედა მშობელი გახდები.
ვნატრობ: აქ მარტო კი არა,
ყველგან, მთაში თუ ჭიუხზე,
სოფელს ამკობდეს ვაუკაცი,
დუღდეს შრომა და სიუხვე!

ძეგლი

ზემომაჩხაანელ შინმოუსვლელებს

ივრის ჭალებზე გადმოსჭრეს
ირმებმა ღამის უკუნი...
— მთვარე, სად მიგაქვთ, ირმებო,
სად მიხვალთ ასე ბუბუნით?
— ქოჩებში მიგვაქვს, იქ დავდგამთ
ძეგლად იმ მკერდნატყვიართა,
ვინაც თავისი სიკვდილით
სიცოცხლე გაადიადა.

ნ. მამაიაშვილის იუბილე

სულ ცოტა ხნის წინ ბევრმა სტუმარმა მოიყარა თავი წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანში. აქ მოეწყო საკოლმეურნეო წყობილების თვალსაჩინო ორგანიზატორის ნიკოლოზ პეტრეს-ძე მამაიაშვილის დაბადების 70 წლის იუბილე. თანასოფლელები და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუმრები გულთბილად მიესალმნენ იუბილარს, რომელიც 35 წელიწადია სათავეში უდგას ზემო მაჩხაანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას.

სიმღერა და ხალხის გული

1942 წლის მარტის ბოლოს სამხედრო სასწავლებლის კურსდამთავრებული, ლეიტენანტის ჩინით, ზემო იმერეთში სათადარიგო პოლკის ერთ-ერთი ოცეულის მეთაურად გამამწესეს. პოლკის შტაბში დოკუმენტების გაფორმების შემდეგ ბინის ძებნას შევუდექი. ასე მოვხვდი ისაკ ბარბაქაძის ოჯახში. ისაკი ცხოვრობდა იმ სკოლის ახლოს, რომელშიაც ჩვენი ქვეგანაყოფი იყო მოთავსებული.

ჩემი პატარა ოთახი უერთდებოდა ღია აივანს, სადაც მასპინძლის ოჯახის წევრები, ჩვეულებისამებრ, დიდხანს ისხდნენ ხოლმე მაგიდის გარშემო სამუსაიფოდ და სავახშოდ. საქმეების გამო შინ გვიან ვბრუნდებოდი, მხოლოდ ძილის სიგნალის შემდეგ. მასპინძლები ხშირად ჩემს მოსვლამდე არ იძინებდნენ. ისაკს სამი ქალიშვილი ჰყავდა. ამათგან ყველაზე უფროსი ლილი იმ დროს უკვე უმაღლესი ტექნიკური სკოლის სტუდენტი იყო, მომდევნო — მერი — მეხუთე კლასის მოსწავლე, ხოლო ყველაზე უმცროსი — ვენერა პირველ თუ მეორე კლასში სწავლობდა; ოჯახის ერთადერთი ვაჟიშვილი სამხედრო სამსახურში იყო, რომელიღაც საზღვაო ნაწილში. მისგან წერილები არ ჩანდა, და ამ სახლში ყველა მისი მოლოდინით, მასზე ფიქრით და ჩუმი დარდით იყო მოცული.

ოჯახში შინაურივით ვყავდით მიღებული, გვიანობამდე მიცდიდნენ, ვახშამს მახვედრებდნენ, იმერულ ცოლიკაურს ჭინჭილით დამიდგამდნენ მაგიდაზე და დები მხიარულად შემომისხდებოდნენ ირგვლივ. მესაუბრებოდნენ თავიანთ ძმაზე, ომზე, ქვეყნის ამბებზე.

გავიდა სულ რაღაც ოთხიოდე კვირა. მაისის ერთ კაშკაშა ღამეს, ოთახში რომ ვბრუნდებოდი, სახლის სადარბაზო კარებთან მომესმა დების შეწყობილი, აქამდე გაუგონარი სიმღერის ხმები. უნებურად ვიგრძენი, რომ სიმღერა ძალზე მელოდიური იყო.

ლომგულს ტყვია ვერ გასტეხს, ვერც წყლული და იარა,
გმირი ბრძოლით მოკვდება, უსახელოდ კი არა!

კარებთან გავირინდე. სადღაც თითქოს გამეგონოს თუ წამეკითხოს ეს სიტყვები! როდის? სად? უცებ მომაგონდა ექვსი თვის წინანდელი ჯარისკაცული ცხოვრების ერთი ასეთი ეპიზოდი.

...1941 წლის აგვისტოს მიწურული, მცხუნვარე დღე... სამხედრო სასწავლებლის დიდი ეზო ახალჩარიცხული კურსანტებით არის სავსე. წითელი აგურის ორსართულიანი ყაზარმების წინ, სპორტულ მოედანზე ასეულის კურსანტი ჯარისკაცები ოცეულებად, ათეულებად, ჯგუფებად, წყვილებად დაშლილან და ერთმანეთში ირევიან, უჩვეულოდ მოძრაობენ, ტრიალებენ, სამწყობრო ნაბიჯების საწესდებო ილეთებს სწავლობენ.

თითქმის უმრავლესობა კურსანტებისა ან უმაღლესი განათლებით, ან უმაღლესი სკოლის სტუდენტები იყვნენ. და როგორ უკვირდათ ერთი შეხედვით თითქოს ამ უბრალო საქმეს ადვილად რომ ვერ სძლევდნენ. ამიტომ ისმოდა იმ დღეს ჩვენს განაყოფში ხშირად ასეთი არეული ხმები და ყვირილი:

— გაჭიმე ფეხი წინ და მაღლა!

— იყურე წინ და პირდაპირ!

— სამწყობროდ იარ!

— დაისვენეთ! — გაისმა ამასობაში ჩვენი ოცეულის მეთაურის ვიალიხის ბრძანების ხმა. ეს ვიალიხი ცოტათი კოჭლობდა კიდეც, მაგრამ სანიმუშოდ ჩექმებს ზორბად ურტყამდა მიწაზე. დაშლილმა ოცეულმა იქვე, აკაციის ჩრდილქვეშ მოიყარა თავი. ამ დროს, როგორც პოლიტინფორმატორს, ახალი გაზეთები და საინფორმაციო ბიუროს ახალი ცნობები უნდა მიმეტანა კურსანტებისათვის. ეს ჩემი ყოველდღიური მოვალეობა იყო და მეგობრები ყოველთვის მთხოვდნენ, რაც შეიძლება დიდხანს მელაპარაკა, რათა მეტ დროს დაესვენათ. ჩვენს ამ წინასწარ „მოლაპარაკებაში“ ოცეულის მეთაურს კარგა ხანს ეჭვი არ შეუტანია და ჩვენც ჩვენდა „სასარგებლოდ“ ვიყენებდით ამ მომენტს.

სწორედ იმ დღეს, „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ საინფორმაციო ბიუროს ცნობების კითხვისას, ჩემი ყურადღება მიიქცია იმავე ნომერში მოთავსებულმა ლექსმა, რომლის ავტორი მანამდე სავსებით უცნობი იყო ჩემთვის. ამ ლექსის კითხვამ კურსანტები დიდად დაინტერესა. ლექსში ჩაქსოვილი იყო ხალხთა ძმობის, მეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზმის, გმირული თავდადების წმინდათაწმინდა იდეები და გრძნობები. ლექსი ყველას მოეწონა, გადავწყვიტეთ ზეპირად დაგეესწავლა იგი. რიგრიგობით ვიმეორებდით სტროფებს. ვიალიხს ეგონა, ჩვენ საინფორმაციო ბიუროს ცნობების გარშემო ვდაობდით და ერთხანს მიგვიშვა, მაგრამ ეტყობოდა შეგვატყო „ეშმაკობა“ და უცებ განრისხდა, გაგვიჯავრდა, წამოგვშალა ზეზე და ისევ მცხუნვარე მზის ქვეშ გაგვყარა ჯგუფებად და წყვილებად სავარჯიშოდ. ამის შემდეგ ვის ეცალა ლექსისთვის...

მაგრამ, დახეთ, მეხსიერებას მაინც ბუნდოვნად შემორჩენოდა მისი ცალკეული ფრაზები და აი საკმარისი აღმოჩნდა ეს ფრაზები ექვსი თვის შემდეგ მოულოდნელად მომესმინა, რომ უცებ აღმედგინა მეხსიერებაში ყველაფერი, მეგრძნო მოკლე ვადაში ლექსის სიმღერად ქცევის, ხალხის გულში მისი დაბუდების ძალა.

ამ ფიქრებით გართულმა წყნარად შევაღე სადარბაზო კარი, ნელა გავიარე ქვედა სართულის ჩაბნელებული დერეფანი, ფრთხილი ნაბიჯებით ავუყევი უკანა კიბეს და სწრაფად მოვუხვიე ჩემი ოთახისაკენ. მაგრამ დამინახეს თუ არა დებმა, მაშინვე წამოხტნენ, მომეხვივნენ და თავიანთ გვერდით დამსვეს. მშობლები დაწოლილიყვნენ. ვახშამი გამზადებული ჰქონდათ და სამივე სხვადასხვა ხმით, სხვადასხვანაირი ალერსით, და მუდარით თითქმის ერთდროულად მეუბნებოდა:

— აბა, ძამიკო, ეს ჭამე, ეს დალიე, ეს მირთვი.

მე უკვე აღარ შემეძლო არც ჭამა და არც დალევა, მაგრამ ხათრსაც ვერ ვუტეხდი მათ.

— რაღაც კარგ სიმღერას მღეროდით. რატომ შეწყვიტეთ? — ვუთხარი ლილის.

— გესმოდათ?! — გაიკვირვეს დებმა.

— კარგა ხანს გისმენდით!

— არ მოგეწონებოდათ ჩვენი ახალი სიმღერა, — ვენერას სათქმელი ლილიმ გამოხატა.

— პირიქით. ძალიანაც მომეწონა და საინტერესოა, სად გაიგონეთ პირველად?

— არსადაც არ გაგვიგონია, ჩვენ თვითონ შევუწყვეთ ხმები ერთმანეთს, ლექსმა თვითონ აგვამღერა. რა გამოგვივიდა, არც კი ვიცით, — მითხრა მერიმ და გაღიმებული, გაფართოებული თვალებით შემომხედა.

ბავშვური მიამიტობით და მიხვედრილობით ნათქვამმა სამმა სიტყვამ „ლექსმა თვითონ აგვამღერაო“ უნებურად გამახსენა ტიციანის სტრიქონები: „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს“; ასეთივე აზრი ჰქონდა მერის გულუბრყვილო, მაგრამ ზედმიწევნით სწორ გამონათქვამს. მათ კი არ შექმნეს სიმღერა ლექსზე, არამედ თვით ლექსმა ძალაუნებურად აამღერა ისინი.

— ლექსი საიდან ისწავლეთ? — შევეკითხე მათ ცოტა ხნის შემდეგ.

ვენერა უცებ წამოხტა, სასტუმრო ოთახში შეირბინა, ძველი ალბომი მოარბენინა, რომელშიც ძმის სურათები იყო ჩაწყობილი და გაზეთის გახუნებულ ქაღალდზე დაბეჭდილი ლექსი დამიდო წინ. ბავშვს ავტორის გვარი და სახელიც გაეყოლებინა მაკრატლისათვის, დავხედე თუ არა, მივხვდი, რომ ეს ნამდვილად ის ლექსი იყო, რომელიც ჩვენ სამხედრო სასწავლებელში ყოფნისას ასე მოგვეწონა და შემდგომ, თავისებური ვითარების გამო, ასე მიგვავიწყდა კიდეც.

— ეს ლექსი მაშინვე ამოვჭერი გაზეთიდან და ალბომში შევინახე. — ამბობდა მერი, — ლილი ზამთრის არდადეგებზე სახლში დაბრუნდა. წავაკითხე, მასაც მოეწონა. ჩვენ ამ ლექსს რომ ვკითხულობთ, სულ ჩვენი ძმა გვაგონდება. იქნებ ისიც ასე დგას სადმე მაღალ ბეკობზე და სხვა მოძმე ხალხების შვილებთან ერთად ტყვიამფრქვევით იგერიებს მტრის ურდოებს. ვინ იცის, იქნებ ისიც უსულოდ დაეცა რომელიღაც ასეთ მაღლობზე!

და სამივე დას ამ სიტყვებზე ცრემლები ღაპაღუპით გადმოუცვივდათ თვალებიდან.

მართლაც, რა საოცრად არის ამ ლექსში შეზავებული ერთმანეთთან დიდი ადამიანური მწუხარება და იმედი, სევდის გრძნობა და გამარჯვების რწმენა:

დგანან მაღლა ბეკობზე, ბეკობს დაბლა ველი ძევს,
ერთგან მიშაკოვია, სხვა მხრით შალამბერიძე!

წავიღიღინე მე უნებურად და ამით დებს იმ გმირთა სიცოცხლის უძლეველობა, მათი გმირული, სახელოვანი ბრძოლის პოეტური გამოსახვის თავისებური სიმშვენიერე ვაგრძნობინე და განვაცდევინე, რათა როგორმე ჩამომეშორებინა მათი ყურადღება ძმის სიკვდილზე ფიქრისაგან.

— აბა, ერთი კიდევ იმღერეთ! — მივმართე მათ თხოვნით ბოლოს და დებიც, ცოტა ხნის შემდეგ, უმალ ამყვნენ. და როცა ლექსის უკანასკნელი სტროფი გაისმა:

უსახელო მაღლობზე მოიპოვეთ სახელი,
საფლავს არ ჩაგუოლიათ მტრის ჯავრი და ნაღველი.
უკვდავება თქვენია, არ ჩაბჭრება თქვენი მზე,
ამხანაგო მიშაკოვ, ძმაო შალამბერიძევ!

ყველაფერი ირგვლივ თითქოს სიმღერის ტაბილ, სევდიან, მაგრამ მძლე და იმედიან ჰანგებში გაეხვია, დებს ისევ აუცემცემდათ თვალები ღიმილისა და სიხარულის გამოხატვის ნიშნად...

სხვა ვარიაციით და ნიუანსებით ეს სიმღერა ჯერ იმერეთში, მერე მთელს საქართველოში გავრცელდა.

ახლა, როცა ჩემთვის ცნობილია სიმღერის დაწერის დრო და საბაბი, დაბეჭდვის თარიღი („კომუნისტი“, 1941 წლის 24 აგვისტო, № 200) და ისიც, რომ ამ ლექსის ავტორი ხუტა ბერულავა იმ დროს მხოლოდ ჩვიდმეტი წლისა იყო, სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ ჭაბუკი პოეტის ეს ლექსი იქცა არა მარტო მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის, არა მარტო ჩვენი ბიოგრაფიის ნაწილად, არამედ მთელი ქართველი ხალხის გულისთქმის, მისწრაფების მშვენიერ გამოძახილად და გამოხატულებად; პოეტის ეს პირველი ლექსი ქართველმა ხალხმა სიმღერით აიტაცა, სიმღერით გაიცნო და სიმღერითვე შეიყვარა; სამამულო ომის პირველსავე წლებში, ჩვენი სხვა პოეტების ნაწარმოებებზე შექმნილ სიმღერებთან ერთად, ზემოხსენებული ლექსი ხელს უწყობდა ჩვენი ხალხის პატრიოტულ სულისკვეთებით აღზრდისა და მისი სულიერი ჯანმოწრთობის დიდ საქმეს.

აკაკი თოფურია

გიორგი ხორგუაშვილი

უკუღმეული

ეროთხრობა

ნატალახევ გზაზე სამი ცხენოსანი მოათქარუნებდა, სამივე რუსმუნდირიანები.

ნიშა ცხენზე მსუქანი კაცი გაბღინძულიყო. სამხრეებზე ეტყობოდა, რომ გვერდზე მიმყოლთა უფროსი უნდა ყოფილიყო. მარცხნივ სახენაკენკი, გამხდარი კაცი მიპყვებოდა, მარჯვნივ მიმყოლი კი ცხვირპაჭუა და ცისფერთვალება გასლდათ.

აჩქარებით მოათქარუნებდნენ ჟანდარმები ცხენებს.

— კიდევ შორს არის? — მესამედ იკითხა მსუქანმა.

— არა, ბატონო უფროსო, ორიოდე რიგიანი გაჭენება და მეტეხში ვართ! — პასუხობდნენ და დუზებიან ჩექმებს მოიმარჯვებდნენ ოფლიანი ცხენების ფერდში ამოსარტყმელად, მაგრამ უფროსი აჩქარებას ერიდებოდა, გული მეღლებაო, და მიმყოლნიც აღვირს იმოკლებდნენ.

— აგერ ჩვენი ბოქაულის სოფელიც გამოჩნდა! — თითი გაიშვირა სახენაკენკმა ჟანდარმმა.

— რა სოფელია?—თვალებზე მოიჩრდილა უფროსმა.

— ახალქალაქი, — უპასუხა მეორემ.

უფროსმა ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა მთის ძირში, მდინარე თეძმის პირას შეფენილი სოფელი.

— რა დამართია იმ ჩვენს ბოქაულს? — იკითხა უფროსმა.

— ძალიან ცუდად ყოფილა, ავი ქარი დაეცაო და სამი კვირაა გაუნძრევლად წევს თურმე.

— ურიგო კაცი არ უნდა იყოს, — გრძელ ულვაშებზე ხელი გადაისვა უფროსმა.

— ნაზარბეგოვისთანა ბოქაული მთელ მაზრაში არ მოიძებნება. საქმისათვის თავგადამკვდარი, ისეთი ყურფხიზელი და თვალმაცაცერაა, ჭიანჭველის გაცოცება არ გამოეპარება თავის საბოქაულოში. ზეპირად გეტყვის, ვის რა სული უდგას, — კვერს უკრავდნენ მხლებელნი.

— სასიამოვნოა!

— იმ მეტეხელ მასწავლებელსაც თავიდანვე შეატყო, რომ ეშმაკისათვის მიეყიდა სული და მაშინვე განაცხადა მაზრაში, არ უჯერებდნენ, მაგრამ ბოლოს ხომ გამართლდა მისი ნათქვამი.

— ჰო, ისეთი ენაწყალიანი გამომდგარა გულისაშვილია თუ ჯანდაბაშვილი, რომ ცალი არა ჰყავს თურმე. მთელი სოფელი მოწამლა, ერთავად მეფისა და მთავრობის წინააღმდეგ სისინებს.

— იმ ღვთის სულის, დიდებული მეფე ალექსანდრეს მოკვლის ამბავი რომ გაეგო, სიხარულით აცეკვებულიყო.

* * *

ტყუილი როდი მოეხსენებინა ბოქაულ ნაზარბეგოვს. ისეთ მზიან გუნებაზე არასოდეს ენახათ ზაქარია მასწავლებელი.

გამხდარი, შემჭკნარ-შეყვითლებული სახე სიხარულით შეფაკვლოდა, მომაღლო, ნალრუბლი შუბლი ერთბაშად გამოსდარბოდა, ენერგიულად გამომზირალ თვალებს დაღლილობა გადაჰყროდა და ღიმილი ასციმციმებოდა. სულაც მიევიწყებინა გაკვეთილი და ისედაც გაჩვეულ მოსწავლეებს შინაურულად ესაუბრებოდა. ცალ ხელზე ჩამოსათვლელი შეგირდებიც გახალისებულიყვნენ, სიტყვა გასთამამებოდათ, ათასგვარ შეკითხვებს აძლევდნენ ოსტატს, რომელიც მხიარულ კილოზე ეპასუხებოდა თმაგაბურძგნულ ბიჭუნებს.

ცნობისმოყვარე შეგირდებს ვერ გამოეცნოთ ოსტატის გახარების მიზეზი, მაგრამ მასწავლებელმა ვეღარ დამალა.

— იცით, რა მოხდა, ყმაწვილებო?

შეგირდები პირდაღებულნი მისჩერებოდნენ.

— ხელმწიფე აღარა გვყავს, დიდი ხელმწიფე, ალექსანდრე მეფე!

— მოკვდა, მასწავლებელო?! — გაოცებით კითხულობდნენ.

— კი არ მოკვდა, მოკლეს, ჩააძაღლეს!

— რადა, მასწავლებელო?

— ღირსი იყო და იმიტომ... მოიცათ, ჯერ სადა ხართ. ხალხს ყელში ამოუვიდა ამდენი უსამართლობა... მოთმინების ფიალა აივსო... აკი იმიტომ დაიძრა და ღელავს. რახან ერთი ამოძრავდა, მორჩა, გათავდა, ველარაფერი ვერ შეაჩერებს, ახლა კი თავისუფლად ამოისუნთქავს მაშვრალი ადამიანი... ჩვენი გათენების ჯერიც მოდგა... ეგება, ჩვენც დავიხსნათ თავი სულთამხუთავისაგან.

შეგირდები იმას კი მიმხვდარიყვნენ, რომ მეფის მოკვლა, ალბათ, რაღაც კარგს მოასწავებდა, თორემ ზაქარია მასწავლებელი ასე არ გაიხარებდა, მაგრამ მაინც რაში იყო საქმე, ეს ვერ გაეგოთ, ამიტომ მოუხშირეს შეკითხვებს.

მასწავლებელი ცდილობდა მათი გონების მისატოლებლად ეპასუხა, მაგრამ საქმის არსს მაინც ვერ ჩაეწვდინა და ამითღა იგერიებდა:

— თქვენ რა გაგამტყუნოთ, ყმაწვილებო, თქვენზე დიდებსა და განათლებულებსაც არ ესმით, რა ხდება ქვეყანაზე... ნუ ჩქარობთ, ჩემო კარგებო, გაიზრდებით და ყველაფერს გაიგებთ. ოღონდაც მაშინაც გაგიჭირდებათ ცოდნის გარეშე... წიგნმა უნდა გაგინათოთ გზა, წიგნმა... აი, ასეთი წიგნები დაგეხმარებათ ცხოვრების გაგებაში! ზაქარია მასწავლებელმა მაგიდაზე დასტად დაწყობილი პატარა წიგნები წამოიღო და მაღლა აწევით დაანახვა.

შეგირდები კვლავ ცნობისმოყვარეობით აყელყელავდნენ.

— ეს წიგნები თქვენთვის წამოვიღე, ყმაწვილებო, უნდა გაჩუქოთ!

მოსწავლეები სიხარულით შეიშმუშნენ.

— ეს წიგნი შენ, ოდოშაშვილო, ამირანზე რომ ზღაპარს გიყვებოდი, აქა წერია. ეს უფრო გასაგებად და ლამაზად გეტყვით.

ოდოშაშვილმა ტულისფანცქალით გამოართვა საჩუქარი.

— ეს შენ, მირზაშვილო!

— ეს შენ, კალატოზიშვილო!

— ეს შენ გეჯაძე! — და ასე სათითაოდ ჩამოურიგა.

გული არავის დასწყვიტა.

მადლიერმა შეგირდებმა სიხარულით ააშრიალეს წიგნები და დამარცვლით კითხულობდნენ სათაურებს: „ამირანი“, „შამომეყარა ყივჩაღი“, „არსენას ლექსი“, „მეფე დიმიტრი თავდადებული“, „ჭლახის ნაამბობი“, „თორნიკე ერისთავი“, „ბუნების მგოსნები“, „ელგუჯა“.

— ახლა შეინახეთ, შინ გადაათვალიერეთ, თქვენიანებს წაუკითხეთ!

შეგირდები სიტყვას არ წაუცევდნენ, ასე ჰყავდა დაგეშილი ოსტატს.

— აბუაშვილო, მამაშენი სად არის დღესა?

— გუთანი უბია სამაღალაშვილოში!

— უთხარი: საღამოზე მოვა-თქო ზაქარია მასწავლებელი.

— ბატონი ბრძანდებით!

შეგირდებს ვერც ეს გამოეცნოთ, თუ რისთვის უნდა სტუმრებოდა ზაქარია მასწავლებელი.

ოსტატი კი სარკმლისკენ მიბრუნებულიყო და უსასრულო სივრცეს გასცქეროდა. თვალწინ დაუდგა მიხა აბუაშვილის სახლი, გრძელი, კედლიდან კედლამდე გადაბმული ტახტი, ზედ გადაფარებული დაგლეჯილი ჭილობი, თვალჭუტალა ოთახი, რცხილის შეშით გაგიზგიზებული ბუხარი, კოჭდაბალი მაგიდა, მცირე პურმარილი, მარტო კუჭის მოსამადლიერებლად კი არა, თვალის ასასვევად და ხალისის მოსაცემად რომ გაშლიდნენ, ძმრითა და ქინძით შეკაზმული ლობიო, შემრეშილი ჰამიდვრისა და ქარვა,წიწაკის მწნილი, ბრკიანი თავკვერის ღვინით სავსე ყელმოღერებული საღვინე, თვითონ სათამადო ადგილას ჩამომჯდარი, გარშემო სამფეხა სკამებით შემოწკრივებული სანდო გლეხები. ზაქარია მასწავლებლის დინჯი და ფრთხილი, ზოგჯერ ჩურჩულისმაგვარი საუბარი, გლეხების ყურდახარბება და ღრმა-ღრმა კითხვები.

საუბრის თემაც ნათლად წარმოსახვოდა.

* * *

ბოქაულ ნაზარბეგოვის ყნოსვას არც ზაქარია გულისაშვილის ქადაგებანი გამოჰპარვია. ჩუმ-ჩუმად შეესწავლა მასწავლებლის ნასიტყვარ-ნაკვალევი და უმალ გაჩარებულიყო. მაზრის უფროსის კარები მისთვის გამსუბუქებულიყო და კარგის მახარობელივით თამამად წარსდგომოდა.

— მთელი სოფელი გადარია მაგ შხამიანმა. რაც მოეპრიანება, იმას აყრანტალებს შეგირდებთან. მაგას ვინღა ჩივის, გლეხობაში დაძვრება; ისე მიიჩვია ტურტლიანი ტეტიები, მაგისთვის ნიადაგ ღიაა ყველა სახლის კარი. საათობით ჩამოუჯდება გლეხებს და ერთავად მთავრობის გინებაშია, მაგას რომ სჯერდებოდეს, რა უშავს, შფოთისთვის აქეზებს, რას გაჩუმებულხართ, რატომ ხმას არ ამოიღებთო, როდემდის უნდა გვაწვეს მთავრობის უღელი ოფლიან კისერზე, პირველ რიგში ხელმწიფე უნდა ჩამოვგდოთო. სამოთხეს ჰპირდება, უწიგნურ გლეხებსაც მეტი არ უნდათ, პირი დაუღიათ და სიხარულით უქნევენ თავსა. დიდიან-პატარიანად ყველა ააბუზღუნა, გადარია ხალხი, გადარია. თავის ტკუაზე აღარავინ არის. უმცროს-უფროსობა აღარაფერში შეიტყობა. საწყალმა ამილახვარმა ლამის ბოღმა არწყიოს, სიტყვა ვეღარ გაკაყავს. მოურავიც დაუშინეს და კრინტს აღარ აძვრევინებენ. ბეგარაზე სამი ურემი ვერ გამოუყვანინებია ამხელა სოფლიდან, გუთანი ვეღარ შეუბმევინებია და ტყეში კაცი ვერ გაუგზავნია.

— სადაურია ეგ უჩიტელი?

— გარეკახეთიდან ჩამოთრეულა, საგარეჯოელია. ეგ რომ კაი კაცი იყოს, თავისი სოფლიდან არ გამოაგდებდნენ.

— მაშ, ეგეთი უკუღმართია?

— წამსდარი კაცია. მღვდლის შვილი რომ ქრისტეს გადაუდგება, რა უნდა მოჰკითხო მაგნაირ მასწავლებელსა. შეგირდებს ვინა ჩივის, მათ მშობლებსაც გადაარწმუნა ღმერთი და ლოცვის მაგიერ ქრისტეს და ხელმწიფის გინება ამოსდით პირიდან... ლომოურისა და მგალობლიშვილის გვერდით გამვლელი რა შვილი უნდა იყოს!

მაზრის უფროსი სქელ ტუჩებს იწვალებდა და მუქარით აკანტურებდა მელოტ თავს.

ბოქაული კი არა ცხრებოდა:

—მაგდენი როგორლა გაბედა, რომ დიდებული მეფის სიკვდილი ისე ხალისით ახარა ხალხსა, თითქოს წყაროსთავს მოსვეული გველაშაპი მოუკლავთო, — და უკლებლივ ჩაეკენკა, რაც სოფლის მასწავლებელმა მოიმოქმედა მეფის მოკვლის ამბავის მოტანის შემდეგ.

გამწარებულ-დამგლოვიარებული მოხელენი უფროსების ბრძანებისამებრ, გამალებით დაეძებდნენ საეჭვო პირებს და განუკითხავად ჰყრიდნენ საპატიმროებში. მაზრის უფროსმა მეტეხელ მასწავლებელზეც გააკრაჭუნა კბილები.

— გასაგებია, ჩემო კარგო, შენგან დიდიხანია მესმის საგარეჯოელი ქადაგის ენის ტარტარი და თუ მაგას ხელმწიფის სიკვდილის სიხარული შეევარჩინო, თავზე ქუდი აღარ მეხუროს და ტუჩზე ულვაშები აღარ მესხას... ნუ ღელავ, შენი ფუხით ტათელინებ იმის შაგ ცილინდრსა. შენ ხომ პირნათლად იხდი სამსახურებრივ ვალსა და დანარჩენი მე ვიცი და ჩემმა კაცობამ! — ისეთი კილოთი უპასუხა, იგულისხმებოდა დიდ საჩუქარს იპირებდა.

ჯილდოს მომლოდინე ბოქაული თავის ქნევითა და კმაყოფილების ნერწყვის ყლაპვით გამოვიდა უფროსის კაბინეტიდან.

მერე უფრო გაიხარებდა, როცა დასმენილს კინწის კვრით გამოიგდებდნენ საპყრობილისკენ.

ეკ, რა დროს ჩავარდა ლოგინად, რომ ზაქარია მასწავლებლის სეირს ვერ უცქერის! იცის, რომ მის დასაპატიმრებლად მოდიან ნაცნობი ჟანდარმები, ლამის სიცხიანი წამოსტეტს და მიმავალ ცხენოსნებს წამოეწიოს, მაგრამ ლოგინშივე წამოჯდომის თავიც აღარა აქვს დაუძლურებულს.

* * *

ცხენოსნები მეტეხისკენ დაგეზდნენ. მალე მიატანეს სოფელს.

— ჟანდარმები მოდიან, ჟანდარმები! —უმალ გავარდა ხმა.

მთელი სოფელი გამოიკრიბა. ხალხმა იცოდა, რომ საკეთილოდ არ მოდიოდნენ და შორიახლო აედევნენ.

ჟანდარმები ეკლესიის გალავანში შევიდნენ და ცხენებიდან ჩამოიქვეითეს.

ტაძრის ეზოში ხალხი ზიმზიმებდა.

„მასწავლებელი უნდა დაიჭირონ, მასწავლებელი!“ — ითქვა ერთი და უმალ მოედო მთელ სოფელს.

მეტეხელებს უკვირდათ, საამისო რა ჩაიდინაო მასწავლებელმა.

„ამ მთავრობის ლოცვაში სძვრება სული და ეგრე უხდიან სამაგიეროს“?

„რამდენჯერ უნდა ააკოთონ სოფელი!“ — ბუზღუნებდნენ მორიდებით.

„ხალხიც გადაირია და ღმერთიცა!“ — ამ სიტყვებს რაღაცა მოკრძალებითა და შიშით წარმოთქვამდა ერთი მოხუცი და იქვე აღმართულ ტაძარს ახედავდა, გუმბათზე მოქცეულ ჯვარს ძლივს შეუწვდენდა მზერას, პირჯვარს გადაისახავდა და ეხვეწებოდა: — ღმერთო მაღალო, შენ დაგვიმშვიდე ქვეყნიერება, ჭკუა დაუბრუნე დიდსაც და პატარასაც!“

ქვათლილით ნაგები და ნაჩუქურთმალი ტაძარი კი, თითქოს იქაურობისთვის არ ეცალა, ზვიადად გადასცქეროდა მტკვრის ხეობას.

ტაძრიდან მღვდელი გამოსულიყო, ჭიპამდე ჩამოშვებულ თეთრ წვერს არხევდა ცნობისმოყვარეობით და უკმაყოფილოდ ბუტბუტებდა რაღაცას. აქეთ-იქით ამომდგარი მხლებელნიც გაკვირვებითა თუ შიშით აცეცებდნენ თვალებს. იარაღოსნებთან ახლოს მისვლა ვერ გაებედათ და ბრბოში კითხულობდნენ:

— რა ამბავია ჩვენს თავსა?

ჟანდარმები კი თავიანთ მისიის განხორციელებას შეუდგნენ.

— თავადი სად ბრძანდება? — იკითხა უფროსმა.

— ქალაქს წავიდა, სიდედრი დაუზარალდა, — უპასუხეს გლეხებმა.

უფროსმა უკმაყოფილოდ ჩაახველა.

— სკოლა სად არის?

— აი, მანდა! — ხელი გაუშვირეს სამრეკლოს გვერდით მიშენებულ პატარა ოთახზე.

ჟანდარმთა უფროსი სკოლისაკენ გაეჩქარა და მხლებელნიც ტუსტუსით გაჰყვნენ.

უფროსმა ხმლის წვერით შეაღო ჩაშავებული კარები, თვალები მიმოაბრიალა, მაგრამ დაძველებული მერხების, დაფა-მაგიდის, ჯვარზე გაკრული ქრისტეს და იმპერატორის სურათების გარდა არაფერი დახვდა.

— უჩიტელი სადა ბრძანდება?! — დამცინავად გაწელა ბოლო სიტყვა.

— მე გახლავართ, თქვენო აღმატებულებავ! — თამამად წამოდგა დაბალი, სერთუკიანი, სუფთად გაწკეპილი კაცი და მაღალი ცილინდრი მოუხადა.

ჟანდარმთა უფროსმა თვალი ამოკიცა და ვიწროდ აათვალიერ-ჩაათვალიერა.

მთელი კრებული „უჩიტელს“ მისჩერებოდა.

მასწავლებელი კი კვლავ ამაყად გაჯგიმულიყო, მისი თვალები იტყობინებოდნენ, რომ მზად გახლავართ თქვენი სამსახურისთვისო.

— შენა ხარ, განსვენებული ხელმწიფის ლოცვაში რომ ამოგდის სული?! — თან ირიბი ღიმილი გადაივლო სახეზე. მასწავლებელს კეთილი ღიმილი მოეჩვენა და ამაყად მიუგო.

— დიახ, მე გახლავართ!

— ენასა და სითამამეს გიქებენ! — კვლავ მოივიწროვა თვალები.

მასწავლებელმა კმაყოფილების სიმორცხვით დახარა თავი.

— მაზრის უფროსს ენატრება შენი ნახვა!..

— მიცნობს უფროსი?! — ლოყები შეეფაკლა სიხარულითა.

— დიდი ხანია გიცნობს...

— სასიამოვნოა! — ტუჩები ააწკლაპუნა და კიდევ უკეთესის მოლოდინში გაინაბა.

— ცხენზე ჯდომა ხომ გეხერხება?!

— მოვახერხებ, რაზე კითხულობთ, თქვენო აღმატებულებავ?! — თვალები გაუფართოვდა მასწავლებელს.

— გაიგებ!

მასწავლებელი გაოგნებულიყო, ჟანდარმთა გულისთქმის გამოცნობა გაუჭირდა.

— მოურავს ვერ დამიძახებთ?! — ბრძანა უფროსმა.

— აქა ვარ, ბატონო! — წინ წამოდგა გაბღინძული კაცი.

— ერთი შეკაზმული ცხენი გვჭირდება!

— ჩემი თავი თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს!

მალე მოჰგვარეს გამართული ცხენი.

— დაბრძანდით, დიდად პატივცემულო უჩიტელო! — კვლავ უსიამო ღიმილი გადაითამაშა უფროსმა.

— რადა?!

— ხომ გითხარი, მაზრის უფროსს სურს შენი ნახვა-მეთქი.

მასწავლებელმა მხრები აიჩეჩა.

— ჯილდო არ გინდა, ჯილდო?

მასწავლებელი ტანში შეიმტვრა და ხალისით შეასრულა უფროსის ბრძანება.

— გორისკენ! — ბრძანა უფროსმა.

მასწავლებელმა ულაზათოდ ამოარტყა ფეხის ქუსლი წაბლა ცხენს.

ხალხს ვერ გამოეცნო, რატომ წაიყვანეს ახალი „უჩიტელი“ გორში.

— ნამდვილად დააჯილდოებენ!

— ჰაი, ჰაი, ამ მთავრობის ერთგულია და ისე არ გაუშვებენ!

— ასე მალე დაიმსახურა? — ამბობდნენ ერთნი.

— მოიცადეთ, თვითონ იციან, რითაც დააჯილდოებენ! — ირიბ ღიმილს არ ილევდნენ მეორენი.

წინ წამძღვარებულ „უჩიტელს“ კიდევ ვერ გამოეცნო, რაში იყო საქმე. უფრო სასიხარულო ამბავი ელანდებოდა და სახეზე ღიმილი გადასდიოდა.

* * *

მხოლოდ მაშინ მიხვდა, როცა კინწისკვრით შეაგდეს საკანში.

გაოგნებულ მასწავლებელს ბოღმა ყელში აწვებოდა.

— გამაგებინეთ მაინც, რაზე დამაპატიმრეთ! — კითხულობდა სატირილე კილოთი.

— ჰაი, შე თაღლითო, შენა, ვითომ არც იცი, რაზე ირჯები! — ვიწრო თვალითა შეხედავდნენ ზედამხედველები და კვლავ გაუხურებდნენ გვერდებს მათრახის წვერით.

— ღმერთო, სადა ხარ, მიშველე, შენი სახელის ჭირიმე! — ეგედრებოდა გაჭირვებული.

— ახლა გაგონდება ღმერთი?! — ირიბად ეტყოდნენ და უფრო მაგრად გაუტყლაშუნებდნენ.

მასწავლებლის წივილ-კივილი ზეცას სწვდებოდა.

— კიდევ დაურიგებ შეგირდებს „არსენას ლექსსა“ და „ბლახის ნაამბობსა“?! — ნიშნის მოგებით გაახსენებდნენ და საცემს მოიმარჯვებდნენ.

— სიცრუეა, მე ეგ არ გამიკეთებია! ძაღლის შვილი ვიყო, თუ ტყუილს ვამბობდე! — იფიცებოდა პატიმარი.

მაგრამ ვინ უჯერებდა.

— ძაღლი ისედაც ხარ!

— ეს ენა ამოჭერით, მეფის სიკვდილს რომ ახარებდა სოფელს!

— რატომ არა გჯერათ, მე არა ვყოფილვარ! — საცოდავად იჭაჭუბოდა.

— მოიცა, მალე დაგიყენებთ პირზე კაცსა.

ჟანდარმერიის უფროსის კაბინეტი. რბილ სკამზე გადანებივრებული უფროსი. გვერდით ბოქაული ნაზარბეგოვი მოუსვამს და გულთბილი საუბარი გაუბამთ. ნაავადმყოფარი ბოქაული გახარებულია, რომ ასე დაიახლოვა ჟანდარმების უფროსმა.

კარი გაიღო.

— შემოვიყვანოთ? — მოწიწებით იკითხა მორიგემ.

უფროსმა თავი დაიქნია.

ჟანდარმებმა შემოიყვანეს გამხდარი პატიმარი, რომელმაც უგემური სალამი მისცა დამხვდურებს და კარებშივე აიტუზა.

ბოქაული შეკრთა პატიმრის დანახვაზე, მიწის ფერი დაეედო.

უფროსმა კი მასწავლებელს უბრძანა:

— წინ წამოდექი!

პატიმარმა ულონოდ გადადგა ნაბიჯები, მაგიდასთან აიყუდა. ჯერ უფროსს მიხედა, მერე ბოქაულს შეაცეცა ნატანჯი თვალები, ნაცნობი ამოიცნო და გაკვირვებით მიაშტერდა.

ბოქაულმა ვეღარ გაუძლო პატიმრის საყვედურიან მზერას და თვალები გაარიდა.

— ეს ვაჟბატონია, სოფელი რომ აგვიმხედრა?! — მშვიდი სიძულვილით ამოთქვა უფროსმა და სათვალეები მიანათა ბოქაულს.

აქამდე გათამამებულ და გახალისებულ ბოქაულს საქციელი წაუხდა, ენა ჩაუვარდა.

— ამოიღე ხმა!

— არა, თქვენო აღმატებულებავ, ეს ის არ არის! — კანკალით მიუგო ფეხზე წამომდგარმა.

— მეტეხის სკოლის მასწავლებელი არა ხარ შენა? — შემოუტია პატიმარს.

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ!

უფროსმა გაბრაზებით აიჩეჩა მხრები და:

— მეტეხელ მასწავლებელზე არ მოგვახსენებდი?! — ცივად მოხედა ბოქაულს.

— ჰო, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

— მერე, ახლა უარყოფ?! — თვალები დაუბრიალა.

— არა, თქვენო აღმატებულებავ, რაღაც გაუგებრობაა! — უფრო საცოდავად დაჭყიტა თვალები.

— რა გვარი ხარ? — დაეღრიჯა პატიმარს.

— უსტიაშვილი!

— შენ ვისზე გვითხარი? — კვლავ აუწია ხმას.

— ის გულისაშვილი იყო, თქვენო მაღალკეთილშობილებავ! — აკანკალდა.

— რაშია საქმე, თქვე ყეყეჩებო, თქვენა!

ბოქაულმა ენა ვერ დასძრა.

— ის, ბარე, სამი კვირაც იქნება წავიდა იმ სკოლიდან და მე მისი შემცვლელი ვარ, თქვენო აღმატებულებავ! — მიუგო პატიმარმა.

გაცეცხლებული უფროსი ხან ერთს შეხედავდა და ხან მეორეს.

— მე ღმერთისა და ხელმწიფის ლოცვა-კურთხევაში მიღამდება და მითენდება და თქვენმა ხელქვეითებმა ამითი გადამიხადეს სიკეთე, ერთ კვირაზე მეტია ცივ საკანში ვდივარ უსმელ-უჭმელი და გვერდები მაქვს დადაღული ამდენი ცემითა! — ცრემლები წამოსცვივდა პატიმარს.

— ეს რას ჰგავს! — დაიყვირა უფროსმა.

ნაზარბეგოვს მიწის ფერი ედო და სიმწარისა და შიშისაგან ლოყის თავები უთასთასებდა.

— რა პირითღა შევიდე მაზრის უფროსთან, შენი უჭკუობითა და დაუფიქრებლობით მე უნდა გავილანძღო! — მუშტი დაბრახუნა სამხრეებიანმა.

— ავად ვიყავი და ვერ გავიგე, როდის გამოცვალეს მასწავლებელი! — კვლავ კანკალით მიუგო.

— რატომ თან არ გადაგიყოლა იმ ავადმყოფობამ, — კბილები გააკრაჭუნა.

— გვაპატიეთ, თქვენო აღმატებულებავ! — მორჩილად ჩაღუნა თავი ბოქაულმა.

— ორივე გეთრიეთ აქედან! — და გამეტებით დასცხო მუშტი მაგიდას.

პატიმარიც და ბოქაულიც ფეხაკრებით გამოვიდნენ.

მასწავლებელი ნიკო უსტიაშვილი კვლავ დაუბრუნდა სამსახურს, ბოქაული ნაზარბეგოვი კი — ვეღარ ეღირსა

თბილისის ბოტანიკური ბაღი. ძველი და ახალი ხიდები.

ფოტო ზ. დათუაშვილისა.







მანაგა მაგომედოვა

ამ ნამუშევართა ავტორი, კუბაჩელი ქალი (დაღესტნის ასსრ) მანაგა მაგომედოვა საქართველოში აღიზარდა, აქ ეზიარა იგი ჰედური ხელოვნების სიყვარულს. დიდად უმადლის მანაგა თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორს დ. ციცეშვილს, რომელმაც ახალგაზრდა დაღესტნელ ოსტატს ლითონის კომპოზიციის საკითხების გადაჭრა ასწავლა. ქართული ხელოვნების სიყვარულით და მისი შესწავლით დაინტერესებული მანაგა სულ მალე უახლოვდება სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს. უყვირდებოდა ახალგაზრდა ოსტატი ამ დიდი ხელოვანის ქმნილებებს, ფერწერულ სურათებსა თუ გრაფიკულ ნახატებს, სადაც კომპოზიციაში ესოდენ ორგანულად იყვნენ შესულნი და ჩაქსოვილნი ფართოოვალებიანი შვლები. მანამდე არასოდეს მიცდია ცხოველების გამოსახვა, ახლა კი გუდიაშვილის შვლების გავლენით მეც გამიტაცა მათი გამოსახვის სურვილმაო, წერს კუბაჩელი ქალი.

მანაგას ნამუშევრებს იცნობენ როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. 1957 წელს მანაგა ახალგაზრდობის მოსკოვის მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი და საჯალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს მედალოსანი ხდება იმავე ხანებში, მოსკოვში. ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე მრავალი ათასობით დამთვალიერებლის ყურადღება მიიპყრო მისმა ვერცხლის ჩონგურმა, მოჩუქურთმებულმა სურამ და სამკაულებმა.

ამ დროიდან დაწყებული, მანაგა მონაწილეობს მრავალ საკავშირო და მსოფლიო გამოფენაზე და მის ნაწარმოებებს მაყურებლები მუდამ აღტაცებით ხვდებიან.

მანაგა მაგომედოვამ შესანიშნავად გამოჰკვეთა ლითონში შოთა რუსთაველის, ნ. ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას სახეები, ასევე დიდი მოწონება დაიმსახურა დიდი თამარის და დაღესტნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადის შამილის პორტრეტებმა.

ახლახან გამომცემლობა „ხელოვნებამ“ გამოაქვეყნა მანაგა მაგომედოვას საინტერესო წიგნი „ტრადიციების კვალდაკვალ“, სადაც ავტორი მოგვითხრობს თავის საშშობლოზე — დაღესტანზე, თავის მეორე საშშობლოზე — საქართველოზე, ძველ ოსტატთა სახელოვან ტრადიციებზე თავის შემოქმედებითს მუშაობაზე. ეს წიგნი შეიცავს მრავალ საგულისხმო ცნობას, რომლებიც შუქს ჰფენენ ჩვენი ჰედური ხელოვნების განვითარების გზის.

პატარა დიასახლისი

ფოტო
ზ. დათუაშვილისა

სილოვან ნარიმანიძე

ლექსები

[illegible]

ახლა უნდა ნახო,
ვარდების რა ცეცხლი უნთია ვაზიანს,
ლოჟინში — გალმა და გამოლმა ვაზია...
იქ დიდთა ფიქრთ გასართველოა,
ეს ჩემი
და შენი,
ის, საქართველოა!

მთა და ბარს ზურმუხტის პერანგი აცვია
იქ ერთი არაგველი კაცია!

ვინ იცის,
მამულზე ოცნებით გართულმა,
რამდენი უძილო ღამე გაათია,
მან იცის,
სამშობლო ყველაზე დიდი და,
ყველაზე ძლიერი ხატია!..

თბილისის გარშემო, —
ქვევით და ზევით,
შეხედეთ, რა ფერადებია,
მინდორი ღაღანებს,
ზურმუხტის ფრთიანი მთებია.

იორი მოსულა ბალებში,
ძველთაძველი სად აკრიანია,
მთებზე ფარებია და,
ხევები თეთრაფრიანია...

გარდაბანს, შავნაბადას,
ზურმუხტის პერანგი აცვია,
იქ ერთი არაგველი კაცია!..
ფიქრში აგონდება წარსული:
მკაცრი იყო მტერი,
ხშირად ცეცხლით მოსრა,
მრავალი უმწეო ბავშვი და ასული...

ერეკლეს სულ ბოლოს მოქნეული ხმალი,
სამასი არაგველი და,
სამასი თავწათლილი ხანი...

ახლა უნდა ნახო,
ვარდების რა ცეცხლი უნთია ვაზიანს,
ლოჟინში, გალმა და გამოლმა ვაზია,
მთა და ბარს ზურმუხტის პერანგი აცვია,
იქ ერთი
არაგველი კაცია!...

[illegible]

ადიდებულო ალაზანო!
ღიჭიანებში დაცხრობას ეძებ შმაგი სულისას,
გიმზერ და ვტკბები,
ულამაზესი რა ნახოს თვალმა,
უნეტარესი რა იგრძნოს გულმა...
კვლავ ძველებური რიხით და შნოით,
იერით ძველით,
ხმაურობით,
ზათქით და ელვით,
ამბოხებებით,
ვარდნილობით,
სივრცესთან შებმით,
ველებზე წყრომით გაინავარდებ.
შენ მამულის შნოვ,
ძარღვო მისო,
სიმაღლეევ მისო,
ქართველის ლხინო, სანამდე მას ქართველი
ეთქმის...
დიდი ცხოვრების მეაკვნევ და მეგზურო ჩემო,
ხან ცრემლიანო, ატირებულო,
ხან შმაგო და ელფერიანო,
ხან წყნარო, დინჯო,
სევდიანო და ვნებიანო.

[illegible]

ისევ ისეა, —
ბაქანიც, ღამეც,
ისევ ისე წვიმს, მაშინ რომ წვიმდა,
ისევ ისე სთვლის ბაქანზე წამებს
დიდი საათი, მაშინ რომ სთვლიდა.
მარტოდ ვართ ისევ,
მოლარე ქალიც
მარტოა,
მგზავრთა მოლოდინშია.
აი, დარეკა მორიგემ ზარი,
ღამე კი ჩუმი, თითქოს ფიქრშია.
მატარებელიც სხვა არის ახლა,
ეს მყუდროებაც სულ სხვა მგონია,
თოვლიც რომ მოჩანს, შორს მთებზე მაღლა,
ასე მგონია, სულ სხვა თოვლია.
მე, ბაქანი და მოლარე ქალი
მარტოდ ვართ, ისევ, რაც კი დაღამდა,
მალე მეც წავალ და სულ სხვა მგზავრი
ბედის საძებრად მოვა ბაქანთან...
ზარი კი რეკავს,
ზარი კი რეკავს...

[illegible]

ისევ იწყებენ
გაღვიძებას
ახალ ფერებით,
ძველი ხმები და
სიმღერები,
მხვნელ-მთესველები...
დიდება შენს ჰანგს,
მარადიულ
თრთოლვით მღერალო,
ავარდებულო
გომარეთო
და მაწევანო!
დიდება ახალ
სიცოცხლეთა
გაღიმებანო,
გაუყიდაო კაცის გულო
და ოცნებანო!..

გამამაგრე,
გამამხნევე,
გამიტანე,
მიცან;
მენდე,
შენთან ერთად მეც მამღერე
სამყაროის გაშლილ მკერდზე.
სულს მილხენდეს ნაკადულთა მჩქროლვარება,
ვინც კაცია, ადიდე,
თორემ ეჰა,
თმებში თეთრი მეპარება,
მზე ჩადის და
ღამე დგება სატიალე!

[illegible]

დიდი ხნის შემდეგ
აღმოსავლეთის ქარები მოვლენ
ლურჯი ზეცის დასახატავად!
დიდი ხნის შემდეგ
შენც მოიცლი ჩემს სანახავად,
დიდი ხნის შემდეგ
შენ იცხოვრებ უფრო მარტივად,
იქნება ხეთა შარიშური
და სიმარტოვე!..

ულიკა აკაკული

სოსო კაკბარაშვილი

მოთხრობა

ვერ დაგინახეთო, სად თქმულა, ადამიანს უყურებდნენ და ვერ ხედავდნენ. ავად ენიშნა შიშნიას ახალგაზრდების საქციელი. არა და არ გაუნელდა ერაზი.

დაბერდა შიშნია. ოდესღაც თვალის დახამხამების უმალ მოევლებოდა ზურგზე შეუკაზმავ ჭურანს. ახლა ბექობთან მიყენებულ, დაბერებულ ცხენზეც უჭირს შეჯდომა, თუმცა ცხენს უნაგირიც ადგას, გარსაკრავებიც კარგად აქვს შემოჭერილი და უზანგებიც ჩამოუგრძელებია. ჭაბუკური თავმოყვარეობა შემორჩა შიშნიას; ამიტომაც არის, რომ ამხედრებისას, აგერ უკვე ოცი წელიც იქნება, თვალი არავის მოუკრავს მისთვის: ან ბინდბუნდისას, მეზობლების წამოდგომამდე მოასწრებს და ზურგზე მოექცევა საფერხეს, ან, თუ შეაგვიანდა, აღვირწაგდებულ ცხენს გაუძღვება თემშარაზე; მერმე, როცა სოფელს გასცდება, მოათვალიერებს გარემოს, დარწმუნდება, თვალსაწიერზე კაციშვილი არ ჭაჭანებსო, შესაფერის ადგილს შეარჩევს და რის ვაი-ვაგლახით გაიმართება უნაგირზე.

უტეხი კაცია შიშნია, სიბერე მოეძალა, მაგრამ უძლურებას არ ნებდება. უჭირს წელში გაშლა, ყავარჯენს მაინც არ ხმარობს, არც ხელებს მოიშველიებს წამოდგომისას. ძალას დაძაბავს და ახალგაზრდასავით მოხდენილად წამოიმართება. ხალხი ამბობს, შიშნიამ სიბერე დაამარცხაო. არ იციან, რა ფასად უჯდება შიშნიას ეს გამარჯვება. მისთვის არავის უთქვამს, ჰა ბეჩავ შიშნიაო, დაბერდიო. ამას ვერავინ ჰკადრებს. შეუძლიან ბეჩავად არ გამოჩნდეს ხალხთან და ვიდრე ეს შეუძლიან, ვერც მებედავენ შებრალებას. ოთხმოცდაათ წელს კარგახანია გადააბიჯა. დაბეჩავებისა არაფერი ეტყობა შიშნიას. თავი ღირსეულად უჭირავს. უმასრებო ჩოხა და პაჭიჭ-წუღები აცვია, თავზე კარაკულის ქუდი ხურავს. ხელები ზურგზე აქვს შემოწყობილი და წელგამართული დაიარება.

პირველი მსოფლიო ომი რომ დაიწყო, შიშნია ხევსურეთიდან თიანეთის სამაზრო ცენტრს ესტუმრა. ჰოდა, იმჯერად ხევსურეთს ველარ დაბრუნდა შიშნია. თურქეთის ფრონტზე ამოყო თავი, უხეში ნართისაგან ნაქსოვი, ახალთახალი ხევსურული პერანგი ჩოხაზე გაცვალა. იმის შემდეგ სულ ჩოხით დაიარება შიშნია. ხალხს ახსოვს, ის ჩოხა ოდესღაც მასრებით იყო გაწყობილი, მასრებს ქვემოთ კი ტრაპიზონთან მიღებული ორდენები მიემაგრებინა შიშნიას. დიდიხანია, ორდენები ზანდუკში შეინახა პატრონმა, მაგრამ გამოხუნებულ ჩოხას ისევ ატყვია მათი ნაკვალევი.

მოწიწებით ესალმება ხალხი შიშნიას. თუ საქონელი ავად ვისმეს გაუხდება, ხშირად ვეტექიმისგან კი არა, შიშნიასაგან ელიან შველას; ასე ალბათ იმიტომაც ხდება, რომ მთაში, საიდანაც სოფელი ამ ხუთი წლის წინათ გადმოსახლდა, ვეტექიმი არ ჰყავდათ და შიშნიას კი დიდი გამოცდილება ჰქონდა. პირუტყვი თუ გაცივდა, ან დამაღი ჩამოუვიდა, ან ნადირმა დაგლიჯა, შიშნია მეპატრონეს ასწავლის წამალსაც, წამლის ხმარების წესსაც.

თუ ექიმი შემთხვევით სოფელში არ აღმოჩნდება, შიშნიასთან მიჰყავთ ხელამოვარდნილი და ფეხნაღრძობი ბავშვები. შიშნია ლამის საუკუნის კაცია, მაგრამ სოფლისთვის ჯერ ისევ სასარგებლოა. სასარგებლოც რომ არ იყოს, იმდენი სიკეთე ახსოვთ მისგან თანასოფლელებს, პატივისცემა მაინც არ მოაკლდება.

დღეს კი მახვილი აძგერეს შიშნიას თავმოყვარეობას ახალუხლებმა. მეზობელთან იყო შიშნია სტუმრად, როცა სახლში ბრუნდებოდა, გზისპირად თავმოყრილი ახალგაზრდები შენიშნა.

ისინი რაღაცაზე საუბრობდნენ.

მერე შიშნიასკენ იყურებოდნენ და საუბრობდნენ.

მერე აღარ უყურებდნენ და საუბრობდნენ.

შიშნიას ხელები ზურგზე შემოეწყო და დარბაისლური ნაბიჯით მიდიოდა. როგორც ყოველთვის, ახლაც თავის თავს ძალას ატანდა, რომ დაჩაჩანაკება არ შეემჩნიათ. განა თვითონ არ იცის, რომ მთელმა ქვეყანამ გაიგო, — შიშნია ის აღარ არის, რაც სულ რაღაც ხუთიოდე, თუ ათიოდე წლის წინათ იყო. სამოცი, სამოცდაათიოდე წლის წინანდელი შიშნია კი იშვიათად ვისმეს ახსოვდა სოფელში...

ოდესღაც რვაას ნაბიჯზე შავ ნაბადს უშლიდნენ თანატოლები შიშნიას, ზედ როჭოს კვერცხს დასდებდნენ. თუ ერთ სროლაზე ააცდენდა, მეორე სროლაზე უსათუოდ მოარტყამდა ნიშანს; საბოლოო წაგებული ცნობისმოყვარე კი წყალზე გასარეცხად მიარბენინებდა კვერცხისაგან დასვრილ ნაბადს.

ღამესავით შავი ჭურანი ჰყავდა შიშნიას — ყორანას ეძახდა. ძაუგში ერთ ჭისტს თორმეტი ძროხა მისცა ყორანაში. სულ ორიოდე თვეში კი, დოღებში რომ გაიმარჯვა, თხუთმეტი ძროხა შესძინა ყორანამ შიშნიას ოჯახს.

მათრახი არასდროს გადაუკრავს ყორანასათვის. ან რა საჭირო იყო ეს, როცა ცხენი მისანივით ხვდებოდა პატრონის ნებას. უბრძანებდა და ჭვასავით უძრავად გაჩერებდა შიშნია ყორანას. როცა დოღში მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდებოდა შიშნია, უკვე წინდაწინ იცოდნენ ვინც იპირველებდა. პირველი ომის დროს და მომდევნო წლებშიც აბრაგებმა ისევ გაიხსენეს ხევსურეთისაკენ საშოვარისათვის საწანწალო გზა. როგორც კი თურქეთის ფრონტი მოიშალა, შიშნიამ მაშინვე ხევსურეთს მიაშურა. აბრაგებისთვის რისხვად იქცა შავ ჭურანზე ამხედრებული შავნაბადოსანი შიშნია. რამდენჯერ შეუკრა აბრაგებს გადასასვლელი და მანამდე იკავებდა აუცდენელი ტყვიით, ვიდრე სოფლიდან მაშველი არ გამოჩნდებოდა.

თვითონ ღამის მგლებმა ღამის მგელი შეარქვეს შიშნიას.

დღევანდელი შიშნია მხოლოდ ლანდიღაა იმ შიშნიასი. სოფელი კი კეთილ მისაგებს ისევ მიაგებს. შიშნიას სიტყვას დიდ პატივს სდებენ მოდავენი. ქორწილში თუ ღრეობისას, ჩხუბი რომ ატყდება, საკმარისია პაპა შიშნია ფეხზე წამოდგეს და მკაცრად თქვას, გონს მოუხმეთო, მოჩხუბარნი უმალ ჩაწყნარდებიან. ხალხი რომ აყაყანდება და პაპა შიშნია ხელს აღმართავს, დუმილი დაივანებს მაშინვე. ასეთი პატივისცემა აძლებინებდა შიშნიას. დღესაც ეს იყო, მხრებში მეშველივით რომ შესდგომოდა და ბეჭებგაშლილი მოდიოდა.

ახალგაზრდები ჩუმად, დადინჯებით ლაპარაკობდნენ. სხვა დროს, შიშნიას მიახლოებისას ყმაწვილებიც და ხანდაზმულებიც საუბარს შესწყვეტდნენ ხოლმე და ბერპაპის მისალმებას დაელოდებოდნენ.

დღეს კი ახალგაზრდებმა ყურადღება არ მიაქციეს.

შიშნიასკენ იყურებოდნენ და საუბრობდნენ.

მერე აღარ იყურებოდნენ და ისე საუბრობდნენ.

შიშნია უკვე გაუპირდაპირდა მათ. ახლა რაღაც ხუთიოდე მეტრი აცილებდა მოსაუბრე ბიჭებს. ნაწყენმა შიშნიამ გულის ბაგაბუგი იგრძნო. ვინ იცის რამდენი წელი იყო გასული, რაც საკუთარ მკერდში სისხლის ასეთი მოძალება არ უგრძვნია.

ყურადღება დაძაბული გასცდა ერთი, ორი, სამი ნაბიჯით და სწორედ ამ დროს იფეთქეს ბიჭებმა. ხმამაღლა გაიცინეს.

გული შეუჩერდა შიშნიას, თვითონაც შეჩერდა და ახალგაზრდებისაკენ შემოტრიალდა. ისევ ამოძრავდა გული, მაგრამ ისე მშვიდად კი არა, როგორც ყოველთვის, თავწაწყვეტილი ჭათამივით აფართხალდა.

— ძაღლის ლეკვებო! — იყვირა მან.

ბიჭები შემობრუნდნენ და პაპა შიშნიას გააფთრებულ მზერას რომ წააწყდნენ, სახტად დარჩნენ.

— თქვენხელა ოთხმოცი წლის წინ ვიყავი. მოხუცების დაცინვით არ ვიქცევდით თავს, რა ნახეთ სასაცილო!..

ბიჭები ალაპარაკდნენ, უმიზეზოდ გვდებ ბრალსო. ქერათმიანი, ტანმაღალი ჭაბუკი ახლოს მივიდა შიშნიასთან.

— გვაპატიე, პაპავ, ვერ დაგინახეთ, თქვენ რა გაქვთ სასაცილო!

შიშნიამ უნდობლად გაუშტერა თვალი. ბიჭი სუფთად იყო გაპარსული და მოხდენილად ეცვა. შიშნიას არასოდეს არ სჯეროდა ასეთი ახალგაზრდების.

— თავისი თავის მეტი აღარავინ გახსოვთ, — რისხვას ვერ იოკებდა შიშნია.

— შიშნია პაპა, — ბიჭმა მორჩილად მიმართა, — ბოდიშს ვიხდით, ვერ დაგინახეთ. თქვენ რომ ვინმემ დაგცინოთ, ჩვენ თვითონ არ დავაყრით ხეირს.

შიშნიას ცოტა გულზე მოეშვა, მაგრამ ისევ უნდობლად უყურებდა.

— მე რომ გავიღლი, სუს არ იყვას! — მკაცრად გაიქნია მან მარჯვენა ხელის გაშლილი ნები, ერთხელ კიდევ მოავლო ბიჭებს მსუსხავი მზერა და აბობოქრებული გაბრუნდა.

ისევ ზურგზე შემოიწყო ხელები, მხრებში გაშლილი წავიდა, მაგრამ ასე არასოდეს გასჭირვებია ტანისათვის წონასწორობა შეენარჩუნებინა. გული ნაწყვეტ-ნაწყვეტად, უწესრიგოდ მუშაობდა. არც ახლა აქცევდა გულს ყურადღებას, მაგრამ სულის ხუთვამ შეაწუხა, ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მუხლები მოკვეთესო და უკვირდა, მაინც რომ აბიჯებდა მუხლში მოკვეთილ ფეხებს.

ვერ დაგინახეთო, მეასედ იმეორებდა გულში ბიჭის ნათქვამს.

რას ჰქვია, გიყურებდნენ და ვერ გხედავდნენ.

ეს რაღა ძაღლური ავადმყოფობაა.

ხომ უყურებდნენ შიშნიას, უყურებდნენ, ამას ნამდვილად ხედავდა შიშნია. თუ შიშნიამ შესძლო და თითქმის ასი წლის თვალებით გაარჩია მათი მზერა, თხუთმეტი-ოცი წლის ლეკვებს რაღა დაემართათ, რომ ვერ იცნეს. არც შავი ღამე იყო, არც შავ ცხენზე იჯდა შიშნია, არც შავი ნაბადი ჰქონდა მოსხმული.

მაშ რა ღმერთი გაუწყრათ და დღისით-მზისით ვერ შენიშნეს.

არა, შიშნიას ყოფნა-არყოფნას მნიშვნელობა აღარ ჰქონია. მღილიც კი არ რჩებათ შეუნიშნავი და... არა, საქმეც ეგაა, რომ არაფერი არ რჩებათ შეუნიშნავი. მაშ ამაოდ ფარავდა მოხუცი მოძალებულ სისუსტეს და უძლურობას, მაინც ყველაფერი ხილული ყოფილა სხვებისათვის. შენ უკვე არარაობა ხარ და არარაობის დანახვა შეუძლებელია. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ უყურებდნენ შიშნიას და ვერ ხედავდნენ. ხვალ და ზეგ, მაზეგ და მომავალში უფრო მეტ და მეტ ნაცნობს გაუუცხოვდება შიშნია.

სახლეულს დაუძლურებული და იმ დილანდელთან შედარებით ათი წლით დაბერებული ეჩვენა შიშნია. მიზეზი იკითხეს. პასუხი ვერ მიიღეს. იმ დღიდან თემშარაზე გავლილი აღარავის უნახავს შიშნია არაბული.

თედო ბექიშვილი

გ ე რ ი კ ა ც ი

გადახმა ლურჯად ლივლივა მოლი.
გაზაფხულიდან იმ მთას გასცქერის, —
მთებში რა მალე ეშვება თოვლი,
მთებში რა მალე მოდის ნამქერი!

გაჰყურებს ზამთარს შიშით და მტრულად,
კაცი თოვლეთის გზაზე დამდგარი
და უკვირს, უკვირს, რა ასულელებთ,
რად უხარიათ ბავშვებს ზამთარი?

დ ე დ ა ს

იმდენი ცრემლი დაგროვდა,
ბოლოს ხომ უნდა ედინა,
რა ვუყო, იმ ცრემლს, რა ვუყო
მალვით რომ ღვრიდი, დედილა!
რამ დაგისველა თავშალი
აქამდის რომ არ გამშრალა?
ვისღა მოელი? რას გასცქერ
ამ ჩაღამებულ გზა-შარას?!
არ მოდის შენი ვაჟკაცი,
უცხო მხარეში დამრჩალა...
რა ვუყო, ღამეს რა ვუყო,
რიდე რომ გადაგაფარა!

აჰა სანთელი!
კალთაში
ჩამოგიგორე პატარა...
ეგების შენი ყინული
გაალღვოს, როგორც აპრილმა,
ზამთრით დაბელილ ხეებზე,
ნახე, ყლორტები აყრილა!
და ცრემლი,
ცრემლი ანკარა
მაღლა მიიწევს ნისლებად
და წვიმად ქცევის მსურველი
მამულის ცაზე იშლება...

* * *

ისევ აყვავდა იელი,
ზვავებ წყალს ჩაჰყვა ჩამდინარს,
აფრინდა ქორი ტიალი,
არაგვი ჩაინადირა...
ჯიხვმა კლდის ქიმი ჩაშალა,
მეც ამ კლდეების ლანდი ვარ;
ხომ არას ნაღვლობ, ქალშავავ,
სამზეოს ჯერაც დავდივარ...
ჯავრს მაინც არას მოგამშევ,
სხვას თუ ვეღარას გარგივარ...

ნ ა ც ნ ო ბ ო ბ ა

იუმორესკა

ყველ-კარაქის ქარხნის დირექტორს — მიხაკოს ცოლისძმა ესტუმრა. სამი დღე ილხინეს, მეოთხე დღეს ცოლისძმამ საყვარელ სიძეს წასვლის სურვილი აუწყა. ბოლოს, სიძის თანხმობა რომ მიიღო, საყველაწმინდოდ კიდევ ერთი კათხა ღვინო გამოცალა, სიძე დალოცა — შენი მარჯვენით აშენებულ-დამშვენებულ შენს ჭერს გაუმარჯოსო.

ქებით გახარებულმა სიძემ მიაგება — ერთი-ორი საათი დამაცადე და უფრო კარგად გაგაგებინებ ჩემი მარიფათის ფასსაო. მალე ამ ქარაგმით გაოცებულ ცოლს კარში შეეფეთა და აუხსნა:

— ცარიელს ხომ ვერ გავგზავნი ჩემს ცოლისძმას, მოუხდელი ყველი უნდა გავატანო!

სასურველი ხარისხის ყველი თავისი ქარხნის საწყობში იმ ხანად არ ეგულებოდა და ბაზარში გაეშურა.

ბევრი იხეტიალა მიხაკომ დახლებს შორის, მაგრამ ვერსად წააწყდა ცოლისძმის საკადრის ყველს.

სიარულით ქანცი რომ გამოელია, შერცხვენით გულგაბოროტებულმა გზა ვეღარ გაიგნო და კვერცხის პავილიონს მიადგა. გლეხის ხმამ გამოაფხიზლა:

— რას ჩაფიქრებულხარ, ძმობილო! იყიდე, ახალი კვერცხია!

— რაო? კვერცხი კი არა, ყველი მინდა.

— მერედა ყველს კვერცხებში ეძებ, კაცო?

— ეეჰ, არ არის კარგი ყველი და რა ვქნა, კვირა დღე მაინც იყოს, — წამოიძახა მიხაკომ. გლეხმა უცქირა, უცქირა და მერე შეაპარა:

— შენ, ძმობილო, მოდექ ცოტა აქეთ, — და ჯავრისაგან გაოგნებულ მიხაკოს ღამურასავით ფრთაგაშლილი ულვაშებით ყურთან შეუღიტინა:

— ნაცნობობა, მეგობარო, ნაცნობობაა მთავარი!

მიხაკო ამაოდ ცდილობდა გლეხის ქარაგმას ჩაწვდომოდა. ის კი განაგრძობდა:

— წახვალ ყველ-კარაქის ქარხნის საწყობში, იკითხავ ლავრენტი დონდუაშვილს — საწყობის გამგეა, ჩემი სახელით ეტყვი — „ბღაჭიაანთ ლადომ გამომგზავნა, ყველიოო!“ ჰო, ჰო, მიდი! რაღას უყურებ! ჩემი კარგი ძმაკაცია.

მიხაკო დაბორიალებულივით წაბარბაცდა. აბა, გლეხი რას მიუხვდებოდა, თანაც ერთი-ორი მუჯლუგუნითაც გააცილა.

— აი, ჩემმა მზემ, გული დამეტანჯა დაღონებული რო გნახე, მოკლედ, თუ იყოყმანოს, ჩემი სახელით უთხარი, ჩემთვის რომ უნდა მოეცა. ის მოგცეს, მიდი, მიდი! კარგი კაცი სჩანხარ!

— მე ბღაჭიაანთ ლადოს მეძახიან!.. — დაადევნა ბარბაცით მიმავალ ყველ-კარაქის ქარხნის დირექტორს.

— ბევრი რამე შეუძლია ნაცნობობას! — უხარიან ბღაჭიაანთ ლადოს.

ლ. ფენაშვილი

შეხვედრები და შთაბეჭდილებები

ანა ხახუტაშვილი ჩუმი, უპრეტენზიო, მაგრამ უაღრესად პრინციპული ადამიანი იყო; ადვილად არც მეგობრებს იცვლიდა და არც შეხედულებებს საგნებზე. ძალზე კარგი, საინტერესო საუბარი იცოდა, განსაკუთრებული სიყვარულითა და გატაცებით მოგვითხრობდა ხოლმე თავისი სოფლის — მეჯვრისხევის ამბებს.

— ჩვენს ოჯახთან, — ხშირად უთქვამს ანას, — დაახლოებული იყვნენ ხალხოსნები, რევოლუციურად განწყობილი ქართველი და რუსი ინტელიგენტები. ერთი მათგანი გორში პეტერბურგიდან იყო გადმოსახლებული. ერთხელ ჰკითხეს, რატომ დაგსაჯესო. წელში გასწორდა, თავი ამაყად ასწია მაღლა და ხმამაღლა განაცხადა: „უბრალო ხალხის სიყვარულის გამოო“. იქვე დაწმინა: „არ არის ადამიანისათვის უფრო წმინდა მიზანი, ვიდრე ის, რომ ხალხს ემსახურო, სადაც უნდა იმყოფებოდე. მე ყველა ხალხი მიყვარს და არავის არ შემიძლია მივცე უპირატესობა. ეს ბუნების საწინააღმდეგო რამ იქნებოდა“. ასეთი წრფელი ინტერნაციონალისტური სულისკვეთებით იყვნენ გამსჭვალული ეს ადამიანები. მათი გავლენით გავხდი სახალხო მოძრაობის მონაწილე, ამის გამო, თავის დროზე სიმწარეც მინახავს, შევიწროებაც, დევნაც.

მწერალი ქალი განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით იგონებდა სანდრო კავსაძეს.

— კეთილი კაცი იყო, ტკბილი ხმა და პატიოსანი გული ჰქონდა. როგორც კი გვესტუმრებოდა, მაშინვე ლხინი, ცეკვა-თამაში იმართებოდა. მოვუყრიდი თავს მეზობლის გოგო-ბიჭებს და სულგანაბული ვუსმენდით მის მომაჯადოებელ სიმღერებს, — ჰყვებოდა ანა.

ანა ხახუტაშვილი უმთავრესად ბავშვებისთვის წერდა. ის ხშირად ხვდებოდა მოზარდებს სკოლებში, პიონერთა ბანაკებში და ყოველთვის მდიდარი შთაბეჭდილებებით ბრუნდებოდა. უნდა გენახათ, როგორ უცვდ გამონახავდა ხოლმე საერთო ენას პატარებთან; ისე ეხვეოდნენ პატარები ირგვლივ მოხუც მწერალს, თითქოს პირველად კი არ ენახოთ, არამედ მათი აღმზრდელი საყვარელი დიდედა ყოფილიყოს. მით უმეტეს ეს „დიდედა“ ისე წარმტაცად ჰყვებოდა ჩიტებზე, ტყეზე, კაცისა და ქალის შრომის მადლზე, ჰყვებოდა თვითონ პატარებზე: მე ხშირად შევსწრებივარ მის შეხვედრებს ნორჩ მკითხველებთან და მუდამ მაოცებდა ეს საოცარი ინტიმი მწერლისა, ეს საკვირველი ნიჭი ისე ეთქვა მათთვის ყოველი სიტყვა, რომ ბავშვები აღარ სცილდებოდნენ.

ასეთი იყო ის თავის მოთხრობებშიც, როცა ბავშვებს უკვე წიგნის ფურცლებიდან ელაპარაკებოდა.

ერთხელ, ბავშვებთან მორიგი შეხვედრიდან რომ ვბრუნდებოდით, მან მითხრა:

— „საბავშვო მწერალმა კარგზეც უნდა წეროს და ცუდზეც, ოღონდ ისე უნდა წეროს, რომ ბავშვს ცუდი საქციელისადმი პროტესტის, შეურიგებლობის გრძნობა აღუძრას. არა მგონია, ბავშვმა წაიკითხოს ი. გრიშაშვილის „ონავარი“ და არ დაგმოს მისი საქციელი.

ანა ხახუტაშვილი მუდამ იმას ამბობდა, რომ მწერალი ღრმად უნდა ჩასწვდეს საგნის არსსა და შინაგან საიდუმლოს, საჭიროა საგანი ცოცხლად აღიწეროს. ბავშვმა თუ წიგნის კითხვისას მოწყენა იგრძნო, თუ ის ნაწარმოებმა არ გაიტაცა, ასეთი წიგნის ავტორი ამოდ დამშვრალა.

1955 წლის შემოდგომაზე მწერალთა კავშირში მოეწყო ჩემი წიგნის — „თანამედროვე ქართული საბავშვო მწერლობის“ განხილვა. სიტყვა წარმოსთქვა ანა ხახუტაშვილმაც. პირველად წიგნის ნაკლოვანებებზე ილაპარაკა, შემდეგ კი ხაზი გაუსვა საბავშვო მწერლობის მიმართ ქართული ლიტერატურული კრიტიკის უყურადღებობას; „ჟურნალ-გაზეთებში, — გულისტკივილით თქვა მან, — იშვიათად თუ წააწყდებით კვალიფიციურ რეცენზიას საბავშვო წიგნზე“.

მწერლის ამ საყვედურს კრიტიკის მიმართ დღესაც არ დაკარგვია ძალა.

* * *

1924 წლამდე თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიაში (შემდგომში, მეორე შრომის სკოლა) ვსწავლობდი. ერთხანს ჩვენი კლასის ხელმძღვანელი და ქართული ენის მასწავლებელი ვახტანგ კოტეტიშვილი იყო.

მ. ი. კალინინი წერდა: „მასწავლებლები, ერთი მხრივ, დიდი განათლების ადამიანები უნდა იყვნენ, მეორე მხრივ კი — კრისტალურად პატიოსანნი“. სწორედ ასეთი მასწავლებელი იყო ვახტანგ კოტეტიშვილი; მისი გაკვეთილი მუდამ დიდად საინტერესო და ჭკუის სასწავლებელი იყო. ვახტანგი ხშირად გადაუხვევდა ხოლმე იმ დღის გაკვეთილის თემას, გადაიჭრებოდა საუკუნეებში, და მაშინ უნდა გესმინათ მისთვის. განსაკუთრებით უყვარდა საუბარი ხალხურ პოეზიასა და „ვეფხისტყაოსანზე“. შოთას პოემაზე იტყოდა ხოლმე: ორი საუკუნით ადრე გამოიხატა მასში რენესანსის სული და იდეები, და მერე როგორ გამოიხატა! ესაა ჰიმნი ჰარმონიულად შერწყმული ფიზიკური, ეთიკური და სულიერი სილამაზისაო.

მოსწავლეები მას ხშირად ვეკითხებოდით რუსთაველის ბიოგრაფიაზე, მაშინ დიდი დავა იყო ამაზე და ჩვენს ყურამდე აღწევდა გამოძახილი რუსთველოლოგების ცხარე პაექრობისა; ჩვენმა მასწავლებელმა ერთხელ, ჩვენი შეკითხვის პასუხად შექსპირის შემოქმედების ერთი ადრინდელი მკვლევარის ფრაზა წაგვიკითხა: „ყველა ცდა მისი სახის ცოცხლად წარმოდგენისა ზუსტი მასალებისა და უტყუარი ცნობების უქონლად—საფუძველშივე ყალბი და უაზრო განაზრახია. ასეთ ცდას შეუძლია მხოლოდ გაუგებრობა გამოიწვიოს“. მაგრამ, — დასძინა ვახტანგმა, — რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, როცა ეს „ზუსტი“ და „უტყუარი“ ცნობები ჩვენ ძალიან ცოტა გვაქვს. აქ ერთი რამ გვანუგეშებს — ჩვენს ხელთ არის გენიალური ქმნილება, რომელშიც გამოხატულია ავტორის სული, მისი მრწამსი და ეს კი ყველაზე მთავარია. ეს გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ რუსთაველს, როგორც პოეტსაც და როგორც ადამიანსაც.

ვახტანგ კოტეტიშვილი შესანიშნავი ორატორი იყო, ხავერდოვანი ხმა ჰქონდა. არასოდეს დამავიწყდება დიდი ტრიბუნიდან წარმოთქმული მისი სიტყვა ალექსანდრე ყაზბეგის დასაცავად, როცა ამ მწერლის ირგვლივ უცნაური ჭორების გავრცელება დაიწყეს. კოტეტიშვილმა დაწერა მშვენიერი წიგნი, სადაც მათემატიკური სიზუსტით აღადგინა ჭეშმარიტება. ბევრჯერ უთქვამს: ყაზბეგის რომანები ისევე ათრთოლებს ადამიანის სულს, როგორც დიდი მუსიკოსების ნაწარმოებებიო.

ვ. კოტეტიშვილს საოცარი ალღო და გუმანი ჰქონდა. მახსოვს, ჩემს თანაკლასელ ილიკო სუხიშვილს პირველად მან უთხრა: მომწონს შენი ენერგია და სიბეჯითე. ცეკვით რომ სახელს მოიხვეჭ, ეს ჩემთვის საეჭვო არ არისო. მართლაც ზუსტად ახდა მისი წინათგრძნობა.

ერთხელ, როცა პროფესიის ამორჩევაზე გვესაუბრებოდა, გვითხრა: იწყება ძლიერი ტექნიკის ხანა. ინდუსტრია ჩვენში არნახული ტემპით განვითარდება, რაც მოითხოვს მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებსო, იქვე დაასახელა რამდენიმე მოწაფე, რომლებსაც სწავლა აუცილებლად უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში უნდა განეგრძოთ. დღეს ისინი დამსახურებული ინჟინრები არიან.

ვახტანგ კოტეტიშვილი გატაცებული იყო სპორტით. ხშირად ყოფილა სასპორტო ასპარეზობათა აღგზნებული მაყურებელი, იგი მოხიბლული იყო ფეხბურთის პირველი ქართველი ოსტატების თამაშით. ცნობილი ქართველი ფეხბურთელი ანდრო ჟორდანია ერთხელ ივანოვო-ვოზნესენსკის გუნდის მწვრთნელი იყო. ერთ დღეს იგი თავისი გუნდით თბილისს ესტუმრა. თამაში გაიმართა „დინამოს“ მოედანზე; ეს იყო ნამდვილი სპორტული სანახაობა, უაღრესად საინტერესო თამაში წმინდა ტექნიკური თვალსაზრისითაც. ვ. კოტეტიშვილის გვერდით ვიჯექი და მისი განცდების უშუალო მოწმე გავხდი. ცერემონია რომ დამთავრდა, მომიბრუნდა და მითხრა: სილამაზე ყველგან და ყველაფერშია საჭირო, რაც დღეს ვნახე, არასოდეს დამავიწყდებაო.

ვლადიმერ ჯიბუტი

სულიკო დიასამიძე

საგაზაფხულო

ცას გახელია თვალები ფართოდ,
და მიწის სითბო გულამდე ატანს,
თავზე ვარდების ფანტელი მათოვს,
ღიმილი შვენის ნუშსა და ატამს!
მიწის გულმკერდი გადახნულია,
ღრუბლებს სავსე აქვთ წვიმით ჯიქნები,
რა მშვენიერი გაზაფხულია,
ყაყაჩოს ცეცხლად ღვივის ფიქრები.
ცას გახელია თვალები ფართოდ,
მზე ოქროს ფუნჯით მიწის მკერდს ხატავს,
თავზე ვარდების ფანტელი მათოვს,
ღიმილი შვენის ნუშსა და ატამს.

ჩემი ბიჭები

ომის დროს და ომის შემდგომ წლებში თბილისის გარეუბანში, ე. წ. მამუკაანთ სოფელში მუშაობდა „უპატრონო ბავშვთა მიმღებ-განმანაწილებელი", რომელიც ზრუნავდა იმ ბავშვების ბედზე, ვინც ომმა უსახლკაროდ დატოვა. ესენი იყვნენ უმთავრესად მტრის მიერ დროებით დაპყრობილი ქალაქების და სოფლების მკვიდრნი; მიმღებ-განმანაწილებელი ერთხანს თავის განკარგულებაში ამყოფებდა მათ, აჩვევდა შრომას და შემდეგ უპატრონო ბავშვთა სახლებში გზავნიდა. ერთი ნაწილი ამ ბავშვებისა მოქცეული იყო ბოროტმოქმედთა გავლენის ქვეშ, დამნაშავეები და რეციდივისტები ხშირად რკინიგზის სადგურზეც კი უხვდებოდნენ ამ ბავშვებს და ცდილობდნენ მათს გადაბირებას; მიმღებ-განმანაწილებლის აღმზრდელები, მილიციის მუშაკებთან ერთად, ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა ბავშვები დამნაშავეთა გავლენის ქვეშ არ მოქცეულიყვნენ და არ ასცდენოდნენ სწორ გზას.

ამ ამბებზე მოგვითხრობს ჟურნალისტი გიორგი ხეჩუაშვილი თავის წიგნში „ჩემი ბიჭები", რომლის ერთ თავს ქვემოთ ვაქვეყნებთ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ავტორი თვითონ მუშაობდა ამ ბავშვების აღმზრდელად და წიგნს დოკუმენტური მოთხრობის ხასიათი აქვს.

რედ.

ცაზე ღრუბელი აშლილიყო. ნამგალა მთვარე საოთღაც ძიუძღოდა შავ ქარავანს. ერთ ადგილას ცა მოკაშკაშებულიყო და მხიარულად ციმციმებდნენ ვარსკვლავები.

ზურაბმა ფანჯარა გამოაღო, გაიხედა, თვალმა უცებ მოძებნა ეს ნათელი ადგილი ცაზე.

ფანჯრის ჩარჩოს მიეყრდნო, ფიქრებმა წაიღეს.

დერეფნიდან ლაპარაკის ხმა მოესმა. ყურადღება არ მიუქცევია.

ზურაბი უცებ მაგიდისაკენ მოტრიალდა, ჟურნალი გადაფურცლა და თავისი მოურჯულებელი აღსაზრდელების სიას თვალი გადაავლო; ვორობიოვის გვართან რომ მივიდა, შეჩერდა, დიდხანს ფიქრობდა. „ღმერთო ჩემო! როგორ ჰგავს ეს ბიჭი ჩვენს კაპიტანს. ნუთუ მისი შვილია, იმან ხომ არაფერი იცოდა თავისი აწიოკებული ოჯახისა. მაგრამ გვარი რომ სხვა აქვს... თუმცა რას გაიგებ!"

— უფროსო, თქვენთან გამომგზავნეს! — ჩაესმა მოულოდნელად. ვერც კი გაიგო როდის მიუახლოვდა მის მაგიდას ბორია, მეტსახელად ჭროღა აფთარს რომ ეძახდნენ.

ზურაბმა ჯერ ბიჭი შეათვალიერა, მერე ვეება დარბაზს გახედა, სადაც მისი აღსაზრდელების საწოლები იდგა; ყველა დაწოლილიყო, მაგრამ შეატყო, არავის ეძინა. შორიდან უთვალთვალებდნენ, რაღაცას უცდიდნენ.

— ვინ გამოგგზავნა? — კუშტად იკითხა ზურაბმა.

— ჩვენებმა.

— რა დაგაბარეს, რა გვინდაო? — აღმზრდელმა ისევ დარბაზს გახედა.

ჭროღა აფთარი დუმდა, ეტყობოდა უჭირდა თქმა. ბოლოს მაინც გაბედა.

— ბევრი ვითათბირეთ თქვენზე, ბევრი ვიდავეთ და ვიმსჯელეთ.

— ჩემზე?!

— ნუ გიკვირთ. ვორობიოვი კეთილი გულის ბიჭია, ასე ადვილად ვერ გაგიმეტათ!

— არ მესმის, რას ამბობ, ბორია!

— მიხრჩობას გიპირებდით, მაგრამ...

— მერე, რატომ გადაიფიქრეთ? — დამცინავად თქვა ზურაბმა.

— თქვენ ნუ გეცინებათ. მის დიდსულოვნებას უნდა უმადლოდეთ. შეურაცხყოფას ის მაღალ ღმერთსაც კი არ აპატიებს.

— მერე, მე რად მაპატია?

— არ ვიცი.

— ეს მეტისმეტი თავხედობაა, ბორია, როგორ ბედავ ჩემთან ასეთ ლაპარაკს?!

— ჰო, იქნებ ეს ასეა... მაგრამ იცოდეთ, ეს დიდი მოწყალებაა ვოვას მხრიდ დამერწმუნეთ, არც ისე ძნელია მარყუჟი მოგდოთ ყელზე. ნუთუ ეს არ გესმით?

— გასაგებია, — დაბალი ხმით უპასუხა ზურაბმა, რაც იმას ნიშნავდა, ვგრძნობ თქვენს ძალასა და შესაძლებლობებსო.

— ვორობიოვის შეურაცხყოფას არავინ არ გაპატიებთ. თქვენ არ იცით, რა ჩაიდინეთ... ის ხომ ხელშეუხებელი პიროვნებაა, თქვენ კი როგორ მოექეცით? გეღიმებათ არა? ვაი თუ ხვალ ვეღარ გაიღიმოთ. გონს მოდით, მოუსმინეთ ჩვენს ულტიმატუმს. ჰო, თუმცა ვორობიოვის გულჩვილობაზე უნდა მოგახსენოთ, ჩვენ შენი დახრჩობა გადავწყვიტეთ, მაგრამ მან ჯერჯერობით ეს სასტიკად აგვიკრძალა, არ ვიცი, რადა!

— არ მესმის, რა ულტიმატუმზე ლაპარაკობ?

— მთავარი ის არის, რომ თქვენი დასჯა დროებით გადავდეთ.

— მე თქვენი არ მეშინია, უმჯობესია გონს მოხვიდეთ და თქვენს საქციელს დაუფიქრდეთ.

— ჩვენს ულტიმატუმზე რას იტყვით?

— თქვით, რას მოითხოვთ ჩემგან...

ჭროღა აფთარი სწრაფად შეტრიალდა. ბიჭები ისევ შორიდან უთვალთვალებდნენ აღმზრდელს.

— ხედავთ? — თითი გაიშვირა მან ფანჯრის პირდაპირ ელექტრონის შუქით გაბდღვიალებული ხუთსართულიანი სახლისაკენ. — მეოთხე სართულის აივანზე აუარებელი რაღაცეები აწყვია, შაშხიც ბლომად ჰკიდია, ახლა არ ჩანს. ჰოდა, თუ გინდათ გადარჩეთ, ბიჭები ოქვენი ნებით უნდა გაუშვათ იმ აივნის გასაწმენდათ. ის შაშხი ჩვენ არაფერში გვჭირდება, უბრალოდ წვრთნას გადიან ბიჭები. გესმით?

— მესმის! — აღშფოთებით წამოიძახა ზურაბმა, — მესმის, მაგრამ ეს არ მოხდება!

— თქვენი ნებაა, იფიქრეთ და ერთ-ერთი აირჩიეთ! — დამშვიდებით წარმოსთქვა ჭროღა აფთარმა, შებრუნდა, ორიოდე ნაბიჯი გადადგა, მერე უცბად შემოტრიალდა და თითქმის ვედრებით უთხრა ზურაბს:

— თქვენ კარგი კაცი ხართ და მეცოდებით, კარგად დაფიქრდით.

აღმზრდელი დარწმუნებული იყო, რომ ეს მოურჯულებელი ბიჭები თავიანთ ულმობელ გადაწყვეტილებას არ გადაუხვევდნენ, ღიმილი ტუჩებზე შეეყინა.

...ერთხელ ყირიმში დაზვერვაზე გაგზავნეს და მტრის მახეში გაება. რა სატანჯველი გამოიარა, რა წამებასა და გასაჭირს გაუძლო, ვიდრე პარტიზანები დაიხსნიდნენ; გერმანელებმა ვერ დაიმორჩილეს და ახლა ამ ცინგლიანებმა უნდა მოდრიკონ? ჰმ, წვრთნას გადიანო! მართლაც კარგი წვრთნაა ქურდისათვის ბინის გატეხა... ან ყელზე მარყუჟი, ან გზა დაგვიღოცეო.

ზურაბი დერეფანში გავიდა. იქ, გოგია მცველი დინჯად იჯდა თავის სკამზე. მოდი და დაენდე ასეთ მშიშარა და თანაც გაიძვერა კაცს! განა მისი იმედით შეიძლება იყოს ადამიანი. ეს მცველი თვითონ იყო სახიფათო კაცი, ქურდებისა და ავაზაკების ხელის დამცველი. ზურაბი აკი გაფრთხილეს კიდეც ნაცნობებმა, ნუ ენდობი მაგ სატანასო.

ზურაბი ისევ შემობრუნდა, დარბაზში შევიდა და სკამზე ჩამოჯდა, ისევ ფიქრებში ჩაიძირა. „გავუმხილო ვორობიოვს ჩემი ეჭვები? ვუამბო, როგორი კაცი იყო მამამისი? როგორ სახელოვნად დაეცა ბრძოლის ველზე? მაგრამ ვაითუ მეშლება, არა, თვალებიც იმისი აქვს, წარბებიც, იერიც... გავუმხილო? არა, ჯერ არა ღირს!"

ისევ ფეხის ხმა ჩაესმა, მაინც არ აუხედავს, ოდნავადაც არ შერხეულა.

— გძინავთ, აღმზრდელო?

ზურაბმა იცნო ჭროღა აფთარის ხმა. ერთხანს პასუხი არ გასცა, მერე ოდნავ დაბალი ხმით ჩაიბუტბუტა:

— ჰო, წამთვლიმა, — ისეთი ხმა ჰქონდა, განცვიფრებულმა ჭროღა აფთარმა გულში გაიფიქრა, აღმზრდელს თუ მართლა ეძინა, მაშასადამე, აინუნშიც არ ჩაუგდია ჩვენი ულტიმატუმიო და კარისაკენ გაიხედა.

— სად წავიდა ძია გოგია?

— არ ვიცი.

— ის ვერ გაბედავს მილიციას შეატყობინოს.

„მართალია, ვერ გაბედავს, ის ხომ თქვენი კაცია, თქვენი მფარველი", გაიფიქრა ზურაბმა და ხმამაღლა კი ეს თქვა: — მე არც მიფიქრია მილიციაში გამეგზავნა იგი, დერეფანში ზის. გადი და შეამოწმე.

— არ არის საჭირო. ვერ გაბედავდა. რას გვეტყვით, აღმზრდელო, დრო მიდის... ბიჭებმა ზეწრისაგან ყულფი უკვე დაგრიხეს.

— უთხარი, დაიძინონ. ის ზეწარი მაგისთვის კი არ მოგეცით.

ჭროღა აფთარი უხმოდ გაბრუნდა უკან.

შუაღამე გადასული იყო. მეზობლად, გიგა პაპას ეზოში, მამალმა იყივლა. მერე ისევ ჩაწყნარდა ყველა ხმა, სადღაც მოსახვევში ტრამვაის ბორბლების ხრჭიალი გაისმა.

ბავშვების უმრავლესობას ეძინა. ათიოდე ბიჭი საწოლზე გულაღმა ეგდო და ქონდრის კაცს (ასე ეძახდნენ ვორობიოვს) რაღაცას ეჩურჩულებოდნენ. „შავ კატას" თვალი კარისკენ ეჭირა. ეს თითისხელა ბიჭი ზუსტად ბაძავდა კატის ჩხავილს და ამიტომ თავიანთი „ოპერაციების" დროს მესიგნალედ ჰყავდათ. ისიც კნავილით აცნობებდა ხოლმე ქურდებს მოსალოდნელ ხიფათს; ერთხელ ზურაბიც კი შეაცდინეს. ეგონა კატა შემოუყვანიათო, ბიჭები გულიანადა ხარხარებდნენ. ახლაც იქით გაიხედა. „შავი კატა" ჩაცუცქულიყო და კამათლებს აგორებდა.

თითქოს მთელი დარბაზი გაუკაცრიელდაო, სუნთქვაც კი აღარ ისმოდა. რომელიღაც რკინის საწოლზე ბრონქიტიანი ბავშვის ხველა გაისმა, მერე ისიც მიწყდა და კვლავ დუმილი დაეუფლა ბავშვებით სავსე დარბაზს. ორიოდე საათის წინ კი მათი ერიამული აქაურობას იკლებდა. ახლა კი ისე გართხმულიყვნენ ვიწრო, ქანგმოკიდებულ საწოლებზე, გეგონებოდა ერთად ამოხდომიათ სული ამ დაუბუმბლავ ბარტყებსო.

ერთადერთი ხმა, რომელიც ზურაბს გულს უწუხებდა, გირგეჩამოკიდებული საათის ხმაური იყო. ვეღარ მოითმინა, წამოდგა, ფრთხილად მიუახლოვდა საათს და ჯაჭვზე ჩამოკიდებული ბირი ხმაურით ასწია.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

უცებ გაიღო კარი და ამ ხმაურზე გაიძვერა მცველი შემოიჭრა დარბაზში. სხვა რაღაც ეგონა.

ზურაბი მარტო რომ დაინახა, კარშივე შეჩერდა. აფორიაქებული იყო მცველი. გრძნობდა ბებერი მელა, რომ ორცეცხლშუა იყო მოქცეული და არ იცოდა, რომელი მუგუზალი უფრო მწარედ მოედებოდა; ეს ომგადახდილი ხეიბარი კაცი თუ გაბაწრეს და დაგრეხილი ზეწრის ყულფით სული ამოხადეს. მაშინ მას ამ ლაწირაკების მფარველად ჩასთვლიან და ციხეში ამოაყოფინებენ თავს... მაშ რა ქნას? ზურაბს მიეხმაროს და სიკვდილს გადაარჩინოს? ეს ბიჭები მოუღებენ ბოლოს, კარგად იციან მისი ასავალ-დასავალი, ჰოდა, რა იცის, რომელ ბნელ მოსახვევში, რომელ ბილიკთან გაუყრიან დანას. ერთი სიტყვით, გოგია მცველმა აღარ იცოდა რა გზას დასდგომოდა.

შეთქმულების მოთავეებმა წეღან მხოლოდ ერთი სიტყვა მიუგდეს გოგია მცველს — დერეფანში იჯექი, თავი მოიმძინარე, და დარბაზში ფეხი არ შემოდგაო. ჰო, ადვილი სათქმელია, თავი მოიმძინარეო, ზურაბის დახრჩობის შემდეგ ისინი გაიქცევიან და მერე ვინ აგოს პასუხი?

ფრთხილი ნაბიჯებით მიუახლოვდა აღმზრდელს. ზურაბი წიგნს კითხულობდა.

— რას გეჩურჩულებოდნენ ეს გველის წიწილები? — ვითომ არ იცისო, ეშმაკურად იკითხა გოგიამ.

— ჰო, დამავიწყდა მეთქვა, — თავი ასწია ზურაბმა და წიგნი დაკეცა, — აი, პირდაპირ, მეოთხე სართულზე, შაშხი დაუნახავთ მაგ მაიმუნებს და იცით, რა მითხრეს? მხოლოდ ეგ ღორის ბარკალი გიხსნითო... რას იტყვი, მივცე ნება მოიპარონ? — გაეცინა ზურაბს.

— თქვენ რა უპასუხეთ? — ჰკითხა მცველმა.

— შენ როგორ მოიქცეოდი?

— მე?.. რა საკითხავია, შე კაი კაცო... ესეც უქნიათ... ეგენი ჩვენ ორივეს სიკვდილთან გვემუქრებიან.

— შენ არა, მარტო მე მემუქრებიან.

— ჰმ! — მწარედ გაეღიმა მცველს, — გინდა ციებას მოუკლიხართ და გინდა ცხელებას, სულ ერთი არ არის?.. ყური დამიგდე, ზურაბ, შენ არ იცნობ ამ ლაწირაკებს. რასაც იტყვიან, კიდეეაც შეასრულებენ. დიდი შეღავათი მოუციათ, მე და ჩემმა ღმერთმა. ახლავე დათანხმდით, დაუყოვნებლივ!

— არა, ულტიმატუმის დრო უკვე გავიდა. თერთმეტ საათამდე მელოდებოდნენ, ახლა კი თორმეტზე მეტია.

— ეგ საქმე მე მომანდეთ... იოლად გადარჩენილხართ, მე და ჩემმა ღმერთმა! მოიპარონ, ჯანდაბამდისაც გზა ჰქონიათ. ფიქრი ნუ გაქვს, ისეთი ოსტატები არიან, ვერავინ გაიგებს; ბოლოსდაბოლოს, იმ შაშხის პატრონს მოველაპარაკები. ჩემი ძმაკაცია, არ გაგიგია სალახი მანუჩარა?

— არა, არ გამიგია.

— სიკვდილს გადარჩები, იოლი პირობაა, მე და ჩემმა ღმერთმა!

ის იყო გოგია მცველი ბიჭებისაკენ შეტრიალდა, რომ ზურაბმა ხელი სტაცა.

— არ გაბედო!

გაოცებული მცველი სიბრალულით ჩააცქერდა ამ სულელ აღმზრდელს.

— ნეტავი, რისი იმედი გაქვს?

— გადი დერეფანში და მოიხურე კარები.

მცველი ზანტად გატრიალდა. ზურაბმა წიგნის კითხვა განაგრძო. დრო ზლაზვნით მიდიოდა. მერე ფეხზე წამოდგა, არხეინად გაიზმორა, სინათლე ჩააქრო და ტახტზე შვებით წამოწვა.

დარბაზის ბოლოში ერთბაშად ატყდა შეთქმულთა ჩურჩული. რომელიღაც ბიჭი საწოლებშორის დაძვრებოდა. ზურაბს თვალები დახუჭული ჰქონდა და ვერაფერს ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, რომ განსაცდელი შორს აღარ იყო. აი, სულ ახლოს მოვიდნენ, და უცებ გაოცებულნი შედგნენ: აღმზრდელი ისე მშვიდად ხვრინავდა, ეტყობოდა, მართლა სრულიად არაფრად ჩაეგდო მათი მუქარა. არა, აქ, რაღაც სხვაშია საქმე. სასიკვდილოდ გამეტებული კაცი ასე არ დაიძინებს იმ ადგილას, სადაც მტერია ჩასაფრებული. უთუოდ აქ რაღაც ოინია. ბიჭები გაოცებულნი კი არა, გაოგნებულნი იყვნენ.

სიტყვის უთქმელად, არც შეუხედავთ ერთიმეორისათვის, ისინი ფეხის წვერებზე შემდგარნი გაბრუნდნენ უკან.

გავიდა კარგა ხანი. შეთქმულნი დიდხანს ჩურჩულებდნენ, ვერ აეხსნათ ხეიბარი კაცის ასეთი გულარხეინობა. მოულოდნელად კარი ხმაურით გაიღო. ზურაბი ძლივს გააღვიძა გოგია მცველმა. იგი მშვიდად წამოდგა, სინათლე აანთო და კარებთან ასევე მშვიდად შეეგება დირექტორს. ორმა მილიციელმა სამი ბიჭი კინწისკვრით შემოაგდო დარბაზში.

— ჰეტკა! ლიონია! მიშა! — იყვირეს დამხვდურებმა და ახლადმოსულებს გადაეხვივნენ.

— უჰ, როგორ გიხდება თავის გადაპარსვა!

— საბძლის გოგრებს არ გიგავთ თავები!

— მოგაბრძანეს, ხომ! გეყოფათ ობლობაო?

— ჩუმათ, ახლავე დაიძინეთ! — იყვირა დირექტორმა.

დარბაზის ბოლოს ჩოჩქოლი ჩაწყნარდა.

დირექტორმა მილიციელებს რაღაც გადაუჩურჩულა, მერე ზურაბს დაემშვიდობა და წავიდა. ერთხანს ზურაბი ვერაფერს მიხვდა, მაგრამ როცა მაგიდის გვერდით ჩამომჯდარმა, გრძელულვაშა მილიციელმა მთქნარება დაიწყო, გაკვირვებით ჰკითხა:

— თქვენ რა, აქ აპირებთ დარჩენას?

— დირექტორმა სთხოვა, — დაასწრო მცველმა

— ეს ყველაფერი შენი ოინებია, როდის მოასწარი, — და მერე მილიციელებს მიუბრუნდა: — შეგიძლიათ წახვიდეთ!

— როგორ თუ წავიდნენ?! — გაიკვირვა მცველმა.

— დიახ, ასე... აქ ბავშვთა ოთახია და არა საპატიმრო.

— მე დირექტორის თხოვნას ვასრულებ, — ჩაილაპარაკა მილიციელმა.

— დირექტორი ახლა აქ მე ვარ, გთხოვთ!..

— თქვენს სიცოცხლეზე ვაგებთ პასუხს! — გაბრაზდა ახალგაზრდა მილიციელი.

— გთხოვთ წახვიდეთ აქედან. ჩემს სიცოცხლეს არავითარი საფრთხე არ მოელის.

ბიჭები გაოცებულნი იყვნენ აღმზრდელის საქციელით.

გოგია მცველი ახლა კი აშკარად დარწმუნდა, აღმზრდელი ჭკუიდან შეშლილი ხეიბარია, ასეთ თავზე ხელაღებულ კაცთან ერთად მორიგეობაზე უარს ვიტყვი, ოღონდ ამაღამ როგორმე გადავრჩეო.

მილიციელები შინ წავიდნენ. დაღლილი ზურაბი ისევ წამოწვა და ცოტა ხნის შემდეგ ისევ ფშვინვა ამოუშვა. გაიძვერა მცველი დერეფანში მთელი ღამე ზეზეულა იდგა და ყური მიხურულ კარებზე ჰქონდა ბიჯენილი, რომ ზურაბის სასოწარკვეთილი წამოძახილი გაეგონა: „მიშველეთ, მახრჩობენო!“.

დარბაზში წყვდიადისებური სიბნელე იყო. ზურაბის საწოლის ირგვლივ შავი აჩრდილები აირივნენ, პატარები კი არა, უჩვეულოდ მაღლები იყვნენ, აწოწილები. გრძელი თოკები მოეტანათ მის დასახრჩობად. ზურაბი მიხვდა, რომ ვეღარსაით გაექცეოდა მათ. საცაა ზედახორა დაიწყებოდა. უცებ კაპიტანი ვორობიოვი გამოჩნდა საიდანღაც, შეუტია თავდამსხმელებს და ყველა ისინი ცირკის ჯამბაზებად აქცია. ჯამბაზები თაღებზე ჩამოკიდებულ თოკებს წასწვდნენ და ჰაერში ქანაობა დაიწყეს.

...ზურაბი ვიღაცამ ძლიერად შეანჯღრია. მან უცებ გაახილა თვალი. გათენებულიყო.

— უჰ, მაპატიეთ...

ზურაბმა ახლად მოსულ მორიგე აღმზრდელს წიწილებივით გადაუთვალა ძილგამწარებული ბიჭები.

გიორგი ხეჩუაშვილი.

ეპიგრამები

* * *

გვკითხავ, ძმობილო, — როგორ მოგვწონს ჩვენ
შენი წიგნი?
გვახსოვს, გვსმენია, თუ შენ ადრე როგორ
მღეროდი.
ახლა ყდა მოგვწონს შენი წიგნის და იმის შიგნით
უკეთეს შენგან ჩვენ არაფერს გამოველოდით!

* * *

მსურს ვეკომაგო, დავეხმარო მუდამ ვეცდები
მე ყველა ჩაგრულს უანგაროდ, თავგამოდებით,
მაგრამ, თუ ვხედავ დაუჩაგრავთ, დაუბამთ მგლები,
მათ ჭირისუფლად არ გამოვდგები!

* * *

მაკედონელმა სიკვდილის წინ ბრძანა:— გახსოვდეთ,
სანამ დამმარხავთ, ჩემი კუბო იყოს ღიაო,
ხელები მეწყოს თვალსაჩინოდ, გაშლილი მქონდეს,
დე, ნახონ, რომ თან არაფერი წამილიაო!

* * *

დაუცხრომელი მშრომელი ვარ, უმიზნოდ არ
ვფრენ,
მე თაფლს ვაგროვებ, ამაგს ვუვლი, თავს
დავტრიალებ;
ვინც ამ საქმეში ხელს შემიშლის, მას მწარედ
დავკბენ,
ისე, რომ დიდხანს ვერ მოირჩენს იგი იარებს.

* * *

წიგნი, თურმე, შვებას მაშინ ჰპოვებს,
გაცვდება და ის — ნაკლებად ნანობს,
თუ თავს აღწევს თაროს სივიწროვეს
და ხელიდან ხელში დაგოგმანობს.

* * *

ადამიანი დგას შენს წინაშე,
ძველი ნაცნობი შეგხვდა, იცანი,
ლხინში გაიცან? მენდე ამაში,
შენს წინაშეა კითხვის ნიშანი!

* * *

თუ რომ ვგრძნობდე, — არ მოვწონდე
ძალად ძმობილს, ძალად დობილს, —
გზა მშვიდობის, — ვეტყვი, — ჰქონდეთ, —
გზა მშვიდობის!

* * *

გაფრენილ ჩიტსაც დაიჭერს, მჯერა,
დაუდეგარი მისი მდევნელი,
მაგრამ გაფრენილ სიტყვის დაჭერა,
გვახსოვდეს, არის შეუძლებელი!

* * *

ასეთი წესი, ნეტავ ვინ ბრძანა,
რომ უმადურებს ალღო ეშლებათ:
ამაგს — სიკეთეს ვერ სცნობენ მანამ,
სანამ ხელიდან გამოეცლებათ!

* * *

თუ რომ სიმღერას სწყურია უხმოს,
ის, მხოლოდ გულში უნდა მღეროდეს.
ვის გული იწვევს, ფალავნებს უხმობს,
მას თავის ძალის უნდა სჯეროდეს!

* * *

მდიდარი ვარ და, თუ მკითხავთ რა მაქვს,
რა განძსა ვფლობ, ან ის რითი დამაქვს,
გეტყვით: მკერდში მაქვს ის დამალული,
მცირე გული, წრფელ-მართალი გული.

ეპიფანე ცინცაძე

ბენო კონჯარია

ვეტერან პოეტოლოგები

სპექტაკლის შემდეგ

მირიან ლეშკაშელი და მისი სამი ქალიშვილი ავტობუსის გაჩერებასთან იდგნენ. ოცი წუთი იქნებოდა თეატრიდან გამოვიდნენ და ვერ იქნა და ვერ ჩასხდნენ მანქანაში.

— აგერ ტაქსი, მამა! — წამოიძახა უველაზე უმცროსმა. მირიანმა ხელი დაუქნია, მანქანა გაჩერდა.

— დიდუბეში წაგვიყვანე!

— არა, მე საბურთალოზე მივდივარ.

— არ ყოფილა საშველი! — ჩაილაპარაკა მირიანმა.

მალე მეორე ტაქსიც გამოჩნდა...

— არა, მე პარკში მივდივარ!

— ჯანდაბაში წასულხარ! — მიაყოლა ლეშკაშელმა და საათს დახედა, — აბა, ეს საქმეა? უკვე თორმეტი ხდება!

— მამა, კერძო მანქანა დავიჭიროთ! — ჩაილაპარაკა ახლა შუათანა გოგონამ.

მირიანმა პასუხი არ გასცა.

უცებ, მის წინ, ახალი, გაპრიალებული „ვოლგა“ ჯიქურ გაჩერდა, შოფრის კაბინიდან ახალგაზრდა კაცმა გამოჰყო თავი.

— მობრძანდით, პატივცემულო პროფესორო, შინ მიგიყვანთ!

მირიანმა შებედა...

— რაო, ვერ მიცანით?

— ჰო, როგორ არა..,

— მაშ, მობრძანდით!..

მირიანმა უკან დაიხია, — არა, არა, გმადლობთ!..

— მობრძანდით, ბატონო მირიან!

— არა, არა, გმადლობთ.

— თქვენი ნებაა...

ქალიშვილები გაოცებულნი შესცქეროდნენ მამას.

— რა იყო! რატომ უთხარი უარი? — იკითხა უფროსმა, როცა პრიალა „ვოლგა“ ქუჩაზე გასრიალდა და თვალს მოეფარა.

— ეგრე იყო საჭირო!

შუათანა ქალიშვილი გვერდში ამოუდგა, ხელი გაუყარა მკლავში და ჩაეკითხა:

— მაინც ვინ იყო, მამიკო, ეგ კაცი?

— ძალიან გაინტერესებს, ვინ იყო? ჩემი საუკეთესო მოწაფე გახლდათ, ეკონომიური ფაკულტეტი დაამთავრა და ახლა მეხაშეა.

საწყენი საქმე

ქუჩაში ჩემი კარგი ნაცნობი და ყოფილი მეზობელი გიგლა ნაცვლიშვილი შემხვდა, გვერდით მშვენიერი ყმაწვილი მოსდევდა; გამაცნო — ეს ჩემი ბიჭიაო. ბავშვი მახსოვდა, დავაუკაცებულა. ახლა ვიგრძენი, თურმე რამდენი წელი გასულა, რაც ერთიმეორე აღარ გვინახავს.

მოვიკითხე ოჯახით. გიგლამ ჩაიღიმა — ქალიშვილი გავათხოვეო.

— ის ერთი ციცქნა გოგო?!

— დიახ! მიდის დრო, იზრდებიან, ვბერდებით...

გიგლას მივულოცე შვილის გაბედნიერება, ეტყობოდა იგი ძალზე კმაყოფილი იყო სიძით. მარიფათიანი ბიჭიაო, დღეში, სულ მცირე, ორმოცი მანეთი აქვსო.

— რა მოხელეა? — ვკითხე.

— საგალანტერიო ფაბრიკაში მუშაობს საამქროს გამგედ.

— რას ლაპარაკობ!

— მაშ არადა, იმ ახლად გამოჩეკილ მასწავლებელს გავატანდი... აღარ კი მეშვებოდა, — თქვა თავმომწონედ და უცებ შეყოვნდა, დამნაშავესავით მომაპყრო თვალი, გაახსენდა, რომ მეც პედაგოგი ვიყავი, — შენთან კი ბოდიშიო, მითხრა...

ის იყო, დამშვიდობებას ვაპირებდი, სიტყვა გააგრძელა, — ახლა კი ეს ვაუკაცი უნდა ჩავარიცხინო ინსტიტუტში.

— ამზადებდი?

— არა, კაცო! რად უნდა, — მან ხელი ასწია, ცერი და საჩვენებელი თითი დაუსვა ერთმანეთს, — ეს იყოს, და... ჩაწყობილი მაქვს ს·1მე...

— არ გამოგივა, — ვუთხარი მოკლედ, — სჯობია თავძი ჰქონდეს ჩაწყობილი.

— შენ კარგად იყავი... -ვნახოთ თუ არ გამოვა...

— ვიღაცა გატყუებს...

— არა, ნაღდია!

— ცდებით, — ვუთხარი ბოლოს ჩემს ყოფილ მეზობელს და დავემშვიდობე.

გავიდა ხუთიოდე თვე. ერთ დღეს ჩვენი სახლის პირდაპირ ახლადგახსნილ სასაუზმეში შევედი... გიგლაც იქ დავინახე.

— გაუმარჯოს-მეთქი, — მივესალმე. მან ღიმილით გამომიწოდა ხელი.

— რა ჰქენი, მოაწყე ბიჭი? — ვკითხე მაშინვე.

— არ მითხრა, თუ ძმა ხარ! რამდენი არ ვეცადე, ახლოს არ გამიკარებს. რავა მეგონა, თუ ასე წახდებოდა ეს ხალხი! აი, ასეთი საწყენი საქმე შემხვდა. ჩემო კარგო!

რა არის სამბო

კრება გვიან დამთავრდა. მოღლილი გამოვედი სკოლის ეზოდან. უკვე ღამეა. პროსპექტზე ხანდახანღა თუ გაიჭროლებს თითო-ოროლა მანქანა. ერთხანს ტაატით მივაბიჯებ. ახლად ნაწვიმარზე მაერი გრილია, სასიამოვნო...

ტროტუარის კიდეს მოვყვები, ზოგჯერ უკან ვიხედები, იქნებ ავტობუსი წამომეწიოს-მეთქი, ამაოდ...

წინ კი ტრამვაი მირახრახებს, მეორე მხრიდან ორი ხელიხელჩაკიდებული კაცი მობანცალებს. ნაწყვეტ-ნაწყვეტად მესმის ჩახლეჩილი და ნამთვრალევი ხმა — „კაცი ვარ და ქუდი მხურავს“..

იმავე მოსახვევიდან ორი ქალიშვილი და ერთი ბიჭი გამოვიდა. ყმაწვილი შუაში იდგა, მკლავგაყრილი მოყავდა ისინი. ბიჭი ქალიშვილებზე დაბალი იყო, გამხდარი... ნელი საუბრით მიაბიჯებენ ჩემს წინ...

მთვრალებიც მოგვიახლოვდნენ — „კაცი ვარ და ქუდი მხურავს, ქედს არ ვუხრი არავის“... — მესმოდა ისევ ჩახლეჩილი ხმა.

— შენ ეი, ბიჭო! ერთი გოგო ჩვენ დაგვიტოვე, — წამოიძახა მაღალმა და შეჩერდა, თვალი გააყოლა წინ მიმავალ ახალგაზრდებს. მათ თითქოს არაფერი გაუგონიათო, გზა განაგრძეს.

— შენ, ბიჭო გესმის! რა ხარბი ვინმე ჩანხარ. რად გინდა ორი რომ ჩაგიბღუჯნია, ერთი შენ, ერთი მე, — და მერე უწმაწური სიტყვები მიაყოლა.

უცებ ბიჭმა ხელი შეუშვა ქალიშვილებს... მათ წინ შედგა, — რა გინდათ, რად იგინებით?

— ხოში გვაქვს, — გაიბღინძა მაღალი და მამლაყინწასავით დაადგა თავზე.

წავიწია. ბიჭს გვერდით ამოვუდექი, რომ მივშველებოდი. გამხდარი იყო, ტანმორჩილი. უცებ, თვალისდახამხამება ვერ მოვასწარი, იმ ახირებული მგზავრებიდან ჯერ ერთი გაიშლართა მიწაზე, მერე მეორე. ვერც კი შევამჩნიე როგორ მოხდა ეს ყველაფერი. ბიჭი მყისვე შებრუნდა და ქალიშვილებთან ერთად გზა განაგრძო.

— ვახ, ბიჭო! ეტყობა სამბოს წრეში ყოფილა ეგ ჯიგარი ნატარები, — ჩაიბურტყუნა ერთმა, როცა ფეხზე წამოდგა.

—სამბო რაღა არის, კაცო? — ჩაეკითხა მეორე.

— რა არის და, აი ის, რაც შენ ახლა დაგემართა. მიხვდი?

არც ისე უჩვეულო ამბავი

გვიან საღამო იყო. სასტუმრო „საქართველოს“ წინ ვიღაცამ მკლავზე წამავლო ხელი.

— მერაბ! აგრე ჩუმად გინდა ჩამიარო გვერდი?

ამხანაგი იყო, ინჟინერ-მშენებელი, კარგა ხნის უნახავი... შეეკეიფიანებული ჩანდა. გადამეხვია, გადამკოცნა. მერე მხარზე ხელი დამადო, მეორე წინ გაიშვირა — აი, აქედან სულ ას მეტრზეა ჩემი ბინაო, — შემიპატიჟა, ეს ჩვენი შეხვედრა აღვნიშნოთო.

ვუთხარი, რომ არ მინდა ასე გვიან დიასახლისი შევაწუხო, მან საათს დახედა, — ჯერ მხოლოდ თერთმეტია, — თქვა და კვლავ გაიჭაჩა — თუ ჩემი ხათრი გაქვსო, შუაღამეც რომ იყოს, ხომ იცი ჩემს ლალის მაინც გაეხარდებაო შენი სტუმრობა, დავჯდეთ და ვიჩიკჩიკოთო...

მხრიდან ხელი ჩამოიღო და მკლავში ჩამჭიდა. შემდეგ, თითქოს რაღაც საიდუმლო უნდა მითხრასო, ყურში ჩამჩურჩულა: თუ შენ გეშინია, ჩემგან დავურეკოთ.

ჩამეცინა, ამაზე ხომ არ არის საქმე-მეთქი. ისიც შევახსენე, ღვინის სმა რომ აკრძალული მქონდა.

არ ისმინა, ჩემთან დალევა შეგერგებაო, ბოლო სიტყვები კიდევ უფრო ხმამაღლა წარმოთქვა და კვლავ წამწია — წამოდი, ბა!

კვლავ ვცადე თავი დამეღწია მისგან.

გაბრაზდა.

— არ მოდიხარ, ხომ?! — გეტყობა სულაც არ გქონია ჩემი სიყვარული. წადი, ბა! წადი! — მომახალა და ჯიქურ შემიშვა ხელი.

— ნეტავ რა გაწყენინე ისეთი, რომ ამაფრად მაგდებ! — მომაძახა შორიდან, — ეს, ერთი კაცი კიდევ დავკარგე, არა უშავს, გავუძლებთ უშენობას...

გველის ენა

იური ჩერნიავსკი

გამომძიებლის ჩანაწერები

პროკურორმა გამომიძახა. გავალე ყავისფერი მუშამბით აკრული მძიმე კარი და კაბინეტში შევედი.

— იცნობდეთ, ეს პროფესორი კოშელიოვია, კონსერვატორიის მასწავლებელი, — გამაცნო პროკურორმა ალექსეი ტიმოფეიჩმა ოდნავ შეჭაღარავებული კაცი, რომელსაც ძვირფასი, მოდური პიჯაკი ეცვა, — აი, მოუსმინეთ...

საქმე შემდეგში იყო.

ჭაბუკობაში კოშელიოვი ჩვენს ქალაქში ცხოვრობდა, აქედან წავიდა მოსკოვში სასწავლებლად და იქვე დარჩა.

ამ ზაფხულს ჩვენს ქალაქში ცოტა ხნით ჩამოვიდა. დედაქალაქში მისაღები გამოცდების დროს დაბრუნდა, კონსერვატორიაში მისაღებთა შორის აღმოჩნდა ჩვენი ქალაქის მეხუთე სკოლის კურსდამთავრებული მიშა პრიახინი, რომელმაც გამოცდისას სპეციალობაში ორიანი მიიღო.

ორი კვირის შემდეგ კონსერვატორიაში მოვიდა პრიახინის მამის წერილი, რომელშიც, სხვა ამბებთან ერთად, სიტყვასიტყვით ეწერა შემდეგი: „მიშა იმიტომ ჩასჭრეს, რომ პროფესორ კოშელიოვს, რომელიც ამ ზაფხულს ჩვენს ქალაქში ჩამოვიდა და კარგ ნიშანში ორი ათას მანეთს მთხოვდა, ფული არ მივართვი. ჩემი შვილი მან განგებ ჩაიგდო“.

მიშა პრიახინი მუშათა ოჯახიდან იყო. თვითონ პროექტორმა გამოსცადა ხელახლა და დარწმუნდა, რომ ჭაბუკს ნამდვილად ჰქონდა მუსიკალური ნიჭი. იგი კონსერვატორიაში ჩარიცხეს. ხოლო იმისათვის, რომ თვითონ აეცილებინათ მოსალოდნელი უსიამოვნება და თავი აერიდებინათ კოშელიოვთან ჩხუბისათვის, კონსერვატორიის ხელმძღვანელებმა, როგორც მათ ეგონათ, მიიღეს გონივრული გადაწყვეტილება: პროფესორი დროებით ჩამოაშორეს პედაგოგიურ მოღვაწეობას, გადასცეს მას პრიახინის წერილი და ურჩიეს ჩამოსულიყო ჩვენთან საქმის გასარკვევად. გუშინ საღამოს იგი შეხვედრია უფროს პრიახინს. პრიახინი არ აღმოჩენილა წერილის ავტორი. იგი ძალიან გაოცებულა, როცა ასეთ საქმეზე მიმართეს: არც შვილის წარმატებაზე სცოდნია რამე და არც კოშელიოვს იცნობდა. ამრიგად ხელთ გვქონდა ანონიმური ცილისწამება.

როცა კოშელიოვი წავიდა, უპირველესი ჩემი განზრახვა იყო წერილი სანაგვე კალათში ჩამეგდო.

„ეს ხომ ანონიმური წერილია, ღირს კი გამოეკიდოს კაცი? — ვიფიქრე მე, — ხომ ნათელია, რომ კოშელიოვი არც კი იცნობდა პრიახინს, პროფესორის კარგი სახელი აღდგენილია, ხოლო მისაღებ გამოცდაზე, უბრალოდ, მოხდა რაღაც გაუგებრობა“.

პროკურორმა არ გაიზიარა ამ საქმისადმი ჩემი ოპტიმისტური დამოკიდებულება. ეს არ არის უბრალო საქმე, როცა დამსახურებული კაცი საქმეს ჩამოაშორესო. ხოლო ცილისწამებას გააჩნია, მას ხომ აბრალებენ უმძიმეს დანაშაულს — მეკრთამეობას!

„მაშ კარგი, საიდან დავიწყოთ ამ უსახელო ავტორის ძებნა? სად მონახავ მას?“

კოშელიოვთან ხელახალმა გასაუბრებამ ახალი არაფერი მომცა. წინა ჩამოსვლისას ჩვენს ქალაქში მან მხოლოდ სამი დღე დაჰყო, ცხოვრობდა სასტუმროში, მასთან ვიზიტით არავინ ყოფილა და არც თვითონ სტუმრებია ვინმეს. ქალაქში მას ჰყავდა ერთი ძველი მასწავლებელი. მაგრამ იმ დროს ეს კაცი შვებულებაში იყო და ისიც არ უნახავს. სხვა ნაცნობები არ ჰყავდა, არ ჰყავდა მტრებიც. პროფესორმა ოფიციალური განცხადება გადმომცა, მთხოვდა პასუხი გვეგებინებინა ცილისმწამებლისათვის. მალე შიკრიკს უწყება გავატანე უფროს პრიახინთან და დაველოდე მის მოსვლას.

სექტემბრის ბოლო იყო, მაგრამ ეტყობოდა შემოდგომამ უკვე მაგრად მოიკიდა ფეხი: დილიდანვე გულისგამაწვრილებლად სცრიდა. ირგვლივ ყველაფერს ნაცრისფერი ედო. ფანჯრიდან მელანქოლიური განწყობილებით გადავყურებდი ქუჩას. ამ მდგომარეობიდან გამომიყვანა კართან ატეხილმა ხმაურმა. კარი ნელა გაიღო და პირველი, რაც უმალ მეცა თვალში, ეს იყო ძველი, საკმაოდ შელახული ბათინკები, რომელთაც გამოცვლა თუ არა, უკიდურეს შემთხვევაში, სასწრაფო რემონტი ესაჭიროებოდა. მერე დავინახე ბათინკების პატრონი. საკმაოდ მსხვილი, უდროოდ დაბერებული კაცი. ეს იყო პრიახინი. შემოვიდა და სხაპასხუპით დაიწყო:

— ვეუბნები: ფეხებო, ჩემო ფეხებო, თქვენ ღვინო გინდათ თუ ფეხსაცმელი? ისინი კი თავისას გაიძახიან: ღვინო, ღვინოო! თქვენ ალბათ ისევ იმაზე მიბარებთ, როგორ მიდის მიშას საქმეები? გიპასუხებთ ასე... — განაგრძო მან, როცა სკამზე ჩამოჯდა, — მე ვარ გზააბნეული კაცი. სამი წლის წინ ცოლი მომიკვდა და ჩემი ცხოვრება იმ დღიდან დაღმა დაეშვა. შვილიც უცხოსავით გამიხდა. აირჩია თავისთვის რაღაც არასერიოზული სპეციალობა მუსიკის დარგში. როგორც მხედავთ, მართალია, მე გზიდან აცდენილი ვარ, სული მაინც წმინდა მაქვს. არავითარი უსახელო წერილი მე არ დამიწერია და, საერთოდ, რაში მესაჭიროებოდა ეს? შვილზე არაფერი ვიცოდი, არაფერს მწერს. კონსერვატორიაში თუ არ მიიღებდნენ, ეს უკეთესი, ქარხანაში მოეწყობოდა და რაღაც სერიოზულ სპეციალობას შეიძენდა.

აი, კაცმა რომ თქვას, ამ მონოლოგით დამთავრდა ჩვენი შეხვედრა. ახლა ისღა მრჩებოდა ქაღალდებისთვის გადამეხედა. ერთადერთი იმედი ესღა იყო. იქნებ ამ ქაღალდებს ეკარნახათ რამე. პირველ რიგში კონვერტს დავხედე. თითქოს არაფერი საეჭვოდღებო არ ეტყობოდა, ჩვეულებრივი, სტანდარტული, სტამბაში დაბეჭდილი კონვერტი იყო. მარჯვენა, ზემო კუთხეში დაწებებული ჰქონდა ლამაზი მარკა. ასე ვთქვათ, უსახელო ავტორი გემოვნებიანი ჩანდა. შტემპელით ირკვეოდა, რომ წერილი გაგზავნილი იყო მოსკოვში 9 აგვისტოს ცენტრალური ფოსტიდან. ყოველ მოქალაქეს შეეძლო მისულიყო ცენტრში და აქედან გაეგზავნა, რაც სურდა.

ჰო, მართლა, მარკა! ახლა მარტო მარკის ზემო ნაწილი კი არა, საყურადღებო იყო მისი მეორე მხარეც. თუ დავუშვებთ, რომ წერილის ავტორმა თვითონ დააწება იგი კონვერტზე (რაც სიმართლესთან ახლოა), მაშინ მარკას შერჩებოდა მშრალი ნერწყვი. ნერწყვი საერთოდ არ არის შხამიანი, უსახელო ავტორის ნერწყვიც კი. ამით სისხლის ჯგუფის დადგენა შეიძლება. ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. იქნებ გამოგვადგეს. ხვალ გავუგზავნი ექსპერტს.

ბარათი დაწერილი იყო მოწაფის რვეულის კვადრატულა ფურცელზე, ლამაზი, მტკიცე, ცოტათი მრგვალი ხელწერით. წერილში შეცდომები არ იყო.

კონვერტში წერილთან ერთად ჩადებული იყო საოლქო გაზეთ „ზნამიას“ 24 ივლისის ნომრის ამონაჭერი, რომელზედაც დაბეჭდილი იყო ადგილობრივი ჟურნალისტის ფელეტონი. იგი ეხებოდა ერთ მეკრთამეს პედაგოგიური ინსტიტუტიდან. ეს საქმე თავის დროზე წარმატებით გამოიძია ჩვენმა სუროვცევმა.

ამონაჭერი, რასაკვირველია, აძლიერებდა ძირითად იდეას, რითაც წერილი იყო გაჟღენთილი. ვამხილოთ მეკრთამეები! ცუდად არ იყო მოფიქრებული, სრულიადაც არა.

კიდევ რა მქონდა ხელთ? გაზეთის ამონაჭერის მეორე მხარეს, კიდეზე, ფანქრით მიწერილი რაღაც ციფრების სვეტი შევნიშნე. ვნახოთ რა არის? არცთუ ისე გასაგებია:

1765
1710

55-2,2

რაღაც ცნობებია, შეიძლება გაზეთის პატრონზე და წერილის ავტორზე. რომ გვცოდნოდა რას ნიშნავდა ეს ციფრები, მაშინ ჩვენ ერთი ნაბიჯით ახლო ვიქნებოდით მიზანთან.

გამოგიტყდებით, ამ ციფრებზე ძალიან დიდხანს ვფიქრობდი. ისე ვიყავი გაბრუებული, შინ რომ მივედი, მაშინვე ვერ გავიგე, დიასახლისი, რომლისგანაც ნაქირავები მქონდა ოთახი, ჩაის დასალევად რომ მიხმობდა.

მეორე დღეს ერთმანეთს მიეწყო მრავალი ჩვეულებრივი საქმე. ციფრები თითქმის არც კი გამხსენებია, მაგრამ გონების კუნჭულში შემორჩენილნი მაინც მაწუხებდნენ.

რაღაც უნდა ვიღონო, გადავწყვიტე მოვთათბირებოდი ჩემს ამხანაგებს. პირველი, ვინც ჩემთან შემოვიდა იყო ოპერრწმუნებული ზოტოვი. იგი ხანძრის საქმეზე მოვიდა, ვაჩვენე ციფრთა სვეტი. დიმიტრი ნიკოლაევიჩი ჩაფიქრდა და მერე მითხრა:

— მილიციაში მოსვლამდე მშენებლობაზე ვმუშაობდი. ხურო ვიყავი. მუშაობის შემდეგ ოსტატი დახარჯულ მასალას გადაითვლიდა ხოლმე. თუ ავიღებდით 55 ფილას ზომით 20×20, ეს მასალა სწორედ 2,2 კვადრატული მეტრი კედლის ან იატაკის დასაფარად გვყოფნიდა. მართლაც, — ცოტა ჩაფიქრდა და დაუმატა, — აქ არის რაღაც საეჭვო.

ჩვენს სტაჟიორს, ვასია ნოსოკს, რომანტიკული ნიჭით დაჯილდოებულს, სხვა ფიქრი არ ჰქონდა და ამტკიცებდა, რომ ციფრთა ზემო ორი მწკრივი ტელეფონების ნომრები იყო (როცა ოთხნიშნიანი გვქონდა, იმდროინდელი), ქვემოთ კი, 55 —ოთახის ნომერი, ხოლო 2 საათი და 20 წუთი — შეხვედრის დრო იყო.

თქვა და მაშინვე უნდოდა აეკრიფა ერთ-ერთი ტელეფონის ნომერი.

სუროვცევის განჯა უფრო საფუძვლიანი იყო:

— ხშირად ასე ხდება ვაჭრობაში: დაითვლიან რომელიმე საქონლის ნარჩენს, ვთქვათ, ცალს 2 მანეთად და 20 კაპიკად ღირებულს. მართალია, ეს ჩვეულებრივ გაზეთის ქაღალდზე არ კეთდება, ციფრებიც უფრო მეტია ხოლმე.

ამაზე შეწყდა საუბარი. მე მაინც ვერ გავიგე, ვინ უნდა მოვძებნო — მშენებელი-ხურო თუ ვაჭრობის მუშაკი.

ვინაიდან სხვა აზრი აღარ გამოთქმულა, ამ ფიქრით წავედი შინ.

ახლა კი, ჩაიზე რომ მიმიხმობდა, დიასახლისმა მთხოვა ელექტროაღმრიცხველიდან გადმომეწერა დანახარჯი — თვის ბოლო იყო და კომუნალური მომსახურებისათვის ქირა უნდა გადაეხადა.

გადავწერე, რაც იმ დღისათვის ელექტროენერგია იყო დახარჯული, მერე ვნახე წარსული თვის ჩანაწერი, ერთმანეთს მივუწერე, გამოვაკლე და გამოვიდა განსხვავება 95 კილოვატსაათი.

— რამდენზე უნდა გავამრავლოთ? — ვკითხე დიასახლისს.

— ოთხ კაპიკზე, — მიპასუხა მან.

გამრავლებისას მოვახდინე პატარა აღმოჩენა. დავუშვათ 55 გავამრავლოთ 4-ზე, მაშინ მივიღებთ 2,2 მანეთს.

— აქ რა დაწერე? — წყენით მკითხა დიასახლისმა, — ჩვენ დავხარჯეთ 95, შენ კი 55-ზე ანგარიშობ.

ჩემი აღმოჩენით გატაცებული ვიყავი. დიასახლისს „შეცდომა“ გავუსწორე, გუნებაში კი კმაყოფილებით გავიცინე: „არა უშავს, სამაგიეროდ მე სხვა ადგილას დავხარჯე სწორედ 55“.

ახლა გაზეთის პატრონის ძიებამ მიიღო უფრო გამოკვეთილი ხასიათი. დასახმარებლად ისევ ის სტაჟიორი ვასია გამოვითხოვე. რამდენიმე დღე მობინადრეთა და სახლისმფლობელთა პირადი ანგარიშების შესწავლას მოვანდომეთ. უნდა მეპოვნა ის ოჯახები, რომელთაც ივლისში 55 კილოვატსაათი ელექტროენერგია დახარჯეს და გადაიხადეს 2 მანეთი და 20 კაპიკი. ხელთ კარგი მონაცემები გვქონდა, რაც ძიებას აადვილებდა. ცხადი იყო, რომ 1 ივლისისათვის დახარჯული იყო 1710 კილოვატსაათი, 1 აგვისტოსათვის — 1765.

რამდენიმე დღის შემდეგ ასეთი ანგარიში აღმოაჩნდა ვინმე ნეფედოვს, რომელიც სადოვაიაზე ცხოვრობდა.

სანამ მას შევხვდებოდი, რამდენიმე ცნობა კიდევ შევკრიბე ამ კაცზე. საკუთარ სახლში ცხოვრობდა ცოლით; მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა სალოკომოტივო დეპოში. ცოლი პენსიაზე იყო, შვილები — წასულ-წამოსულნი. ჩემი თხოვნით დეპოდან გამომიგზავნეს ნეფედოვის ხელით დაწერილი ქაღალდები. ექსპერტს თითქმის არც კი შეპარვია ეჭვი, რომ გაზეთზე აღნიშნული ციფრები მისი ხელით იყო დაწერილი.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ნეფედოვის დაკითხვისათვის კარგად მოვემზადე. ვასია ნოსოვიც ასევე იყო დარწმუნებული და შემართული უცდიდა საქმის მსვლელობას.

ნეფედოვს საუბარი დავუწყე სამუშაოზე, ოჯახზე. არაფერი ახალი ამ საუბრიდან არ გამიგია. მერე მაგიდაზე დავდე გაზეთის ამონაჭერი და გადავედი უშუალოდ საქმეზე.

უნდა ითქვას, რომ ნეფედოვი თავიდან ვერაფრით ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა ყოველივე ეს, რაზე მიდიოდა საუბარი, დაბნეულად მაძლევდა პასუხებს. გაზეთის ამონაჭერსა და ციფრებს რომ დახედა, ძალიან გაუკვირდა და ახლა ერთი სული ჰქონდა გაერკვია, გაზეთი როგორ და რატომ მოხვდა ჩვენთან. როცა მე გაკვრით ვუხსენე პროფესორი კოშელიოვი, მოხუცი სულ მთლად ჩიხში მოექცა.

— რაღაც ხომ არ გეშლებათ, ამხანაგო გამომძიებელო, — მომმართა მან, — თქვენც აიბენით და მეც გინდათ მომქანცოთ.

ის თავისას ამბობდა, მე ჩემსას. მთელი საათი ჩვენი ლაპარაკი ყრუთა გასაუბრებას გავდა და ვერც ერთი ნაბიჯით წინ ვერ წავედით.

გავჩუმდი. აზრი მოვიკრიბე და ახლა სულ სხვა მხრიდან შემოვუარე.

— იქნებ თქვენს ბინაში ვინმე ცხოვრობს მუდმივად, ანდა ზაფხულში იქირავა ოთახი?

ამით ჩვენი საუბარი გამოცოცხლდა და მგონი საქმესაც ეშველა.

— როგორ არა, როგორ არა, — მიპასუხა ნეფედოვმა, — მთელი წელიწადნახევარი ჩვენთან ქირით იდგა მასწავლებელი ნინა ფედოროვნა. კიდევ ჩვენთან იქნებოდა, რომ იმ არტისტს მისთვის გზაკვალი არ აებნია. ნინა პირველ სექტემბრისათვის გადავიდა ჩვენგან.

როგორც ჩანდა, მიზანს ვაღწევდი. თავი ვერ შეკავე და ვკითხე:

— ეს ქალი შემთხვევით მეხუთე სკოლაში ხომ არ მუშაობს?

— იქ, იქ... ინგლისურს ასწავლის, სულ ახალგაზრდაა. უმეცარ და ტუტუცი არ გეგონოთ, მაგრამ აი, კულტურის სახლიდან მოსულმა მსახიობმა აუწია გზა, ყველაფერი უკუღმა წაუვიდა.

ამრიგად, ჰორიზონტზე გამოჩნდა კიდევ ერთი პიროვნება. უფრო სწორად, გამოჩნდნენ ორნი: ნინა ფედოროვნა პანფილოვიჩი, იმ სკოლის მასწავლებელი, რომელშიც უმცროსი პრიახინი სწავლობდა და ბორის ოსმელოვი, კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი.

ნინა ფედოროვნა მეორე დღისათვის დავიბარე, მაგრამ იგი გაცილებით გვიან მოვიდა — მხოლოდ მესამე დღეს. მოვიდა, როგორც მე მეჩვენა, საუბრისათვის მომზადებული, გულგამაგრებული. ეტყობოდა რაღაც განსაზღვრული გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული, მაგრამ რა — ეს მე უნდა გამომერკვია.

არც თუ ისე ბევრი რამ ვიცოდი მასზე. სამი წლის წინ მოსკოვში დაამთავრა უცხო ენათა ინსტიტუტი და სკოლაში დაიწყო მუშაობა. კოლეგებთან რამდენადმე განკერძოებით ეჭირა თავი, თუმცა შეეძლო და როცა უნდოდა, კიდეც ილხენდა მათთან. მღეროდა კულტურის სახლის ანსამბლში. როგორც კი შევხედე, მომეწონა; თვალად კარგია, გემოვნებითაა ჩაცმული. მასწავლებელი ქალისათვის შეუფერებელი ზედმეტი თავისუფლება ეტყობა.

მის გადაწყვეტილებას პირველ ჩემს შეკითხვაზევე აეხადა ფარდა. ეს ჩემთვის ხელსაყრელი გამოდგა. მან მიპასუხა, წერილი მე დავწერეო. თურმე მიშა პრიახინს ორი წლის განმავლობაში ასწავლიდა. ეს უმაწვილი ძალიან ნიჭიერი ყოფილა. სკოლაში ხმა გავრცელდა, რომ გამოცდაზე იგი უსამართლოდ ჩააგდო კოშელიოვმა, ისიც ცნობილი გახდა, ქრთამის გამოძალვასაც რომ ეცადა. ქალმა ყველაფერი ეს კონსერვატორიაში მისწერა, რათა აღდგენილიყო სამართლიანობა. მანამდე კოშელიოვს არც კი იცნობდა, არც ის ახსოვდა პრიხიანინის მამის სახელით რად დაწერა, ეძნელებოდა ახსნა, მაგრამ ალბათ ფიქრობდა: ასე უფრო დამაჯერებელი იქნებაო. ჩემი შეკითხვებით გამოირკვა, რომ ქალს არა მარტო დაუწერია წერილი, თვითონვე გაუგზავნია, უყიდია კონვერტი, დაუწებებია მარკა და სკოლის გვერდით საფოსტო ყუთში ჩაუგდია. როცა შევეცადე რამდენიმე გამოსაძიებელი შეკითხვა მიმეცა ოსმელოვზე, ნინა ფედოროვნამ უმალ დაძაბა ყურადღება და მშრალად თქვა, რომ მასთან დაახლოებული არ იყო და იცნობდა კულტურის სახლიდან. ამ ნათქვამს სხვას ვერაფერს დავუმატებო, განმიცხადა.

მაშინ ვინანე, რომ ოსმელოვზე ბევრი არა ვიცოდი რა. ამ კაცის შესახებ ცნობები კი ძალიან მესაჭიროებოდა, მათ გარეშე ქალთან საუბრის გაგრძელება შეუძლებელი იყო. მე კი ძალიან, ძალიან მინდოდა მასთან გულახდილი საუბარი.

სამი გარემოება მაიძულებდა კრიტიკულად მივდგომოდი ნინა ფედოროვნას გულახდილ აღიარებას. პირველ ყოვლისა, როგორც ჩემთვის უკვე ცხადი იყო, სკოლაში არავინ იცოდა კოშელიოვის ჩამოსვლა, არც პრიახინის ჩაჭრა. მეორეც, საუბრის დროს ნინამ ორჯერ მოიხსენია პროფესორი კოვშოვად. ესეც საყურადღებო შეცდომა იყო. მესამე, კონვერტზე მას არ დაუწებებია მარკა. როგორც ექსპერტმა გვიჩვენა, ეს იმ კაცის გაკეთებული იყო, რომელსაც მეორე ჯგუფის სისხლი ჰქონდა. ქალს კი პირველი ჯგუფისა აღმოჩნდა. წერილიც იქ არ იყო ჩაგდებული, სადაც ნინამ მიგვითითა.

ახლა გამოგიტყდებით, იყო ერთი გარემოება, რომელიც ხელს უწყობდა მას: მე იგი, უბრალოდ, შემეცოდა, შემეცოდა, რომ სასამართლოსთვის გადამეცა ასეთი ახალგაზრდა და ლამაზი ქალი. მართალია, ეს აზრი მე გულში ღრმად შევინახე, მას კი მშრალად, გულცივად გამოვემშვიდობე და გავუშვი. სამაგიეროდ დიდი აღტაცებით დავიწყე გამოძიება, რა კაცი იყო ოსმელოვი. დიმიტრი ზოტოვის აქტიური ჩარევით მოკლე ხანში შევაგროვეთ საყურადღებო ცნობები. ჩვენთვის ცხადი იყო, რომ ოსმელოვი თავს ხელმოცარულ მსახიობად თვლიდა. თავის დროზე სკოლა კოშელიოვთან ერთად დაამთავრა, ეცადა თავადაც მოწყობილიყო მოსკოვში სასწავლებლად, მაგრამ კონკურსში ვერ გავიდა. იმ დღიდან გადაწყვიტა, რომ მისი ცხოვრება დაღუპულია. ოჯახშიც ბედუკულმართად წაუვიდა საქმე, ცოლი არ უყვარდა, თუმცა ეშინოდა მისი. ქალმა იცოდა ქმრის ამბები და ერთხელ, ასე ვთქვათ, საჯაროდ მოუწოდა კიდეც წესიერებისაკენ. მაშინ ოსმელოვი კულტურის განყოფილების გამგეობიდან მოხსნეს. მისი უკანასკნელი გატაცება ნინა ფედოროვნა იყო. ნეფედოვის სახლში მასთან ათენებდა და აღამებდა. მალე ნინა იძულებული გახდა ამ სახლიდან გადასულიყო, ვინაიდან მოხუცი სასტიკად დაემუქრა მათ. და ბოლოს, კიდევ რამდენიმე საყურადღებო დეტალი: ოსმელოვი ცენტრალურ ფოსტასთან ახლო ცხოვრობდა, და როგორც ავადმყოფობის

ისტორიიდან გამოირკვა, მას მეორე ჯგუფის სისხლი ჰქონდა.

რაც უფრო მეტს ვფიქრობდი ყოველივე ამაზე, მით უფრო მეტად მიმწიფდებოდა რწმენა, რომ ცილისმწამებელი სწორედ ეს ოსმელოვია. მთელი ამ ამბის მთავარი ზამბარა შური იყო. თუ მსუბუქად გადავუხეკდით სამხატვრო ხელმძღვანელის გარეგნულ დარბაისლურ იერს, დავინახავდით ღვარძლიან არარაობას, მშიშარას, რომელიც თავის თავსაც არ გამოუტყდება, რამდენად პატარა კაცია იგი. ასეთი ხალხი თავიანთ ხელმოცარულობაში ადანაშაულებენ ყველას, მხოლოდ თავიანთ თავს კი არა. ეს მათი გრძნობა იმდენად გულისგამომჭმელია, მზად არიან ანგარიში გაუსწორონ მთელ ქვეყანას, ცხოვრებაში წინ წასულთ. ანგარიშს არ უწევენ იმას, ვინ არის ის — წარსულში მეგობარი თუ ნაკლებად ნაცნობი კაცი. ჩანს, კოშელიოვის ჩამოსვლამ გამოაცოცხლა ძველი წყენა, ხოლო პრიახინთან მომხდარმა შემთხვევამ მისცა მიზეზი ანგარიში გაესწორებინა ვითომ თავისი უმართებულო კარიერისათვის.

მაგრამ რწმენა თავისთავად კიდევ არ იძლევა საბაბს, საქმე სასამართლოში გადაგზავნო. უნდა იყოს სამხილი. მაგრამ იგი აშკარად არ გვყოფნიდა. ამას ემატებოდა ნინას ვითომ გულწრფელი აღიარებაც.

ჩემი სამუშაო კაბინეტი ვასია ნოსოვის ოთახის მომიჯნავედ იყო. ყოველ ოთახს საკუთარი გასასვლელი ჰქონდა დერეფანში. მე და ვასიას ერთმანეთთან შესვლა შეგვეძლო შუა კარითაც. სწორედ ეს გარემოება იქნა გამოყენებული შემდგომში.

დილის 10 საათზე მე დავურეკე ოსმელოვის ცოლს სამსახურში და ვთხოვე შემოეკლო ჩვენთან. ხუთი წუთით ადრე კი სკოლაში ტელეფონით დავუკავშირდი ნინა ფედოროვნას. ეს ქალები აქამდე არ შეხვედრიან და არ იცნობდნენ ერთმანეთს. დერეფანში, ჩემი კარების გადასწვრივ, დავტოვეთ ერთი პატარა ხის დივანი, სკამები კი იქაურობას მოვაშორეთ. ქალები თავის დროზე გამოცხადდნენ.



მე ვთხოვე მათ ცოტა ხანს მოეცადათ. ისინი დერეფანში დივანზე ჩამოსხდნენ და როგორც უცნობ ადამიანებს სჩვევიათ, ჩვეულებრივი ზოგადი საუბარი გააბეს ერთმანეთში.

ამ დროს ვასია ნოსოვი ქვემო სართულში დაელოდა კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელს. მალე ისინი გამოჩნდნენ. ცოლი და საყვარელი ერთად მშვიდობიანად მოსაუბრე რომ დაინახა, ოსმელოვს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ნერწყვი სასულეში გადასცდა. ვასიამ, რომელიც მკაცრად იცავდა ინსტრუქციას, სწრაფად შემოიყვანა იგი ჩემს კაბინეტში.

ბორის ოსმელოვი სკამზე დაჯდა. ვატყობდი, იგი წუხდა იმაზე, თუ რას ლაპარაკობდნენ ქალები და

ამბავი

მილიონერი პოლიციელი

მთელი ამერიკა გაოცებული დარჩა, როცა მულტიმილიონერმა სამუელ დიუპონმა მუნდერი ჩაიცვა და პოლიციაში დაიწყო მუშაობა.

რა თქმა უნდა, სამუელ დიუპონმა ეს ნაბიჯი იმიტომ კი არ გადადგა, რომ პოლიციელის ხელფასს დაეხარბა; არა, მას, როგორც შემდგომში გამოირკვა, ასეთი მოქმედებით, ეშმაკური საფინანსო ოინი ჰქონდა ჩაფიქრებული.

ანგარიში სწორი აღმოჩნდა: მილიონერმა, რომელიც ქუჩაში იდგა და მოძრაობას აწესრიგებდა, ყურადღება მიიპყრო და უფრო მეტი მომხმარებელი მიიზიდა, ვიდრე ძვირად ღირებულმა ასობით რეკლამამ, რომლებიც მუშტრებს დიუპონის საქონლის შესაძენად ეპატიჟებოდნენ.

პლასტმასის ხეები და ბუჩქები

მას შემდეგ, რაც საწარმოთა მილების კვამლის მავნე გაზებმა მოწამლა და დააჭკნო ბუნებრივი მწვანე ნარგავები. ლოს-ანჟელოსის ხელისუფლებმა გადაწყვიტეს, ქალაქში პლასტმასის ხელოვნური ხეები და ბუჩქები ჩაერგოთ.

მაგრამ, როგორც გამოირკვა, არც პლასტმასის დეკორაციულ ხეებსა და ბუჩქებს ეწერათ დიდი დღე. ქალაქის აღშფოთებულმა მოსახლეობამ პლასტმასის ხეებსა და ბუჩქებს ბოიკოტი გამოუცხადა: ზოგიერთი მათგანი, რომლებიც კარგად იწვებოდა — დაწვეს, დარჩენილი „მცენარეები“ კი ძირში გადახერხეს.

ქალაქის ხელისუფლება იძულებული გახდა, ხელახლა „გაემწვანებინა“ ქუჩები, მაგრამ ამ ახალ „ნარგავებსაც“ იგივე ბედი ეწვიათ. საინტერესოა ისიც, რომ ქალაქის „გამწვანების“ მარტო პირველი ექსპერიმენტი 74.504 დოლარი დაჯდა.



ქალბატონ მეზონის ულვაშები

„ბატონ ჯერალდს მეტად დამახასიათებელი გარეგნობა აქვს, იგი სრულიადაც არა ჰგავს ქალბატონ მეზონს“, — განაცხადა ლონდონელმა მოსამართლემ და იქვე 250 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმა პარლამენტის წევრი, მულტიმილიონერი ჯერალდ ნაბორო.

საქმე ის იყო, რომ ბატონ ჯერალდს გრძელი და ლაღად გადაგრეხილი ულვაშები აქვს, მან კი სასამართლოში მტკიცება დაიწყო, რომ მანქანის საჰეს, რომელიც მოძრაობის წესების უხეში დარღვევისათვის დააკავეს, თითქოს მისი პირადი მდივანი ქალბატონი მეზონი უჯდა.

რით დამთავრდებოდა ყველაფერი ეს. ვასიამ არ დაკარგა დრო, ჩემს კაბინეტში გამოატარა ოსმელოვის ცოლი და თავის ოთახში შეიყვანა.

დაკითხვა დავიწყე ჩვეულებრივ — „გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, განათლება, რა საქმიანობას ეწევით“ და ასე შემდეგ... ამაზე დაახლოებით ათი წუთი დავკარგეთ. ამასობაში ოსმელოვი შექმნილ სიტუაციაში გაერკვა. მტკიცე გადაწყვეტილებაც მიიღო უკუდარტყმა მიეყენებინა ყველა ჩემი ცდისათვის—გამომეაშკარავებინა მისი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება ნინასადმი. მას მხედველობიდან გამორჩა კიდევ ერთი კარი, რომელიც ვასიას ოთახიდან დერეფანში გადიოდა. სანამ ოსმელოვს ნელა ვესაუბრებოდი კოშელიოვზე, მათ ჭაბუკობისდროინდელ ნაცნობობაზე, რაზედაც, სხვათაშორის, ბორისი მონდომებით ლაპარაკობდა და არც ის დამალა, ამ ზაფხულს რომ შეხვდა პროფესორს, ვასიამ თავის კაბინეტიდან გააცილა ოსმელოვის ცოლი დერეფანში და შეუმჩნევლად შეიწვია ნინა ფედოროვნა. ჩვენი შემდგომი საუბარი ამის შემდეგ ნინას შეეხო.

— მე მინდა ზუსტად ვიცოდე ზოგიერთი რამ. რა ურთიერთობა გქონდათ ნინა ფედოროვნასთან?— ხმამაღლა დავიწყე, თან მეზობელ კარისკენ გავაპარე მზერა. ოსმელოვს ეგონა იქითა ოთახში კვლავ მისი ცოლი იჯდა და კარგად გაიგონებდა მის ხმას, ამიტომ თითქმის უვირილით მიპასუხა:

— რაც შეეხება ამ, უკაცრაული პასუხია, ქალს, მე თითქმის არ ვიცნობ და არც მინდა ვიცნობდე.

— მაგრამ მის მიმართ რომ დიდ უურადღებას იჩენდით?- მიგქონდათ ყვავილები, ხვდებოდით, — ისევ ხმამაღლა განვაგრძე მე.

— ეს რა სისულელეა! თქვენ თვითონ იმ გადარეულმა დაგაბნიათ. თვითონ მას მოჰქონდა ჩემთან ყვავილები. თავისი თავი დიდ რამედ წარმოედგინა და სურვილი ჰქონდა მოხვედრილიყო ანსამბლში. მე მიყვარს ჩემი ცოლი, ოჯახი, — ოსმელოვის ხმა ქუხდა ისე, როგორც მიტინგზე, — ჩემთვის შეურაცხმყოფელი იქნებოდა გავბდანდულიყავ ამნაირ ვიღაც-ვიღაცეებთან...

— მაგრამ, აი, ნეფედოვმა თქვა... — დავიწყე მე.

— ღვთის გულისათვის, — წამოიყვირა ბორისმა, — არ მოუსმინოთ მის ყბედობას. თუ რამე გითხრათ, ალბათ ამ ქალის ნაკარნახევი იყო, ქალისა, რომელსაც რაც გნებავთ ის მოუვა თავში. ნუთუ ნეფედოვმა ის მაინც არ გითხრათ, რომ მასთან აღამებდა და ათენებდა ერთი მომღერალი ანსამბლიდან? და კიდევ ფიზკულტურის მასწავლებელი... დაინტერესდით ამ საქმით?

ჩვენი საუბარი დამთავრდა უფრო ადრე, ვიდრე მე მოველოდი. მეზობელ ოთახში რაღაც გახმაურდა და კარის ზღურბლზე გამოჩნდა ნინა, გარეგნულად იგი თითქმის უშფოთველი მეჩვენა, მხოლოდ ტუჩები, საერთოდ მკვეთრად რომ აჩნდა სანდოზიან სახეზე, ამჯერად სულ მთლად თეთრი ჰქონდა.

— აი, რა, ბობი, — მიახალა ქალმა მიახლოებისთანავე ტრანსში ჩავარდნილ ბორისს, — მე დიდი ხანია ვხვდებოდი, რომ ამით უნდა დამთავრებულიყო ყველაფერი. რაც უფრო ჩქარა მოხდებოდა, მით უკეთესი. ერთი უმსგავსობა მეორეს ბადებს. შემთხვევით როდი შეთხზეთ ცილისმწამებლური წერილი კოშელიოვზე. მაგრამ ვერ გაითვალისწინეთ, რომ თქვენი დასმენის შავები, რომლიდანაც მთხოვეთ გადაწერა, აქამდე შემონახული მქონდა. ახლა კი გამომძიებელს გამოადგება.

ამით გამოძიება დამთავრებულად შეგვეძლო ჩაგვეთვალა. ქვეყანას ერთი გველის ენა მოაკლდა.

გამომძიებლები ჩვეულებრივ არ მიდიან ხოლმე სასამართლოზე, ყოველთვის არ არის საამისო დრო. ამ პროცესზე კი მივედი. და არც მინანია. პროცესი ფრიად ჭკუის სასწავლებელი იყო. როგორც თქვენ ალბათ იცით, ახალმა კანონმა ძალიან გააძლიერა პასუხისმგებლობა ცილისწამებისათვის, განსაკუთრებით, თუ იგი, როგორც ოსმელოვს შეემთხვა, დაკავშირებულია მძიმე დანაშაულის ბრალდებასთან.

თავმჯდომარეობდა ხნიერი მოსამართლე. მას, როგორც ეტყობოდა, ცხოვრებაში ბევრი რამ გადახდენოდა თავს. ეს კაციც კი წამოიმართა, როცა დარბაზში გამოიძახეს მოწმე კოშელიოვი. პროფესორი შესამჩნევად ღელავდა და დახშული ხმით დაიწყო:

— დიდხანს ვფიქრობდი ასე რად დაეცა ოსმელოვი, რად გახდა ცილისმწამებელი და მაინცდამაინც რაღა მე ამირჩია დასასმენად? ოდესღაც ჩვენ ხომ მეგობრები ვიყავით. მაგრამ მისთვის ეს ალბათ უფრო გამოსადეგი იყო. მაგონდება ერთი შემთხვევა. ოდესღაც შევხვდი ოსმელოვს ქუჩაში. შეიძლება ეს შეხვედრა არ იყო ისეთი მოულოდნელი... ჩვეულებრივი გასაუბრების შემდეგ ოსმელოვმა, (როგორც მივხვდი, კარგად იცოდა სად და რას ვაკეთებდი) მაშინვე მთხოვა, როგორც მან გამოთქვა, უბრალო სამსახური გამეწია მისთვის. ჩემი უფროსის ქალიშვილს კონსერვატორიაში უნდა მოწყობაო და... მე არ შემეძლო ამ საქმეში ხელი გამემართა მისთვის. ყოველთვის მეზიზღებოდა ამდაგვარი თხოვნა, გადაჭრით ვუთხარი უარი. ჩვენ კიდევ ორიოდე სიტყვით გამოველაპარაკეთ ერთმანეთს და დავშორდით. მაშინ ამ შეხვედრისათვის არავითარი მნიშვნელობა არ მიმიცია და როგორც ვატყობ, ამაოდ...

მსჯავრდადებულის სკამზე მჯდომი ოსმელოვის შეთვალიერების შემდეგ მივხვდი, რომ ანონიმური წერილის ავტორის ასეთი შეხვედრა იმ კაცთან, რომლის მეგობრადაც ითვლებოდა და შემდგომ საზიზღრად დასწამა ცილი, — ციხეზე უფრო მკაცრი რამ იყო. ჩანდა, რომ ოსმელოვი ერთ რამეს ნატრობდა — რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო ყველაფერი ეს. და, როგორც მე მეჩვენა, მან შვებით ამოისუნთქა, როცა მოსამართლემ გამოაქვეყნა განაჩენი — თავისუფლების აღკვეთა სამი წლით.

თარგმანი **თენგიზ გოგოლაძისა**

რა ღირს ერთი თასი ლუდი

დასავლეთ გერმანიის ქალაქ ბილეფელდში ერთმა კაცმა, რომლის გვარს არ ასახელებს რეიტერის სააგენტო, ტრაქტირში 12 თასი ლუდი და ორასი გრამი შნაპსი დალია. კლიენტმა, რომელსაც ჯიბეში გროშიც არ ჰქონდა, ტრაქტირის პატრონს აღუთქვა, რომ ფულს უახლოეს დღეებში გადაუხდიდა. გავიდა რამდენიმე კვირა, ტრაქტირის დაზარალებული პატრონი იძულებული გახდა, რომ სასამართლოში ეჩივლა.

დასავლეთ გერმანიაში სასამართლოები აუჩქარებლად მუშაობენ და ბრალდებულს მხოლოდ ახლახანს ჩააბარეს სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით მას 1.529 მარკა და 35 ჰფენინგი უნდა გადაეხადა.

ლუდი და შნაპსი 9,35 მარკა ღირდა, დანარჩენი თანხა სასამართლოს ხარჯები იყო.

არსებობს ასეთი ლექსიკონიც

ინგლისურმა გამომცემლობამ „ვულფმა“ მეცხრედ გამოსცა „გინებისა და შეურაცხყოფის ლექსიკონი“, რომელიც მკითხველთა შორის მოწონებით სარგებლობს. ლექსიკონი შედგება ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ და ესპანურ ენებზე გადათარგმნილი მკვახე და უდიერი გამოთქმებისაგან, რომლებითაც პრაქტიკულად უნდა ისარგებლონ საზღვარგარეთ მოგზაურმა ადამიანებმა.

მაგალითად, ლექსიკონით სარგებლობის დროს, თქვენ შეგიძლიათ, რომელ ენაზეც გნებავთ, იმ ენაზე უთხრათ რესტორნის ოფიციანტს: „სალახანავ, მოაშორე შენი ბინძური ხელები ჩემს თეფშს“, ანდა რიგში მდგომ მოქალაქეს მიმართოთ: „წაიწიეთ წინ, ბებერო ვირო!“

რით დამთავრდა ზრდილობის კვირეული

ჯერსი-სიტში (აშშ) დიდი წარმატებით ჩაიარა ქალაქის ხელისუფალთა თაოსნობით მოწყობილმა „ზრდილობის კვირეულმა“. რესტორნებში, კინოთეატრებში, ქუჩებსა თუ ავტობუსებში, ერთი კვირის მანძილზე, ადამიანები თაფლად იღვრებოდნენ, ყველა ცდილობდა გამოეჩინა დიდსულოვნება და სანიმუშო ზრდილობა.

„ზრდილობის კვირეულის“ დამთავრებისთანავე, ქიურომ დაიწყო პრემიების განაწილება. ქიურის წევრები ჯერ მშვიდად მსჯელობდნენ, მერე თანდათან გაცხარდნენ, კამათს უხეში გამოთქმები მოჰყვა, უხეშ გამოთქმებს უწმაწური გინება, გინებას — სკამებისა და საფერფლეების სროლა. ბოლოს ყველაფერი აირია და ქიურის წევრები და დარბაზში მყოფნი მუშტებით დაერიენ ერთმანეთს.

რამდენიმე ხნის შემდეგ, სასწრაფო დახმარების მანქანამ 14 დაჭრილი საავადმყოფოსაკენ გააქანა, „ზრდილობის პრემია“ კი გაუნაწილებელი დარჩა.

მ ი ნ ი ა ტ ю რ ე ბ ი

* * *

— ღვინოს სვამ?
— არა.
— თამბაქოს ეწევი?
— არა.
— კარტს თუ თამაშობ?
— არა.
— როგორ? არავითარი ნაკლი არ გაქვს?
— როგორ არა! ტყუილები ვიცი.

* * *

მიციმ ქუდის ყიდვა გადაწყვიტა. შევიდა მაღაზიაში და დაახლოებით ორმოცდაათი ქუდი გასინჯა, არც ერთი არ მოეწონა. ბოლოს, ბევრი ძებნის შემდეგ, მან აიღო ერთი ქუდი და გამყიდველთან მივიდა:

— შემიხვიეთ, გეთაყვა ეს ქუდი!

— ბოდიში, მაგრამ ეს ის ქუდია, რომლითაც თქვენ აქ მოხვედით!

ბულგარულიდან თარგმნა
ლილი გოგერცმა

* * *

ქალბატონი ერნა კინოში მის უკან მჯდომ მაყურებელს მიუტრიალდა:

— ჩემი შლიაპის ფრთები ხომ არ გიშლით ყურებას?

— არა, გეთაყვა, — დაამშვიდა მან, — უკვე წავაჭერი და ახლა მშვენივრად ვხედავ.

* * *

— მაშასადამე, თქვენი ქმარი მთვარეულია, არა,—ჰკითხა მკურნალმა ქალბატონ შულცს, — ხომ არ იცით, ლოგინიდან რომ წამოდგება სად მიდის ხოლმე?

— სამზარეულოში, სადაც კონიაკის ბოთლები აწყვია.

გერმანულიდან თარგმნა
ზოთა ამირანაშვილმა.



კ რ ო ს ვ ო რ დ ი

ჰორიზონტალურად

3. საფრანგეთის მეფეების ყოფილი რეზიდენცია. 7. ქართული გაზეთი. 8. იტალიის კომპარტიის დამაარსებელი. 11. გარეული მტრედის სახეობა. 12. კუნძული და სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში. 14. საბჭოთა კომპოზიტორი, ბალეტ „წითელი ყაყაჩოს“ ავტორი. 15. ისტორიული ადგილი, სადაც ბრძოლაში გმირულად დაეცა სამასი არაგველი. 16. ცნობილი ქართველი მწერალი-მთარგმნელი. 18. სახელმწიფო ევროპაში. 20. ძველი ქართული მუსიკალური ინსტრუმენტი. 21. პოპულარული იტალიელი ფეხბურთელი. 25. რამდენიმე მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეთანხმება. 26. ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ პერსონაჟი. 27. ქართველთა მეფე, რომლის დროსაც ქართველმა ხალხმა მიიღო ქრისტიანობა.

ვერტიკალურად

1. თიხის მომცრო ჭურჭელი. 2. მუსიკალური რიტმი. 4. გასული საუკუნის ქართველი მომღერალი, რომელმაც პირველად ჩამოაყალიბა საქართველოში საგუნდო სიმღერის კურსები. 5. სახელმწიფო აფრიკაში. 6. სოფელი სვანეთში. 9. მაგარნაჭუჭიანი ნიგოზი. 10. ურარტუს ცნობილი მეფე. 12. ფრანგი კომპოზიტორი. 13. მომცრო, ქორის მსგავსი მტაცებელი ფრინველი. 17. ტბა საქართველოში. 19. მეცნიერების დარგი. 22. იური ტინიანოვის რომანი. 23. პოეტური ჟანრი ძველ საბერძნეთში. 24. ინგლისელი ფილოსოფოსი, ინგლისური მატერიალიზმის მამამთავარი.

„დროშის“ მე-5 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

ჰორიზონტალურად

1. განგი; 6. პალამედეა; 9. გრიფი; 11. გოეთე; 12. სალიერი; 15. ხარიხა; 19. ელიფსი; 22. პეტრიწი; 24. ინეუ; 25. ღელე; 26. ჯავახიშვილი; 27 იორი; 28. ნარი; 29. რიბეირა; 30. ანემია; 32. კანადა; 36. მელოდია; 37. ლისტი; 38. მელბა; 41. დინოზავრი; 42. მიდია.

ვერტიკალურად

2. ამაი; 3. გრეი; 4. პარისი; 5. ბელგია; 7. გრიგი; 8. ეთერი; 10. რისორჯიმენტო; 13. ტალეირანი; 14. ესმერალდა; 16. ხანჯალი; 17. მელანია; 18. მწევარი; 20. ლეტისია; 21. ციცა; 23. ჰეპია; 31. ჰერია; 33. ნაიბი; 34. ემილია; 35. ყამარი; 39. ბორი; 40. მანი.

გარეკანის პირველ გვერდზე: ჩემი პირველი წიგნი. მეოთხე გვერდზე: მხიარული საუბარი. ფოტოები ბ. დადვაძისა.

მთავარი რედაქტორი **გ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი.**

სარედაქციო კოლეგია: **გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.**

საქ კპ ცკ-ის გამომცემლობა

ტექრედაქტორი **დ. ს ე ფ ი ა შ ვ ი ლ ი.** კორექტორი **ტ. თ ა ბ ო რ ი ძ ე.**

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. **ფასი 30 კაპ.**

გადაეცა ასაწყობად 9/V-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/V-72 წ. ქაღ. ზომა 70×108¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 2,7. საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,1. ტირაჟი 51.100. შეკვ. № 1693. უე 01876.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) **Издательство ЦК КП Грузии**

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

თბილისი. დილა მტკვრის სანაპიროზე

ფოტო შ. ჩხეტიანისა

ИНДЕКС 76056